

178
1977

ბიბლიოთეკის
სამუშაო

საბჭოთა სამართალი



საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1977 6

საბჭოთა სამართალი

№ 6
1977 წელი
ნომბერი — დეკემბერი




შპრნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და
შეაღწევის სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი**

შინაარსი

<u>საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია</u>	
დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ	3
<u>სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მე-60 წლისთავისათვის</u>	
ა. ინაური — სახელოვანი იუბილე	10
<u>საბჭოთა მილიციის მასშობი წლისთავისათვის</u>	
კ. კეთილამე — კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე	21
გ. ინჭკირველი — საბჭოთა სახელმწიფო ოქტომბრის რევოლუციის მესამოცე წლისთავზე	29
ხ. ჯორბენაძე — საბჭოთა კანონმდებლობისა და სამართლის მეცნიერების განვითარება 60 წლის მანძილზე	38
ა. გაბიანი, ა. თოდუა — ალკოჰოლიზმის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგის შესახებ	47
ნ. კომახიძე — ავამადლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე ადმინისტრაციულ ორგანოებში	56
ს. ვისოცი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი	66
ოფიციალური მასალა	71
ჯილდო ღირსეულით	86
ინფორმაცია	89
ნეკროლოგი	95
ბ. ბარათაშვილის ხსოვნას	95

4352



აფხაზავა ზაურ სტეფანეს ძე
 არაქელოვა ნინო მარტიროსის ასული
 არზუმანოვი ლევან არკადის ძე
 არიშვილი ნიკოლოზ თეოფილეს ძე
 არჩაია თამარ გიორგის ასული
 არჩვაძე ლილი კონსტანტინეს ასული
 ასათიანი ვლადიმერ ალექსის ძე
 ასათიანი ლეონილა კონსტანტინეს ასული
 ასლამაძე იზოლდა სარდიონის ასული
 ახრახაძე დავით სიმონის ძე
 ბაძაღვა ვლადიმერ მიხეილის ძე
 ბაქანიძე ოთარ აკაკის ძე
 ბაქრაძე ტარიელ ლუკას ძე
 ბარამიძე ლევრი გრიგოლის ძე
 ბარამიძე ეთერ გრიგოლის ასული
 ბეჟანოვი თოთიკო ხაჩატურის ძე
 ბერიძე ვახტანგ ვუკოლის ძე
 ბანდუქრაშვილი დავით ალექსის ძე
 ბოხოჩაძე ლია სერგის ასული
 ბუთხუზი დალი სიმონის ასული
 ბუცურებიშვილი მიხეილ ბათლომეს ძე
 გამრეკელი სოფიო იოსების ასული
 გრიშტოროვა ეკატერინე ვლადიმერის ასული
 გუბელაშვილი კარლო თეოდორის ძე
 გუგუშაშვილი იროდიონ ვალერიანის ძე
 გურგენიძე დავით ვარლამის ძე
 გუგუჩია ნოდარ რამინის ასული
 გოგოშიძე პაში გიორგის ასული
 გამგონიძე უშანგი გიორგის ძე
 გამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე
 გასიტაშვილი გურამ სიმონის ძე
 გაჩეჩილაძე მანანა დავითის ასული
 გვერდუთიელი ილია მიხეილის ძე
 გელაძე ნოდარ ილიას ძე
 გელაშვილი ლილი ნუნეს ასული
 გელაშვილი ლილი სერგის ასული
 გელეიშვილი ქეთევან ზურაბის ასული
 გეფერიძე ელენე მიტროფანეს ასული
 გერშტენბლიტ ალექსი მოსეს ძე
 გიორგაძე თენგიზ შალვას ძე
 გოგოხია ლილი ვლადიმერის ასული
 გონჯილაშვილი იზა სიმონის ასული
 გორგიაშვილი ბენიამინ ბესარიონის ძე
 გორდუშაანი რისმეკ ბენიამინის ძე
 გოგაძე რევაზ ივანეს ძე
 გრიგოლია ტრისტან გრიგოლის ძე
 გრიგოლავა ვლადიმერ ვლადიმერის ძე
 გრიგოლია ალექსანდრე შალვას ძე
 დუმბაძე ლილი ვასილის ასული
 ედიშერაშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე
 ერაძე ვარდო კონსტანტინეს ასული
 ვადაჭკორია გურამ არსენის ძე
 ვახაძე გიზო შალვას ძე
 ვეკუა შალვა მირიანის ძე

ვოლკოვა თამარ კუზმას ასული
 ზაქალაიშვილი ივერი ალექსანდრეს ძე
 ზაკალმოღინა იდა იასონის ასული
 ზეციძე მზია სოლომონის ასული
 ზარიძე ლომპარ ალექსის ძე
 ზარჭუა ამირან შალვას ძე
 ზურაბაშვილი ზიგურდ ავლიანის ძე
 ზურაბაიანი გიორგი ვასილის ძე
 თავაძე კონსტანტინე ექვთიმეს ძე
 თამაზაშვილი ლუარა ვახტანგის ასული
 თევზაძე სვეტლანა ანტონის ასული
 თოდრია მზია მიხეილის ასული
 იახეშვილი მზია ივანეს ასული
 ივანიშვილი ბორის ზურაბის ძე
 ილუერიძე კონსტანტინე მიხეილის ძე
 ილუერიძე თამარ ალექსანდრეს ასული
 იმნაძე დალი შალვას ასული
 იორდანიძე სოფიო ალექსანდრეს ასული
 იორდანიშვილი ლამარა ვასილის ასული
 იოსავა გენადი გიორგის ძე
 იარალოვა მანანა სარქისის ასული
 იაცუკ ვლადიმერ პავლეს ძე
 კარაბეტაიანი გიორგი ვართანის ძე
 კალანდარიშვილი ნელი იროდიონის ასული
 კაჭარავა გულნარა აკაკის ასული
 კვინიკაძე ვჟა იასონის ძე
 კვიციანიშვილი ნუნუ ნიკოლოზის ასული
 კერძაია ამირან ოთარის ძე
 კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
 კობახიძე ბადრი პეტრეს ძე
 კოვზიაშვილი ტრისტან ივანეს ძე
 კოზაშვილი ელგუჯა ისაყის ძე
 კოკოლაშვილი მირიან ირაკლის ძე
 კომახიძე ვჟა აკაკის ძე
 კომახიძე ნუნუ ბარნაბის ასული
 კუბილოვა რუსუდან ფრიდონის ასული
 კუტაშვილი თემურ ივანეს ძე
 კუჭუხიძე ლავრენტი იოსების ძე
 ლავაზიძე დიმიტრი სტეფანეს ძე
 ლანდია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე
 ლაში თემურ გრიგოლის ძე
 ლეხანიძე აკაკი ფარსადანის ძე
 ლეჟავა ციალა გიორგის ასული
 ლეზგეშვილი ჩელი ეხისკელის ასული
 ლეკვიეშვილი ვერა სევერიანის ასული
 ლეკვიეშვილი მზია შალვას ასული
 ლომინაძე ჯუმბერ გიორგის ძე
 ლომიშვილი ავთანდილ ირაკლის ძე
 ლორია ვალერი ამბერკის ძე
 ლილუაშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე
 მალრაძე ელენე ივანეს ასული
 მამალაძე გულნაზ აკაკის ასული
 მათათაშვილი ვასილ ივანეს ძე
 მარდალაიშვილი ვილენ ბენედიქტეს ძე



მათიაშვილი კობა ივანეს ძე
მახალდიანი ვახტანგ ვასილის ძე
მახარაძე კონსტანტინე მიხეილის ძე
მეტრეველი ნათელა ალექსანდრეს ასული
მელუა ნელი გერმანეს ასული
მენთეშაშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
მეტრეველი რუსლან იასონის ძე
მიქაძე მიხეილ დავითის ძე
მიქელიშვილი რეგინა გიორგის ასული
მიმინოშვილი ჯუმბერ მიხეილის ძე
მოსიძე ვახტანგ მიხეილის ძე
მოსიძე ნათელა ლეონტის ასული
მოხევიშვილი ეთერ ლავრენტის ასული
მუშუტუდიანი თენგიზ ვარლამის ძე
ნადარეიშვილი ჯემალ ლევანის ძე
ნადარეიშვილი ლია ევგენის ასული
ნადირაძე თენგიზ ლევანის ძე
ნასარაძე ალევტინა ივანეს ასული
ნასიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
ნასიძე სულხან ივანეს ძე
ნატროშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე
ნაჭყებია ვლადიმერ ალექსის ძე
ნიშნიაშვილი თენგიზ გრიგოლის ძე
ოვანოვი ლევან ელიზბარის ძე
ოვანოვი გიორგი ნიკოლოზის ძე
ოქროშიძე ბიჭიკო გიორგის ძე
ონიაშვილი მარიამ ივანეს ასული
ოჩიაური ირაკლი ალექსის ძე
პანტელეევა ანელია იოსების ასული
პაპაშვილი ზინა გიორგის ასული
პატიაშვილი კობა ილიას ძე
პირტახია გივი სამონის ძე
პოლოვიკინა ზინაიდა სიმონის ასული
უდენტი ნანა ვარლამის ასული
რეზნიჩენკო ედუარდ ალექსის ძე
რემიზოვი დიმიტრი ნიკოლოზის ძე
რუსიშვილი ჯუმბერ გიორგის ძე
საბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე
საგანელიძე სიდონია ნიკოლოზის ასული
საგარეიშვილი თამაზ გრიგოლის ძე
საკოვიჩ გალინა ექვთიმეს ასული
სარაული მავკალა შალვას ასული
სემისკვერიძე ლალი ოთარის ასული
სებუა ჯემალ მიხეილის ძე
სელიანოვა ნადეჟდა მიხეილის ასული
სეფიაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
სენიაშვილი მერი ზაქარაის ასული
სოსხე თამაზ სილოვანის ძე
სულაკაური არჩილ სიმონის ძე
ტაბატაძე ზაირა კონსტანტინეს ასული
ტიტინიძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე
ტიპოლსკი იაკობ ვლადიმერის ძე
ტოგონიძე ოთარ ივანეს ძე
ფაფიაშვილი შოთა გიორგის ძე

ფილიევი ვიქტორ შალვას ძე
ფიცხელაური ანა დავითის ასული
ფოცხვერია ილია ივანეს ძე
ფოცხიშვილი მორის თომას ძე
ფანცულაია ივანე სერგოს ძე
ქარელი ალექსანდრე მიხეილის ძე
ქარუმიძე მიხეილ დავითის ძე
ქომეთიანი ჰეტერ ანტონის ძე
ქსოვრელი კარლო ვლადიმერის ძე
ლამბაშიძე ნელი გრიგოლის ასული
ყოჩიაშვილი გივი მიხეილის ძე
ყოჩიაშვილი ბუგდან გრიგოლის ძე
შავრეშიანი ჟორდან გიორგის ძე
შარხუტიანი ივანე ალბერტის ძე
შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე
შუღლაძე კალისტრატე გიორგის ძე
შურღია ფრიდონ იონას ძე
შხვაცაბაია გიორგი იაკობის ძე
ჭავჭავაძე ვლადიმერ ვალერიანის ძე
ჭიეშვილი თენგიზ ილიას ძე
ჭკადუა ბადურ კადირის ძე
ჭკადუა ვალერიან კირილეს ძე
ჭუმბურიძე გიორგი ბაგრატის ძე
ჩაღუნელი გურამ შალვას ძე
ჩანტლაძე ვახტანგ ირაკლის ძე
ჩარკვიანი გელა კანდიდის ძე
ჩიქოვანი შოთა ბესარიონის ძე
ჩიხიაშვილი ჯუდე ვლადიმერის ძე
ჩხარტიშვილი შალვა ნოეს ძე
ჩხეიძე ანტონ ბაგრატის ძე
ჩხენკელი ივანე ნოეს ძე
ციციაძე დავით ევგენის ძე
ციტიშვილი ცისანა გრიგოლის ასული
ძავანია ჯონდარ იპოლიტეს ძე
ძნელაძე ტარიელ ამბაკოს ძე
წერეთელი ქეთევან დავითის ასული
წულეისკირი ჯუმბერ აკაკის ძე
ხაჯალია კონდრატე ზაქარაის ძე
ხარაზიშვილი ბეჟან ბესარიონის ძე
ხახიაშვილი მორე მორღვის ძე
ხვედელიძე თინა არჩილის ასული
ხმელიძე ტრიფონ ილიას ძე
ხოშტარია თენგიზ სიმონის ძე
ხუნაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე
ხუნწარია გალინა ლავრენტის ასული
ხუციშვილი გივი რაქდენის ძე
ჯავახიშვილი დიმიტრი ვახტანგის ძე
ჯამბერიძე ნოდარ შალვას ძე
ჯაფარიძე კონტა გიორგის ძე
ჯეირანაშვილი ლუდმილა სარდიონის ასული
ჯიქია ვიქტორ ვარლამის ძე
ჯიოშვილი აკაკი ივანეს ძე
ჯომარჯიძე ლევან სიმონის ძე



ბ. გორი

აკოფოვი გიორგი გრიგოლის ძე
გერმანიზმილი მავკალა მიხეილის ასული
გრძელიშვილი ჯუანშერ ალექსის ძე
ზარქუა ზეინაზ ლევანის ასული
ლოთეშვილი იზაბელა ვასილის ასული
მამისთვალოვი შალვა სიმონის ძე
ნინოშვილი თამარ ივანეს ასული
თედლაშვილი ჯემალ გიორგის ძე
შანიძე კლიმენტ ვასილის ძე
ჩერქეზიშვილი ნანული გიორგის ასული
ჭიბლაძე ნორა რაჟდენის ასული

ბ. ზუგდიდი

ბენდელიანი დავით ექვთიმეს ძე
საბლუა ნათელა მაქსიმეს ასული
ფხაკაძე ვლადიმერ სევერიანის ძე
შონია სვეტლანა გერმანეს ასული

ბ. რუსთავი

აბგაროვა ლია ბორისის ასული
ბუხნიკაშვილი ჯუმბერ ვარლამის ძე
იუსუბოვი ლატიფ ჯალილი ოღლი
ჟურავლიოვა ვალენტინა იაკობის ასული
მასისურაძე გიორგი ნიკოლოზის ძე
ნადირაძე ნუგზარ აკაკის ძე
პატიაშვილი ოთარ გიორგის ძე
სობოლდუვა ანტონინა სერგის ასული
ტაბუცაძე გელა გიორგის ძე
წოწორია ვაჟა პარმენის ძე

ბ. ტყეშელა

არსენაძე დავით ასლანის ძე
ბუაძე ერან გიორგის ძე
დაგუნდარიძე მანდარ ნესტორის ძე
კობეშვიძე დინარა ლევანის ასული

ბ. ფოთი

ბერძენიშვილი ილია გიორგის ძე
კუპრაძე როლანდა აკაკის ასული
სამოჩენკო ეგვენი სიმონის ძე
სიჭინავა გივი რაჟდენის ძე
ქოიავა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე
ლუღუნეშვილი გვიგ პავლეს ძე
ჩაჩიბაია იზოლდა ბიძინას ასული
ჩიდაჩავა ლუარა ლუკას ასული
ცხადაია ნადეჟდა ერმილეს ასული
ჭანტურია ლამარა გიორგის ასული

ბ. კუთაისი

აბესაძე გიორგი გენადის ძე
არენიძე ირაკლი თეოფილეს ძე
ბაბუნაშვილი ნინო ნოდარის ასული
ბაღლატიუკი ალექსი ნაზარის ძე
ბეროზე ლუიზა შოთას ასული
ბოჭორიშვილი მზია ბიქტორის ასული
გამყრელიძე ალექსანდრა ილარიონის ასული
გურგენიძე დავით მიხეილის ძე
დევიძე ნანული პარმენის ასული
ესოიანი ასია სარიბგეის ასული
ვაჭრიძე პეტრე ვარლამის ძე
თვალავაძე იზოლდა ლავრენტის ასული
კვერნაძე სერგო აკაკის ძე
ლისინი ვიქტორ ევდოკიმეს ძე
მემშარიაშვილი ოთარ დავითის ძე
მინაშვილი ქეთევან ვლადიმერის ასული
მუშუკუდიანი ზურაბ ვასილის ძე
პაჭკორია თამაზ ილიას ძე
სვანიძე რაჟდენ შოთას ძე
სოფრომაძე ნუკრი შოთას ასული
ფამენჩენკო ილია ვასილის ძე
ცინცაძე ჯულიეტა აკაკის ასული

ბ. ყვალტუბო

ბოდოკინა ლილი ვიქტორის ასული
ჭეიშვილი ზინაიდა აკაკის ასული
ხუციშვილი შოი ვასილის ძე
ჩომახიძე ციალა იასონის ასული

ბ. ჰიათურა

ბიწაძე ნანული გერვასის ასული
დეკანოიძე მიხეილ იზოლტეს ძე
მარუაშვილი ლეილა კალენიკეს ასული
ჭიხონელიძე გრიგოლ ნიკოლოზის ძე

ბაზუს რაიონი


ბოკუჩავა ნოე სოლომონის ძე
თოფურია ლუიზა ლევტერის ასული
ჩაგანავა ანზორ ალექსანდრეს ძე
ჩოხელი მარიამ ალექსის ასული

ბაღმენის რაიონი

ლომსაძე გერვასი ვლადიმერის ძე
მაჭარაშვილი გიორგი ილიას ძე
ხუჭაძე ეთერ ედიშერის ასული

ბაგრატაურის რაიონი

გოგრიჭიანი დიომიდე ფილიპეს ძე
ენუქიძე მარიამ კალისტრატეს ასული



ქელიძე ლილი ისიდორეს ასული
ხაჩიძე აკაკი ვასილის ძე

ასპინძის რაიონი

ველიჯანაშვილი ანა ალექსის ასული
მურადაშვილი ნათელა ვასილის ასული
ჯინჭველაძე ოთარ შოთას ძე

ახალქალაქის რაიონი

გოგორიანი ეორა ატურის ძე
ვართანოვი ამბარცუმ მიხეილის ძე
მიქელაძე ვასა არსენის ძე

ახალციხის რაიონი

აკოფიანი ხაჩატურ ბართევმოსის ძე
ნახუიდაშვილი სერგი პავლეს ძე
კოჯაშვილი მერი ვასილის ასული
ღავთაძე ელენე გრიგოლის ასული

ახმეტის რაიონი

ტერტერაშვილი ციალა შაქროს ასული
უძილაური ტარიელ ხეთისოს ძე
ფიცხელაური საბა შაქროს ძე

გოგანდოვკის რაიონი

ოგანესიანი მათევოს აშოთის ძე
პოპოვა ლუბა ივანეს ასული
თაშოიანა ფენია გელამის ასული
ხაჩატრიანი ხიმეკ ავეტის ძე

გოლენის რაიონი

ერაძე ზაურ შალვას ძე
მამედოვი მამედ ალაზ ოღლი
მანუჩარიანი როზა გრიგოლის ასული
ყურაშვილი სულიკო დიმიტრის ასული

გორჯომის რაიონი

აბრამიშვილი ნინო იოსების ასული
ლომიძე რევაზ ისაკის ძე
მახარაძე ამირან ზაქარიას ძე
შვანია ტატიანა ერემიას ასული

ვანის რაიონი

ეკრემიძე მურმან ილიას ძე
ერემეიშვილი ჯუმბერ ვახტანგის ძე
კორძაძე ციალა ჭიჭიკოს ასული
რამიშვილი დარეჯან იასონის ასული

გარდაზნის რაიონი

ველიძე ტელმან აჯარ ოღლი
კლდიაშვილი ოთარ ანტონის ძე
ლეზგიაშვილი გალიე ახმედ ოღლი
მათიაშვილი იური ალექსის ძე

გეგევაძორის რაიონი

გეგია შალვა შალვას ძე
ზარქუა პლატონ რაუდენის ძე
ქურდიანი თალიკო პლატონის ასული
თოფურია ბონდო სამსონის ძე

გორის რაიონი

გიგაური გრიგოლ ზაქარიას ძე
მუსერძე რობერტ გიორგის ძე
პიტავა ელენე ივანეს ასული
ცქრიალაშვილი მაყვალა ივანეს ასული

გურჯაანის რაიონი

ანჯაფარიძე სამსონ ნიკოლოზის ძე
ღვინიაშვილი რიმა ნიკოლოზის ასული
ელიზბარაშვილი მზია ზაქარიას ასული
ფროდიაშვილი თემურ გიორგის ძე

ღვანის რაიონი

ასლამაშიშვილი ნიკოლოზ გრიგოლის ძე
ასლანიანცი მიხეილ არტემის ძე
გოჯაევი იბად გუმბათ ოღლი

ღუფეთის რაიონი

გოგოლაური ელგუჯა გიორგის ძე
დარეჯანაშვილი ნინო ივანეს ასული
ფსუტური ტარიელ გიორგის ძე
შაბუნიშვილი კონსტანტინე დავითის ძე

ზესტაჰონის რაიონი

გაჩეჩილაძე მეგი ვესევის ასული
კელენჯერიძე ვლადიმერ სამსონის ძე
კუნიაძე აპოლონ ნოეს ძე
ლუტიძე ნუგზარ გიორგის ძე
თუთარაშვილი გივი მიხეილის ძე

ზუგდიდის რაიონი

არახამია გივი მელიტონის ძე
ნანავა ზაირა ნიკოლოზის ასული
სახურია ვალიკო იასონის ძე
ყუფუნია თამარ ანდრეას ასული
ქითანავა ლეილა ალექსანდრეს ასული

შაზაშვილის რაიონი

დუდუშაური გენაიძე როსტომის ძე
ვარძიკაშვილი ნუგზარ ვლადიმერის ძე
წიკლაური ლიზა იაგორის ასული

ძარაღის რაიონი

გაგლოევი მათეოზ გრიგოლის ძე
მინდიაშვილი მედეა ივანეს ასული
საზანდრიშვილი ელენე იოსების ასული
ხანიშვილი ტრისტან სოლომონის ძე

ბასპის რაიონი

დავითაშვილი ცილა ვახტანგის ასული
მათეშვილი გიორგი თომას ძე
ყარანაშვილი მაყვალა სოლომონის ასული
ხუციშვილი მზია სოლომონის ასული

შვარლის რაიონი

იოსებაშვილი ივანე სოლომონის ძე
სეფაშვილი ნათელა შალვას ასული
ხუტილაშვილი ნელი გიორგის ასული
ხუხიაშვილი არჩილ გიორგის ძე

ლაგოდეხის რაიონი

გელაშვილი ნაირა სიმონის ასული
მამისაშვილი ალექსანდრე ვლადიმერის ძე
ნოზაძე რაუდენ სოკრატის ძე
ბაქსაშვილი თენგიზ შოთას ძე

ლანჩხუთის რაიონი

ბოლქვაძე თინა ვალერიანის ასული
იმნაიძე ვაიოზ აქესენტის ძე
ქინჭლაძე გივი ანდრეას ძე
ფირცხალაიშვილი ქეთევან გიორგის ასული

ლენტეხის რაიონი

ჭურახბედიანი გურჯან ნესტორის ძე
ლიპარტელიანი შალვა ვლადიმერის ძე
ონიანი ბაბილინა მალაქიას ასული

მარნეულის რაიონი

იმანოვა ზინაიდა ახმედის ასული
კალმახელიძე ეთერ ილიას ასული
კუნინა ირინა გრიგოლის ასული
მალაღოვი არადანკულ ბახჩოს ძე

მახარაძის რაიონი

გობრონიძე თამაზ დავითის ძე
კოსლოვა ნინო ნიკოლოზის ასული

ქიმუცაძე იზოლდა გიორგის ასული
ცეცხლაძე ამირან გერასიმეს ძე

მანიპოვსკის რაიონი

ზიდელაძე გივი მინას ძე
ლაჭყეზიანი ეთერ რაუდენის ასული
ფულარაიანი ნანა კონსტანტინეს ასული

მესტიის რაიონი

გელაშვილი ნელი ვლადიმერის ასული
გვიჩიანი ანტონ დავითის ძე
კახიანი სილოვან იასონის ძე

მცხეთის რაიონი

დავლაძე ნუნუ პიმენის ასული
კვახაძე ვახტანგ ალექსანდრეს ძე
მელაშვილი გუგული არქიპოს ასული
ჭერვალიძე თეიმურაზ ნიკოლოზის ძე

ონის რაიონი

კალმახელიძე ნაზი ივანეს ასული
მაგრაქელიძე აკაკი ხახულის ძე
ჩიქვილაძე გალაქტიონ სილოვანის ძე

ორჯონიძის რაიონი

არევაძე დალი ვასილის ასული
მშვენდერაძე ჯუმბერ გრიგოლის ძე
ხიჯაკაძე ენვერ შალვას ძე

საპარაჯოს რაიონი

ალიევი ალი ასან ოღლი
ახალკაციშვილი არჩილ ალექსის ძე
ბუხნიკაშვილი რუსუდან პარმენის ასული
ზარნაძე ჯონი შოთას ძე

სამტრედიის რაიონი

ბექიაა რეზო ვლადიმერის ძე
მეგვენიშვილი კარლო გერონტის ძე
ნემსაძე ნინო დავითის ასული
ნომერიკი ინეზა ვარლამის ასული
სახმერის რაიონი

გოშაძე ზაურ ივანეს ძე
დეკანოიძე ელისაბედ გიორგის ასული
ლაბაძე ზეილო ვიქტორის ძე

სიღნაღის რაიონი

ბოჭორიძე სიმონ მიხეილის ძე
ოთარაშვილი ხვთისო იოსების ძე
ჭურთიაშვილი მარიამ მიხეილის ასული
ხატიაშვილი მერი ილიას ასული



თელავის რაიონი

აბაშიძე მიხეილ ალექსანდრეს ძე
ავბეწავაშვილი გურამ რაქვენის ძე
ღვწალი ლეილა ალექსანდრეს ასული
ზურაბიშვილი ლევან ბაგრატიის ძე

თარჯოლის რაიონი

არაშიძე ზურაბ მიხეილის ძე
გვგაშვილი ნორა გრიგოლის ასული
მაკარაძე დიდიმ გაიოზის ძე
მაჩიტაძე გივი გრიგოლის ძე

თეთრი წყაროს რაიონი

გვგაური ზაქარია ივანეს ძე
სულციშვილი გრიგოლ თომას ძე
ფრინდინსკია ნინო ივანეს ასული

თიანეთის რაიონი

ბიჭინაშვილი თედორე მიხეილის ძე
ბუჭიაშვილი ნათელა ლევანის ასული
ობგაძე თამაზ ალექსანდრეს ძე
ყურავეიშვილი ლამარა ალექსანდრეს ასული

ნაწურის რაიონი

გაგნიძე გიორგი ვასილის ძე
მჭედლაშვილი ეთერ არჩილის ასული
ფანჭველაშვილი ვაჟა ივანეს ძე
ტყეიძე მალხაზ ვარლამის ძე

სოფის რაიონი

ბახილაია ლირა ჩაქას ასული
კაცია იროდი თედორეს ძე
კვარაცხელია იური იროდიონის ძე
ყვანია როდინა მიხეილის ძე

ცაგერის რაიონი

კობალიანი დავით კაბიტონის ძე
მეშველიანი ლეილა გიორგის ასული
მუშკუდიანი კარლო სვეტიცხოვის ძე

წალენჯიხის რაიონი

გვასალია ზაურ თევდორეს ძე
ჭოღუხვაძე კვიციკო ვეის ძე
ზარქუა თინათინ დურტუს ასული
მიჭავა ზურაბ კაცოს ძე

წალკის რაიონი

გულიევი ბინათ მამედის ძე

ნალბანდიანი რუბენ აბელის ძე
ჩამურლიევა ანა სტეფანეს ასული

წითელწყაროს რაიონი

ბალაშვილი ქეთევან სიმონის ასული
მამაიაშვილი ნიკოლოზ პეტრეს ძე
თარაშვილი ნიაზი სოლომონის ასული

წულუპიძის რაიონი

მარჯანიშვილი ოთარ ვარლამის ძე
მაჭარაძე ოთარ ვიქტორის ძე
ჩიმაშაძე ანგელინა ივანეს ასული

ცხაპიანის რაიონი

ლატარია ნია ესტატეს ასული
ფოფხაძე ელენე ალექსანდრეს ასული
შარტავა კალისტრატე თეოდორეს ძე
ჯანელიძე ნათელა მიხეილის ასული

ჩხოვბატაშის რაიონი

შენცი ლეილა ვასილის ასული
ტულუში მერაბ ივანეს ძე
ჯინჭარაძე ზინა შოთას ასული

ჩხორწყლის რაიონი

გულუა ციფრი დავითის ასული
ბაბავა ლიდა ნიკოლოზის ასული
ბაბავა იასონ ფარანას ძე
თოლოორდვა სერგი ნიკოლოზის ძე

ავსჯანეთის ხსრ

ბელთაძე თამარ კაბიტონის ასული
გუმბაზ ივანე ზიგოს ძე
ვარდანია ილა მენდის ასული
ზუნბა სერგი ლადოს ძე
იპოლიტოვა თამარ სტეფანეს ასული
ლოშიძე ბენია ივანეს ძე

აჭარის ხსრ

მეტრეველი ვაჟა ნიკოლოზის ძე
პატარია დავით ივანეს ძე
ყაჭეიშვილი მანანა ვახტანგის ასული
ჯინჭარაძე ინზორ ნურის ძე

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

გაბიძე პოლინა გიორგის ასული
გუჩმაშოვი ზაურ ილას ძე
ლოპინი სერგი გიორგის ძე
ტახოევა ვენერა დავითის ასული

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მესამოცე წლისთავისათვის

სახელმწიფო იუბილე

ა. ინაური,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების
კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-პოლკოვნიკი

საბჭოთა ხალხმა, ყველა ქვეყნის კომუნისტებმა, მსოფლიოს პროგრესულ-მა ადამიანებმა ფართოდ და ზეიმით აღნიშნეს მე-60 წლისთავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიის ახალ ერას — სოციალიზმისა და კომუნიზმის ერას. იუბილეს წინ ეს ისტორიული მოვლენა აღინიშნა ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებით, რომელიც მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებათა ნამდვილ მაჩვენებელად გაისმა.

ოქტომბრის რევოლუციის ლენინური იდეების ცხოვრებაში განხორციელებამ ყოველმხრივი ასახვა ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ნათელ და ღრმაშინაარსიან მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავს.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, მეცნიერული კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის დიდი შენაძენია. მოხსენებაში განსაკუთრებით ღრმად და მრავალმხრივ, ნათლად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები ისტორიული გზა, რომელიც გაიარა ოქტომბრის სამშობლომ; ჩვენი უდიდესი მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები, მოცემულია საერთაშორისო მდგომარეობის მეცნიერული ანალიზი.

საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება — ყველაზე დემოკრატიული და ჰუმანური საზოგადოება კაცობრიობის ისტორიაში. პარტიამ აღზარდა ახალი, საბჭოთა ადამიანი — პატრიოტი, მშრომელი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი. ჩვენი საბჭოთა დემოკრატია სრულად და თანამიმდევრულად უზრუნველყოფა ხალხის სოციალურ თანასწორობასა და იდეურ-პოლიტიკურ ერთიანობას, პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების განუყოფლობას.

საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სამოცლიანი განვითარების კონცენტრირებულ შედეგად მოგვევლინა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც განამტკიცა განვითარებული სოციალიზმის მონაპოვარი და შექმნა ქვეყნის მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძველი.

კონსტიტუციის ზუსტი და ნათელი ფორმულირება იქიდან გამომდინა-

რეობს, რომ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში იზრდება კანონიერების, საზოგადოებრივი დისციპლინისა და მართლწესრიგის როლი, იზრდება საბჭოთა ადამიანის ღირსების პატივისცემა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ყველა თავისი დებულებით ამკვიდრებს სოციალური სამართლიანობის, სოციალური ჰუმანიზმის პრინციპებს, განამტკიცებს ორგანულ ურთიერთკავშირს მოქალაქეთა უფლებებსა და საზოგადოების წინაშე მათს პასუხისმგებლობას შორის.

უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ მოთხოვნად გვევლინება მოქალაქეთა მოვალეობა — დაიცვან სსრ კავშირის კანონები, პატივი სცენ სხვა მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, იყვნენ შეურიგებელნი ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისა და დანაშაულის მიმართ, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას. პარტია საბჭოთა ხალხს ზრდის კანონების განუხრელი დაცვის სულისკვეთებით, ამდღებს მშრომელთა სამართალშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის დონეს.

განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის ახალი ძირითადი კანონი განაზოგადებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ტიტანურ მოღვაწეობას, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს და გმირულ ცხოვრებას ოქტომბრის რევოლუციიდან დაწყებული დღემდე. ეს ისტორიული გზა უბრალო და იოლი როდი იყო.

სრულიად მართებული იქნება ამასთან დაკავშირებით თუ ვიტყვით, რომ ბევრი რამ, რაც ფიქსირებულია კონსტიტუციასა და ჩვენს სხვა კანონებში, ცხოვრების საბჭოთაო წესის ნიშანდობლივ მხარედ რომ იქცა, ჯერჯერობით აუხდენელ ოცნებად რჩება მილიონობით ადამიანთათვის, რომელთაც თავის თავზე იწვნიეს კაპიტალიზმის მთელი სიმძიმე.

ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მსოფლიოს რევოლუციური განახლების ეპოქა, სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის ეპოქა.

„ჩვენ ვიყავით პირველნი, — აღნიშნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, — ჩვენ ხშირად გვიჭირდა, უნდა გაგვეძლო მტრულ გარემოცვაში. და ახლა... ამჟამად შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ გავძელით, ჩვენ არ შევდრკით, ჩვენ გავიმარჯვით.“

ჩვენ გავიმარჯვით სამოქალაქო ომისა და შეიარაღებული ინტერვენციის მრისხანე, შფოთიან წლებში, როცა საბჭოთა ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

ჩვენ გავიმარჯვით პირველი ხუთწლეულების მძაფრ, ბოზოქარ წლებში, როცა წყდებოდა საკითხი — შეძლებდნენ თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები ისტორიის მიერ მათთვის მოცემულ უმოკლეს ვადაში ჩაეყარათ სოციალიზმის საძირკველი, გადაექციათ სამშობლო მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ჩვენ გავიმარჯვით დიდი სამამულო ომის მრისხანე, ქარცეცხლიან წლებში, როცა წყდებოდა საკითხი — გაუძლებდა თუ ვერა სოციალიზმი მსოფლიო იმპერიალიზმის დამკვრელური ძალების შემოტევას, იხსნიდა თუ ვერა კაცობრიობას ფაშისტური დამონებისაგან.

ჩვენ გავიმარჯვით რთულ, დაძაბულ ომისშემდგომ წლებშიც. „ცივი ომი-სა“ და ატომური, შანტაჟის ვითარებაში სწრაფად აღვადგინეთ დანგრეული მეურნეობა, მივალწიეთ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიჯნებს.“



ჩვენი ქვეყნის ბევრ გამარჯვებაში ჩაქსოვილია ჩეკისტების რამდენიმე თაობის დიდი შრომა. ჩვენი საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცების ყველა ეტაპზე ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ბევრი თანამშრომელი უყოყმანოდ სწირავდა სიცოცხლეს, ღვრიდა სისხლს დიადი და სამართლიანი საქმისათვის, რომელსაც სათავე დაუდო დიდმა ოქტომბერმა.

და რაც უფრო მეტი დრო გადის ოქტომბრის ლეგენდარული ამბებიდან, მით უფრო დიდებულად წარმოგვიდგება მათი გმირობა, ვინც თანამედროვე ეპოქის გენიალური მოაზროვნისა და უდიდესი რევოლუციონერის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით რაზმავდა და მიუძღოდა მასებს კაპიტალზე საიერაშოდ, საძირკველს უყრიდა სოციალიზმს, კლასობრივ მტერთან მძიმე ბრძოლებში იცავდა მსოფლიოში პირველ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს.

სახელოვან რევოლუციონერ-ლენინელთა შორის დირსეული ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, რევოლუციის კეთილშობილ რაინდს, პირველ ჩეკისტს ფ. ე. ძეჩენსკის, რომლის დაბადების მეასე წლისთავი მიმდინარე წლის სექტემბერში აღინიშნა.

ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მიდიოდა ახალი, გაუკვალავი გზით. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვლო ეს გზა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმაც, რომლის სამოცი წლისთავსაც ჩვენ აღვნიშნავთ.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სამოცი წელი ჩვენი სამშობლოს უშიშროებისათვის, საბჭოთა ხალხის საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლის სამოცი წელია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დამხობილი ექსპლოატატორული კლასები საერთაშორისო ბურჟუაზიის ფინანსური, სამხედრო, პოლიტიკური და მორალური დახმარებით გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. კაცობრიობის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა პროლეტარული სახელმწიფოს მოხრჩობის მიზნით მათ სამოქალაქო ომი გააჩაღეს. შეთქმულებებს, პროვოკაციებს, ჯაშუშობას, მავნებლობას, დივერსიებს, საბოტაჟს, ტერორსა და ძირგამოთხრელი საქმიანობის სხვა რა ფორმას არ მიმართავდნენ შინაგანი კონტრრევოლუცია, იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობები და მათი დაზვერვები ჩვენს ქვეყანაში ძველი, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენის მიზნით.

უცხოელ ინტერვენტთა და შინაურ კონტრრევოლუციონერთა გააფთრებულ, შეიარაღებულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ წინააღმდეგობას, ეკონომიკის დეზორგანიზაციასა და საბოტაჟს, სისხლიან ბურჟუაზიულ ტერორს მუშათა კლასმა მაღალი ორგანიზებულობა და შეგნებული დისციპლინა, თავისი პარტიის გარშემო შეკავშირება და რევოლუციური სიფხიზლე დაუპირისპირა. საჭირო იყო გაბედული ღონისძიებანი რეაქციის შემოტევის მოსაგერიებლად, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ისეთი ორგანო, რომელსაც შეთქმულთა ყოველი ნაბიჯი ეცოდინება და, მუშათა და გლეხთა თანაგრძნობით, დაუნდობელი, სწრაფი და დაუყოვნებელი „რეპრესიით“ აღკვეთდა კონტრრევოლუციის ყოველგვარ ხრიკებს.

ასეთი ორგანო გახდა 1917 წლის 20 დეკემბერს შექმნილი სრულიად რუსეთის კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო

კომისია — ჩეკა, რომლის სათავეში პარტიამ ფელიქს ედმუნდის ძე ძერკინსკი დააყენა.

თავისი საქმიანობის პირველი დღეებიდანვე სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას შეებმა მრუხდა კონტრრევოლუციასთან, აგრეთვე, იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვებთან, რომლებსაც მზვერავთა კვალიფიციური კადრები ჰყავდათ და ძირგამომხრელი მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. საგანგებო კომისიას არ ჰყავდა და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა კონტრდაზვერვის ხელოვნების მცოდნე გამოცდილი კადრები. პირველი კონტრმზვერავი ჩეკისტები გახდნენ პროფესიული რევოლუციონერები და რევოლუციის საქმის ერთგული მუშები, მშრომელი გლეხობა, ჯარისკაცება და მატროსები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ გაგზავნა საბჭოეთის რესპუბლიკის უშიშროების დაცვის ორგანოებში სამუშაოდ.


სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანოებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა და გლეხთა მხარდაჭერით უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში, შემდგომ, მშველდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში გამოავლინეს და მოსპეს ასობით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია და შეთქმულება, უვნებელჰყვეს ითასობით ჯაშუშში, დივერსანტი, ტერორისტი და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა მტრები, მათ შორის ისეთი უდიდესი კონტრრევოლუციური ორგანიზაციები, როგორიც იყო „სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის კავშირი“, მემარჯვენე ესერა ბორის სავინკოვი რომ ხელმძღვანელობდა, „ეროვნული ცენტრი“, ინგლისელი ჯაშუშების ლოკარტის, დიუქსისა და სხვათა შეთქმულებანი.

იმპერიალისტური დაზვერვისა და შინაგანი კონტრრევოლუციის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მძაფრი ფორმა იყო ბანდიტიზმი. იმპერიალისტები საბჭოთა რესპუბლიკის მოსაზღვრე ქვეყნებში ქმნიდნენ ბანდიტურ რაზმებს და გადამოისროდნენ ჩვენს ტერიტორიაზე კონტრრევოლუციური ამბოხებების მოსაწყობად და სამეურნეო ღონისძიებათა ჩასაშლელად. ქვეყნის შიგნით ბანდები იქმნებოდა განადგურებული თეთრგვარდნილი ნაწილების ნარჩენებისაგან, კულაკების, ანარქისტებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეებისაგან, დევლასირებული ელემენტებისაგან.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, რომელიც თავის ძირითად ფუნქციებს ასრულებდა და შეურიგებლად ებრძოდა გარეშე და შინაურ კონტრრევოლუციას, ამავდროს მრავალ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეშიც მონაწილეობდა.

საყოველთაოდ ცნობილია ჩეკისტთა ჰუმანური მისია, როცა პარტიამ ფ. ე. ძერკინსკის მეთაურობით მათ დაავალა ბავშვთა უპატრონობის — იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების დამლუბველი შედეგის — ლიკვიდაცია. ჩეკას თანამშრომელთა და პირადად ფელიქს ედმუნდის ძის თავდადებულ და ბტკიცე მოქმედების წყალობით ხუთი მილიონი ბავშვი გადაურჩა შიმშილს, ავადმყოფობასა და დამნაშავეობას. ისინი საბჭოთა საზოგადოების აქტიური მშენებლები გახდნენ. და ეს მოხდა უსურსათობისა და ყოველდღიური გაჭირვების ვითარებაში. ხშირად ჩეკისტი ბავშვებს უნაწილებდა თავის ღარიბულ ულუფას, შიშველ-ტიტვლებს სიცივისაგან თავისი ფარჯის კალთით იფარავდა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკური სიფხიზლის, ჩეკისტთა თავდადებული საქმიანობის მეოხებით გაცრუვდა იმპერია-



ლისტთა იმედი, რომ შეძლებდნენ ჯაშუშობის, დივერსიის, ამბოხების, ბანდიტიზმის საშუალებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. საბჭოთა სახელმწიფო წლითიწლობით სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ შეწყვიტა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა, პირველ პლანზე დააყენა სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვის საკითხები.

მტრის მასირებულ დარტყმას პირველებმა ჩვენმა მამაცმა ჩეკისტებმა — მესაზღვრეებმა შეუშვირეს მკერდი. მათ უმეგალითო გაქცევა და გამირობა გამოიჩინეს.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ბრწყინვალე და დაუვიწყარი ფურცლები ჩაწერეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლის გამართულ მატეანეში.

ამ პერიოდში აშკარა შეიარაღებულ ბრძოლასთან ერთად მიმდინარეობდა გააფთრებული ფართული ომი, რომელიც მასშტაბითა და დაძაბულობით უბაღლო იყო მსოფლიო ისტორიაში.

ომის პერიოდში მტრის ძირგამომხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე გადაიტანეს სამხედრო კონტრდაზვერვის ორგანოებმა, სახელმწიფო უშიშროების რესპუბლიკურმა, სამხარეო, საოლქო, რაიონულმა აპარატებმა, აგრეთვე საბჭოთა ჩეკისტებმა, რომლებიც მტრის ზურგში მოქმედებდნენ.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირზე ვერაგული თავდასხმის წინ ფაშისტურ გერმანიაში შეიქმნა დაზვერვის მძლავრი აპარატი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ძირგამომხრელი საქმიანობისათვის.

ამ საქმიანობის მასშტაბებზე შეიძლება ვიმსჯელოთ, მაგალითად, ასეთი მონაცემებით:

სამამულო ომში საბჭოთა — გერმანიის ფრონტზე მოქმედებდა „აზვერის“ ასოცდაათამდე დაზვერვის, დივერსიული და კონტრდაზვერვის ჯგუფი, სამოცამდე სკოლა, სადაც ჯაშუშებს, დივერსანტებსა და ტერორისტებს ამზადებდნენ.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს დაუსახეს საბრძოლო ამოცანა — მთელი თავიანთი ძალებით თავის თავი მოეყარათ პიტლერული გერმანიის დაზვერვის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყოველნაირად დახმარებოდნენ შეიარაღებულ ძალებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში, დაეცვათ საბჭოთა ჯარები და ზურგი ჯაშუშებისაგან, დივერსანტებისა და ტერორისტებისაგან.

ამ მუშაობაში, ისევე როგორც სხვა დიდმნიშვნელოვან სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ღონისძიებებში, აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ჩეკისტები. ისინი წარმატებით იბრძოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გერმანიის აგენტურის შემოღწევის წინააღმდეგ. მარტო 1942-1943 წლების მანძილზე ფაშისტურმა სადაზვერვო ორგანომ „ციბელინმა“ საქარველოში შემოგზავნა კარგად შეიარაღებული და ეკიპირებული ათობით საჯაშუშო-სადივერსიო ჯგუფი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეასრულა თავისი პატრონების დავალება.

რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომლებმა

სამხედრო კონტრაზვერვასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით საიმედო და-ბრკოლება აღმართეს მათს გზაზე. კარგად დამუშავებული ოპერაციის შედეგად იმ პერიოდში მათ შეძლეს კონტროლი დაეწესებინათ რესპუბლიკაში „ცეპელინის“ აგენტურის ყოველი შემოგზავნისადმი. ამან საშუალება მისცა ჩეკისტებს არათუ დროულად ეგდოთ ხელთ ჯაშუშები და დივერსანტები მთელი თავიანთი საჭურვლით, არამედ მოეხდინათ მტრის დეზორიენტაცია, შეექმნათ ჩვენს ტერიტორიაზე მათი წარმატებული მოქმედების შთაბეჭდილება.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა შექმნეს მტკიცე და საიმედო ფარი საარსებოდ დიდმნიშვნელოვან ცენტრებში მტრის აგენტების შემოღწევის წინააღმდეგ. ჩეკისტებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვაჟაკურად დაიცვეს დიდი ოქტომბრის მონაპოვრები და თავიანთი წვლილი შეიტანეს ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში.

ღეგნადა იქცა სახელმწიფო მშვერავების საბჭოთა კავშირის გმირების ნ. ი. კუზნეცოვის, რ. ა. ზორგეს, ვ. ა. მოლოდცოვის, ი. დ. კუდრის, ვ. ი. ლიაგინის და ბევრი სხვა ჰამაცი ჩეკისტის ვაჟაკობა, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლაში. მათი სახელები მარად დარჩება საბჭოთა ადამიანების ხსოვნაში, ხოლო მათი გმირობა ვაჟაკობისა და ხალხის უსაზღვრო ერთგულების მაგალითი იქნება.

ომისშემდგომ წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის უშიშროების ორგანოებმა, დიდი მუშაობა გასწიეს, რათა გამოემყლაგებინათ და ჰვენებელეყოთ ფაშისტური აგენტურა, დამსჯელები და სხვა პირნი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰიტლერელთა ბოროტმოქმედებაში.

ცხოვრებამ გვიჩვენა საბჭოთა წყობილების შეურყევლობა, ჩვენი ხალხის ურყევი სიმტკიცე ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავად.

ჩვენმა ქვეყანამ მალე მოიშუშა ომით მიყენებული ჰრილობები და სწრაფად დაწინაურდა ეკონომიკური, სოციალისტური ცხოვრების ყველა დარგში. მსოფლიო ასპარეზზე შეიცვალა ძალთა თანაფარდობა, სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს, შეიქმნა სოციალისტური ქვეყნების სისტემა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ სოციალიზმის პოზიციების განსამტკიცებლად, ხალხთა თავისუფლებისა და მშვიდობის დასაცავად, იმპერიალიზმის აგრესიულ მოქმედებათა ჩასაფრებად. საბჭოთა კავშირი, ისე როგორც აღრე, თანმიმდევრულად იცავს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს.

დღეს იმპერიალიზმს უპირისპირდებიან სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა კლასისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ძალები. იმპერიალიზმი თავის სასარგებლოდ ვეღარ შეატრიალებს ისტორიის ჩარხს, მისი ძალები შესუსტდა და დაჟარგა ყოფილი გაბატონებული მდგომარეობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს მას ხელი აეღოს ამგვარ ცდებზე. ჩვენს დროშიც სავსებით ინარჩუნებს თავის აქტუალობას ვ. ი. ლენინის გაფრთხილება, რომ „ბურჟუაზია... დასაღუბად განწირული კაპიტალისტური მონობის გადასარჩენად მზად არის ჩაიდინოს ყოველგვარი ველურობა, მხეცობა და დანაშაული“.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ იმპერიალისტები განაგრძობენ ფარულ ომს,



განაგრძობენ. თავიანთ ძირგამომთხრელ მტრულ საქმიანობას ჩვენი სახელმწიფოსა და სოციალისტური ქვეყნების მთელი თანამეგობრობის წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარეობს უმნიშვნელოვანესი დასკვნები. ვიდრე დედამიწაზე არსებობენ სოციალიზმის, პროგრესისა და ხალხთა თავისუფლების მტრები, ჩვენ არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მახვილი.

„ამიტომ ჩვენ დღესაც უნდა გამოვიჩინოთ დიდი სიფხიზლე, — აღნიშნა ფ. ე. ძერჟინსკის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა, — და ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩავშალოთ სოციალიზმის მტრების ხრიკები. ეს მოაჩნია პარტიას ჩვენი ქვეყნის ანა მარტო სახელმწიფო უშიშროების, არამედ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის, ყველა მოქალაქის მოვალეობად“.

უკანასკნელ წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ამხილეს იმპერიალისტური სახელმწიფოების სპეციალური სამსახურების ბევრი ძირგამომთხრელი აქცია, უგუნებელპყვეს მრავალი გამოცდილი მზვერავი და აგენტი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიოდნენ უცხოელი სპეციალისტი კომერსანტების, გამოფენების თანამშრომლების, ტურისტებისა და სხვათა ნიღბით.

სსრ კავშირიდან გააძევეს კაპიტალისტური ქვეყნების ათობით დიპლომატი და კორესპონდენტი, რომლებიც ჯამუშურ და სხვა ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ.

გარკვეული წვლილი ამაში საქართველოს ჩეკისტებმაც შეიტანეს.

არც ერთი დღით არ ცხრება სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ბრძოლა კაპიტალისტური სპეცსამსახურების ხრიკების წინააღმდეგ. განსაკუთრებით გამწვავდა იგი იმპერიალიზმის იდეოლოგიური დივერსიის დარგში — ეს არის გაწაფული მოქმედების მთელი სისტემა, რომლის მიზანია სოციალისტური ქვეყნების შიგნიდან დასუსტება, მათი გათიშვა და გადაგვარება.

იმპერიალიზმის სპეციალური სამსახურები ყოველგვარ საშუალებას და ძალას იყენებენ, რათა საბჭოთა ხალხის სულიერ სამყაროში შეიჭრან, შეიტანონ მასში ეკვი, თავს მოახვიონ მას უცხო ჩვევები და შეხედულებები. მიიღწიონ იმპერიალიზმისათვის ხელსაყრელ პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებსა საბჭოთა საზოგადოებაში.

იდეოლოგიური დივერსიის ყველა აქციის მიზანია შეუმჩნევლად გამოიწვიოს საბჭოთა ადამიანის პიროვნების გადაგვარება, რაც გამოიხატება იდეურ, მორალურ დაცემაში, დანაშაულებრივ მოქმედებაშიც კი.

მაგრამ ისინი ცდებიან. ჩვენში უკვე დიდი ხანია აღარ არის დანაშაულის სოციალური პირობები. რაც შეეხება ცალკეულ პიროვნებებს, მაინც რომ ხვდებიან ხოლმე სპეცსამსახურების ქსელში, ისინი ერთეულები არიან და არ გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების განწყობილებას.

ამ ბოლო დროს სოციალიზმის მოწინააღმდეგენი სულ უფრო ხშირად ტყვენ აურზაურს „უფლებებისა და თავისუფლებების“ ყბადაღებული საკითხის გარშემო. დასავლეთში ფართოდება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ კამპანია პიროვნების დაცვის აღმით. ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტისაბჭოურობის გასაღვივებლად აქტიურად

იყენებენ ცილისმწამებლურ მონაჩმასებს, თითქოს „სსრ კავშირში ირღვეოდეს ადამიანის უფლებები“.

ამერიკის შეერთებული შტატები არ სჯერდება თავის ქვეყანაში ამ საკითხის გამწვავებას და ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, ოღონდ საერთაშორისო ფორუმებზე გაიტანოს იგი. ამასვე ცდილობდა აშშ ჰელსინკის თათბირების მონაწილე 35 სახელმწიფოს წარმომადგენელთა ბელგრადის შეხვედრაზეც, მაგრამ მისი ცდები ამოცანა გამოდგა.

ბურჟუაზიული პროპაგანდა საქმეს იმგვარად წარმოსახავს, თითქოს საბჭოთა წყობილება ვერ ურიგდება თავისი მოქალაქეების დამოუკიდებელ აზროვნებას, დეენის „სხვაგვარად მოაზროვნებს“, ესე იგი იმით, ვინც ისე არ ფიქრობს, როგორც ამას ოფიციალური ხაზი მოითხოვს.

ამ ცილისწამებას საკადრისი პასუხი გასცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, სადაც ზუსტად ჩამოაყალიბა პარტიული პოზიცია ამ საკითხში.

„ჩვენში, — თქვა მან, — აკრძალული არ არის „სხვაგვარად იაზროვნო“, ვიდრე უმრავლესობა აზროვნებს, საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარის კრიტიკული შეფასება. ამხანაგებს, რომლებიც დასაბუთებულად, საქმის გაუმჯობესების მიზნით გვაკრიტიკებენ, ვეკიდებით როგორც კეთილსინდისიერ კრიტიკოსებს, და მათი მადლობელი ვართ. იმათ კი ვინც მცდარად გვაკრიტიკებს, ვეკიდებით როგორც შემცდარ ადამიანებს.“

სულ სხვა საქმეა, როცა ჩვენს საზოგადოებას მოწყვეტილი რამდენიმე პიონი აქტიურად ილაშქრებს სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ, აღგება ანტისაბჭოთა საქმიანობის გზას; არღვევს კანონებს... ბუნებრივია, რომ მათ მიმართ ვიღებთ და მივიღებთ კიდევ ჩვენი კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს!“

სწორედ ასე იქცევა ჩვენი სახელმწიფო და ამ საკითხში ჩვენი მოქმედება მთლიანად შეესაბამება დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის შესახებ ვ. ი. ლენინის ანდერძს.

კომუნისტური პოზიციების გამაგრება ჩვენს საზოგადოებაში ითხოვს მთელი იდეური და სამართლებრივი სისტემის შემდგომ განვითარებას, წარსულის გადმონათმეობას, ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებთან ყოველდღიურ და გადამწყვეტ ბრძოლას.

ჩვეისტები, რომლებიც ფხიზლად იცავენ ჩვენი სახელმწიფოს უშიშროებას, დიდ ყურადღებას უთმობენ იმ ცალკეული მოქალაქეების დამნაშავეობის, ანტისაზოგადოებრივი ქცევის თავიდან აცილების საკითხებს, რომლებიც მტრული პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოექცნენ.

ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება დანაშაულობის თავიდან აცილებენ ღონისძიებათა დიდი კომპლექსი და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი საგულისხმო გამოცდილება გვაქვს შექმნილი.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებაში ახლა უფრო ფართოდ მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ეს ამალგებს პროფილაქტიკის ეფექტიანობას, ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ და სამართლებრივ აღზრდას.

ჩვენი პროფილაქტიკური ღონისძიებანი ხორციელდება ადამიანისადმი ღრმა პატივისცემის საფუძველზე. ისინი შეესაბამება სახელმწიფოსა და პი-

როვნების ურთიერთობის შესახებ, მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობის შესახებ ძირითადი კანონის დებულებებს.

მთავარ ამოცანას — დროულად აღკვეთით დანაშაული, შევაჩეროთ ადამიანი მცდარი ნაბიჯისაგან ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი კანონის საზღვარს არ გადაცდებ, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები გონივრულად უხამებენ დარწმუნებისა და იძულების მეთოდებს, რადგან დარწმუნების მეთოდის გამოყენების გარეშე იძულების ძალა კარგავს თავის ზემოქმედებას, უაზროა სამართალდამრღვევთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მყარი შედეგები.

ჩვენს საერთო-სახალხო სახელმწიფოში იძულების სფერო თანდათან ვიწროვდება. ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე, მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებანი საბჭოთა სისხლის-სამართლის, პროცესუალურ და შრომაგასწორების კანონმდებლობაში, რაც მიღებულია მიმდინარე წლის თებერვალში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შევსატუსტოთ ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები კვლავაც განაგრძობენ ბრძოლას მათ წინააღმდეგ, ვინც ხელყოფს სოციალისტურ მართლწესრიგს, უზრუნველყოფენ რა იმათი დასჯის გარდუვალობას, ვინც ანგარიშს არ უწყევს საბჭოთა კონსტიტუციაში გამოხატულ მშრომელთა ნებას. არავისა აქვს უფლება ხელყოს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესები, ნურავინ იფიქრებს რომ კანონის დამრღვევი დაუსჯელი დარჩება. „დამნაშავეობა, ანტისაზოგადოებრივი მოქმედების რომელიც გნებავთ ფორმა, — ხაზგასმით თქვა ლ. ი. ბრეჟნევი, — ეს სოციალური ბოროტებაა და მასთან ყოველდღიური ბრძოლაა საჭირო, სერიოზული და დაუნდობელი ბრძოლა“.

წლების მანძილზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მთელი საქმიანობა აგებულია საბჭოთა კანონების საფუძველზე, რომელიც გამოხატავს პარტიის პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს და საბჭოთა ხალხის ინტერესებს.

კანონის მოთხოვნები აუცილებელია თვითეული ჩვენგანისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა მდგომარეობა უჭირავს მას. არ შეიძლება კანონის არავითარი გადახვევის, ან მისი შემოვლის ცდის მოთმენა. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კანონი, ჭეშმარიტ დემოკრატიზმსა და მაღალ ჰუმანიზმს გამოხატავს, იცავს ჩვენს კეთილდღეობას და უშიშროებას. მას პატივი უნდა ვცეთ, განუხრელად უნდა დავიცვათ, და ეს უნდა მოვთხოვოთ ჩვენს გარეშემო მყოფთაც.

ჩვენი ლენინური პარტია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანი დარწმუნებული იყოს — მის უფლებებს და თავისუფლებას საიმედოდ იცავს სახელმწიფო, საბჭოთა საზოგადოება, კანონდამცველი ორგანოები.

კონსტიტუციური ნორმებისა და სოციალისტური კანონმდებლობის დაცვა ყოველთვის შეუტდომლად და შეუფერხებლად როდი მიმდინარეობდა.

„ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე, — რომ ამაჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ცალკეულ წლებს დადი დასავა უკანონო რეპრესიებმა, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების, პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევამ. ეს ხდებოდა კონს-

ტიტუტუიურ დებულებათა საწინააღმდეგოდ. პარტიამ გადაჭრით დაგმო ასეთი პრაქტიკა და ეს აღარასოდეს არ უნდა განმეორდეს“.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია სრულად ასახავს სოციალისტური კანონიერების ლენინურ პრინციპებს, იძლევა საბჭოთა მოქალაქის უფლებათა დაცვისა და თავისუფლების გარანტიას. იგი თანამიმდევრულად ახორციელებს მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობათა, სოციალისტური დემოკრატიისა და დისციპლინის ერთიანობის პრინციპებს. ამ ერთიანობაში სახელმწიფოებრიობის მეტად მნიშვნელოვანი საფუძვლები დევს.

ჩვენთვის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობისთვის, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ჩეკისტისათვის, გარდუვალი კანონია უმნიშვნელოვანესი ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ ჩვენი ძალა პარტიის ხელმძღვანელობაშია, მისი ღირებულებების განუხრელ შესრულებაშია, აგრეთვე მშრომელებთან მჭიდრო კავშირსა და მტრულ ელემენტებთან ბრძოლის დროს მათს მხარდაჭერაშია.

ამ ლენინურ დებულებათა ცხოვრებაში მტკიცე და განუხრელი განხორციელების წყალობით ბოლო წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. საბჭოთა აღმდინები თვალნათლივ რწმუნდებიან, რომ ჩეკისტები საიმედოდ იცავენ ოქტომბრის მონაპოვარს, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება მათი საქმიანობის განუხრელი პრინციპი გახდა.

დღეს ყველა ხედავს, რომ არც ერთი პატიოსანი საბჭოთა აღმდინი არ არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული. ამავე დროს საბჭოთა აღმდინები დარწმუნებულნი არიან, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ვერც ერთი მტერი ვერ გადაურჩება კანონიერ მისაგებელს.

საქართველოს ჩეკისტები, როგორც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთი რაზმი, ფხიზლად ადევნებენ თვალყურს საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ხრიკებს, იღებენ ზომებს როგორც კაპიტალისტურა ქვეყნების სპეციალური სამსახურების, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის შიგნით არსებული მტრული ელემენტების დროული მხილებისა და მავნებლური მოქმედების აღკვეთისათვის.

ამაში ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს ბევრი პატიოსანი საბჭოთა აღმდინი. ქართველი ჩეკისტები მაღლობელი არიან მათი, იმ ფასდაუდებელი და აქტიური დახმარებისათვის, რომელსაც ისინი უწევენ სახელმწიფო უშიშროებას კომიტეტს მის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში. განსაკუთრებით პაღლიერი ვართ რესპუბლიკის სასახლეგრო რაიონების მცხოვრებლებისა, რომლებიც ამ მხრივ სამავალითო თავდადებას იჩენენ. მათი დახმარებით არა ერთი დამრღვევია შეპყრობილი.

დღეს საქართველოს მშრომელთა მთელი საქმიანობა იქით არის მიმართული, რომ ცხოვრებაში განახორციელოს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც უმნიშვნელოვანესი საეტაპო ნიშანსვეტია კომუნისტისაკენ მიმავალ გზაზე.

მიმდინარე წლის 3 ნოემბერს კრემლში გამართულ საზეიმო სხდომაზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი ნათქვამია: „...კვლავაც ღირსეულად განვაგრძოთ ოქტომბრის საქმე, დაუცხრომლად განვაძტკიცოთ დიადი სამშობლოს ძლიერება, სსრ კავში-



რის ხალხთა მეგობრობა და ძმობა“. ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მათ შორის ჩვეისტებიც.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომლებს, რომლებიც უდიდეს მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიას ყურადღებისა და ზრუნვისათვის, თავიანთი მუშაობა მიაჩნიათ კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, საბჭოთა საზოგადოებრიობის პოლიტიკური სისტემის სრულყოფისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური გეზის განხორციელებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის შემადგენელ ნაწილად.

ღრმა მადლობის გრძნობით აღიქვამენ ჩვეისტები თავიანთი მძიმე, მაგრამ პარტიისა და ხალხისათვის აუცილებელი შრომის მაღალ შეფასებას, რაც მათ სკკპ XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ანხ. ლ. ი. ბრეჟნევიმ მისცა. ამან უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებში გამოიწვია დიდი პოლიტიკური შრომითი აღმავლობა, სურვილი — იმუშაონ კიდევ უფრო მეტი ენერჯითა და თავდადებათ.

XXV ყრილობამ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების წინაშე, ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, ახალი მნიშვნელოვანი ამოცანები დააყენა.

ეჭვი არ არის, რომ ჩვეისტები ყველაფერს გააკეთებენ, რაც მათზეა დამოკიდებული, რათა ღირსეულად შეასრულონ ეს ამოცანები, კვლავაც იქნებიან საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის საიმედო დამცველები.

ამ ცოტა ხნის წინ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, განვითარებული სოციალიზმის აქტუალური პრობლემების მეცნიერული დამუშავებისა და კომუნისტური იდეალებისათვის მსოფლიოსტორიული ბრძოლისათვის, აგრეთვე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედლით დაჯილდოების შემდეგ, თავის გამოსვლაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევიმ თქვა:

„ჩვენს წინ მაღალი პორიზონტები და ნათელი მიზნებია და ჩვენ კარგად ვიცით მათეონ მიმავალი გზა. ამ გზაზე წარმატებით სვლისათვის საჭიროა დაუღალავი, შემოქმედებითი შრომა, საჭიროა პარტიისა და ხალხის უდიდესი ორგანიზებულობა და შეკავშირება, განმტკიცებული ცხოველყოფელი მარქსისტულ-ლენინური იდეალებით“.

ამ ბევრისმთქმელ სიტყვებში გამოხატულია საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და შრომის მთავარი მიმართულება. ჩვენ მას ვიხილავთ, როგორც პირდაპირ მითითებას და ზუსტ ორიენტირს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების შემდგომ საქმიანობაში.

ვიწყებთ რა ჩვენი ისტორიის მეშვიდე ათწლეულს, აღვეთქვამთ ჩვენს მშობლიურ ლენინურ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტიბიუროს და მის მეთაურს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ ბეჯითად ვიშრომებთ და საიმედოდ უზრუნველყოფთ ჩვენი დიადი სამშობლოს სახელმწიფო უშიშროებასა და სახელმწიფო ინტერესებს.

საბჭო
ანათო
ბატა
სამწიფო



ქანონიკებისა და მართლწესრიგის საღაჯოჯო

პ. კატილაძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი,
გენერალ-ლეიტენანტი

საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ღირსეულად აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი. ამ თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართა, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალების მორიგი დათვალეირების მძლავრ დემონსტრაციად, მშრომელ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ღრესასწაულად გადაიქცა.

„მსოფლიო ისტორიის არცერთ მოვლენას, — თქვა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევმა, — არ მოჰყოლია ისეთი ღრმა და ხანგრძლივი შედეგები კაცობრიობისათვის, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას მოჰყვა. ოქტომბრის შუქმა მომავლის გზა გაუნათა ბევრი ქვეყნის ხალხებს. ისტორია სწორედ, რომ გოლიათური ნაბიჯებით წავიდა წინ“¹

ამ საერთო-სახალხო ღრესასწაულს მოჰყვა ოქტომბრის ქარცეცხლში დაბადებული საბჭოთა მილიციის მე-60 წლის იუბილე. საბჭოთა მილიცია 1917 წლის 10 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის მესამე დღეს ჩამოყალიბდა. სწორედ ამ დღეს ვ. ი. ლენინის მითითებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო დადგენილება „მუშათა მილიციის შესახებ“.

საბჭოთა მილიციის შესახებ ამ პირველ აქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მასში გამოხატულება ჰპოვა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების შექმნის ლენინურმა იდეამ, — მილიციის საქმიანობისადმი პარტიულმა ხელმძღვანელობამ და მილიციის მშენებლობაში მშრომელი მოსახლეობის ფართო მონაწილეობამ.

რევოლუციის ქარცეცხლში შობილმა საბჭოთა მილიციან, რომელიც ხალხის წიაღიდან გამოვიდა, ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა განვლო და ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი დიდი სამშობლოს გმირულ მატინეში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში პროლეტარული რაზმებისაგან შექმნილი სახალხო მილიცია, რომელიც ერთდროულად ასრულებდა არმიისა და სახელმწიფო წესრიგის დაცვის ორგანოს ძირითად ფუნქციებს, მედგრად უმკლავდებოდა რევოლუციის მტრებს, გარეშე და შინაგან კონტრრევოლუციურ ძალებს; საიმედოდ იცავდა სახელმწიფოს და მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს.

საბჭოთა მილიციის ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს და რევოლუციის დიადი ბელადის ვ. ი. ლენინ-

¹ ვ. ბ. „კომუნისტი“, 3 ნოემბერი, 1977 წ.

ნისა და მისი თანამებრძოლების ფ. ე. ძერუინსკის, ი. ბ. სტალინის, მ. ი. კალინინის, ვ. ვ. კუბიშევის, კ. ე. ვოროშილოვის, მ. ვ. ფრუნზეს, გ. ი. პეტროვის სახელებთან.

საბჭოთა მილიციის ისტორიას დამსახურებულად უწოდებენ გმირულს და ეს შემთხვევითი როდია. ისტორია არასოდეს დაივიწყებს გმირ მილიციელთა სახელებს, რომლებიც მეტად დაძაბულ და რთულ ვითარებაში, შეიძლება თანამად ითქვას, მშვიდრი და ნახევრად შიშველნი უბადლო ნებისყოფას, მამაცობას და გამბედაობას იჩენდნენ თავიანთ წინაშე დასახულ ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში.

დიად სოციალისტურ გარდაქმნათა პროცესებში მილიციის ორგანოების სტრუქტურა, მუშაობის ფორმები და მეთოდები იცვლებოდა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით, მაგრამ უცვლელი რჩებოდა საბჭოთა მილიციის საქმიანობის მთავარი მიმართულება — ხალხისადმი, სამშობლოსადმი ერთგული სამსახური. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში არ ვატარებულა და არ ტარდება არც ერთი ასეთი ისე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლის განხორციელებაში საბჭოთა მილიციის თავისი სიტყვა რომ არ ეთქვას, არ არის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომლის აღდგენასა და განვითარებაში საბჭოთა მილიციას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. საბჭოთა მილიციის მთელი პირადი შემადგენლობა რევოლუციური კანონიერების უმკაცრეს დაცვასთან, კონტრრევოლუციონერების, საბოტაჟნიკების, კონტრაბანდისტების, პოლიტიკური და კულაკური ბანდიტების, სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლასთან ერთად, მხარში ედგა სოციალიზმის მშენებლებს, რათა დაჩქარებულიყო მთელი სახალხო მეურნეობის მშენებლობის ტემპები, განმტკიცებულიყო ქვეყნის ეკონომიური ძლიერება.

უაღრესად მრავალმხრივია მილიციის საქმიანობა. მის ისტორიას, ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა სახელმწიფოებრივი ორგანოს ისტორიას, აქვს თავისი განმასხვავებელი, განსაკუთრებული ფურცლები, ეტაპები. ასეთია მისი მონაწილეობა სამოქალაქო ომში. ლენინურ მოწოდებას — „სამშობლო საფრთხეშია!“ — პირველნი გამოეხმაურნენ საბჭოთა მილიციის თანამშრომლები. მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთი კონუნისტური პარტიის ტიტანური მოღვაწეობით ვაჟაკურად უმკლავდებოდა 14 კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოტევას, როდესაც სამოქალაქო ომის ქარცეცხლი გიზგიზებდა და ბეწვზე ეკიდა სოციალისტური სამშობლოს ბედი, საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობის ორი მესამედი მოხალისედ წავიდა სამოქალაქო ომის ფრონტზე. ისინი გმირულად იბრძოდნენ სოციალისტურ სამშობლოს დაცვისათვის.

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში საბჭოთა მილიციას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მისია ჰქონდა დაკისრებული. დამარცხებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნადგურებელი კლასობრივი მტერი არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას, რათა სისხლის მორევში ჩაეხრჩო რევოლუციის მონაპოვრები, ჩაეშალა სოციალისტური აღმშენებლობის გეგმები. საბჭოთა მილიცია იარაღით ხელში წითელი არმიის, სავანგებო კომისიის (შემდგომ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) ორგანოებისა და განსაკუთრებული დანიშნულე-

ბის ნაწილებთან ერთად მედგრად იცავდა სახელმწიფოს და მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს. ამასთანავე აქტიურ დახმარებას უწევდა ფინანსთა, იუსტიციის, მიწათმოქმედების, შრომის, ფოსტა-ტელეგრაფის, ჯანმრთელობის და სასწრაფო სახალხო კომისარიატებს, რკინიგზისა და საზღვაო დაწესებულებებს, ადგილობრივ საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციაზე გადასვლის პროცესი მიმდინარეობდა კულაკობის წინააღმდეგ გააფთრებული და შეუპოვარი ბრძოლის პირობებში. ეს იყო წლები, რომლებიც ხასიათდება სოციალიზმის მშენებლობის არნახული ტემპებითა და მასშტაბებით, ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით, მწვავე კლასობრივი ბრძოლებითა და შეტაკებებით, ანტიხალხური კონტრრევოლუციური გამოხდომებითა და ტერორისტული აქტებით.

შექმნილ ვითარებაში საბჭოთა მილიციის პირადმა შემადგენლობამ გამოიჩინა განსაკუთრებული სიფრთხილე, შორსმჭვრეტელობა და სიმტკიცე, აღმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა კლასობრივ მტერს — კულაკობას და ყველა იმათ, ვინც ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანისა და პარტიის მიერ დასახული ინდუსტრიალიზაციის ლენინური პროგრამის განხორციელებას.

ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა თავის ისტორიაში საბჭოთა მილიციამ დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში. ომის პერიოდში მკვეთრად გაიზარდა მილიციის საქმიანობის მასშტაბი. მას დამატებით დაეკისრა ახალი მოვალეობები, ესენი იყო: სამამულო ომის ფრონტებზე საბრძოლო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობა; რევოლუციური წესრიგის დაცვა ზურგში (დივერსანტების, პანიკორების, ცრუ ხმების გამავრცელებლების, დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლას); სისხლის სამართლის დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა საბჭოთა მილიციის პირადმა შემადგენლობამ ერთხელ კიდევ დამტკიცა სამშობლოსადმი თავდადება. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება საბჭოთა მილიციელთა გმირობა და ვაჟკაცობა, რასაც ისინი მძიმე განსაცდელის უამრ ხინდნენ გამანადგურებელ ბატალიონებსა და პარტიზანულ რაზმებში, ფრონტსა და ზურგში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მილიციის მუშაკთა მხედრულ შრომასა და ბრძოლას დიდი შეფასება მისცეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოებულთა შორის 270 ათასზე მეტი საბჭოთა მილიციის მუშაკია, მათ შორის 30 მამაცთა შორის მამაცს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

გმირ ჩეკისტთა შორის არის ჩვენი თანამემამულე, თბილისის მილიციის სკოლის აღზრდილი, ქ. თბილისის პირველი მაისის შინაგან საქმეთა განყოფილების ყოფილი თანამშრომელი ვალაქტიონ რაზმაძე, იმ ლეგენდარული ბატალიონის მეთაური, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა გადალახა დნებრი

და პლაცდარმი მოამზადა საბჭოთა არმიის შემდგომი შეტევისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულებით სარდლობის საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის გ. რაზმაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ომის შემდგომ წლებში საბჭოთა მილიციამ უდიდესი მუშაობა გასწია სამამულო ომის დროს შეთხელებული თავისი პროფესიული ბირთვის აღდგენისათვის. პარტიისა და მთავრობის მოწოდებით მილიციის რიგებში მოვიდნენ სამშობლოსათვის ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი ათეულათასობით ფრონტელი, ისინი, ვინც მზად იყვნენ თავისი სიცოცხლეც კი შეეწირათ სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. მათ შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის გმირები ვ. ლურსმანაშვილი და ა. პირმისაშვილი.

დიდი მუშაობა გასწია საბჭოთა მილიციამ არასრულწლოვანთა უზედამხედველობისა და უბატონობის ლიკვიდაციის საქმეში, იმ ოჯახის წევრთა დაძებნა-დაკავშირებაში, რომლებმაც ომის დროს დაკარგეს ერთმანეთი.

საბჭოთა მილიციის შენადგენელი ნაწილი და მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმია საქართველოს მილიცია. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დამყარების პირველ დღეებში შეიქმნა. 1921 წლის 20 აპრილის რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით.

საქართველოს მილიცია იმ გამოცდილების საფუძველზე ყალიბდებოდა, რომელიც უკვე არსებობდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკაში. თავისი განვითარების ყველა ეტაპზე საქართველოს მილიცია წერგავდა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ლენინურ პრინციპებს ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებისა და კონკრეტულ-ისტორიული ვითარების გათვალისწინებით. მის შემქმნასა და განმტკიცებაში აქტიურად მონაწილეობდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამოჩენილი მოღვაწეები ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ლ. ქართველიშვილი, შ. ელიავა, ბ. კვიციანი, ს. გეგეჭკორი, მ. კახიანი და სხვები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა მილიცია, როგორც საბჭოთა ხელისუფლების აღმინისტრაციული აღმასრულებელი ორგანო, მტკიცედ იცავს რევოლუციურ წესრიგსა და სოციალისტურ კანონიერებას, აქტიურად მონაწილეობს ახალი ადამიანის აღზრდაში, კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, რითაც მშრომელი მოსახლეობის მადლობას და პატივისცემას იმსახურებს.

„ამჟამად საქართველოს მილიცია, — თქვა საქართველოს საბჭოთა მილიციის 50-ე წლისთავის ზეიმზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა, არმიის გენერალმა ნ. ა. შოლოგოვმა, — ქვეყნის შინაგან საქმეთა ორგანოებს ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. იგი არის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მოწინავე გამოცდილების სამკვდლო, სადაც შეიძლება ბევრი რამის სწავლა, მუშაობის ბევრი ახალი პროგრესული ფორმის შექმნა“.

საბჭოთა მილიცია დანაშაულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე დგას და ამ ბრძოლაში გარკვეულ წარმატებებს აღწევს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში დანაშაული რამდენჯერმე შეიკვეცა, ხოლო უკანასკნელ წლებში სრისხლის სამართლის დანაშაულზე გასამართლებულთა რიცხვი ორნახევარჯერ შემცირდა.



დიდი ხანია აღარ არსებობს ბევრი სახის მიმე დანაშაული. ეს ტენდენცია უფრო მკვეთრად არის გამოხატული ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საქმიანობის შესახებ. ამ დადგენილებიდან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბოლო ხანს ბევრი ღონისძიება გაატარა, რომლებმაც ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობისათვის უდავოდ ხელსაყრელი პირობები შექმნა. გააქტიურდა ბრძოლა საქმოსნების, სოციალისტური საკუთრების გამტაცებლების, მექრთამეების, სპეკულანტების და სხვა ჯურის დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ. საგრძობლად შემცირდა ხულიგნობის და სხვა დანაშაულთა რიცხვი.

მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, დღესასწაულის აღნიშვნის ყველაზე კარგი მეთოდია გაწეული საქმიანობის კრიტიკული შეფასება, გამოუყენებელი რეზერვების გამოძებნა და ამოქმედება. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო სწორედ ამ თვალთახედვით უდგება საქმეს. ეპოულობთ აუქმქმედებელ რეზერვებს, გააშკარავებთ ნაკლოვანებებს და ვსახავთ კონკრეტულ გზებს მისი აღმოფხვრისათვის. მაგალითად, ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ უსაქმურობის ლიკვიდაციის პრობლემებზე. დასამალავი არ არის, რომ მაშინ, როცა ჩვენი რესპუბლიკა წარმატებით ასრულებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სოციალ-კულტურული მშენებლობის გეგმებს, ოთხი წელია ზედიზედ ინარჩუნებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გარდამავალ დროშას, ამის პარალელურად ჩვენს საზოგადოებაში არიან ისეთი პირები, რომლებიც არსად მუშაობენ, უსაქმურობენ. სისხლის სამართალში მიცემული ყოველი მეოთხე პირი არც მუშაობდა და არც სწავლობდა.

დღესათვის სერიოზულად დასაფიქრებელია ქონებრივი დანაშაულობები. მართალია, ამ სახის დანაშაული რესპუბლიკაში არ მატულობს, მაგრამ ჯერჯერობით შემცირების ტენდენცია არა აქვს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ დანაშაულში ჩათრეულნი აღმოჩნდნენ უზედამხედველო და არასრულწლოვანებიც კი.

მილიციის ორგანოების მთელ პირად შემადგენლობას დიდი მუშაობის გაწევა დასჭირდებათ ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებისათვის: როგორც ანალიზმა გვიჩვენა, რესპუბლიკაში აღრიცხული მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის 80 პროცენტზე მეტი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულია და თანაც ძსხვერპლი და დამნაშავე ოჯახის წევრები, მეზობლები, მეგობრები ან ყოველ შემთხვევაში ნაცნობები მაინც იყვნენ.

ნარდალია, ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი ჩვენთან არ იზრდება, მაგრამ ავარიების შედეგად მიყენებული ზარალი და მსხვერპლი მეტად დამაფიქრებელია და ამ მიმართულებით მილიციის ორგანოების მუშაობა გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს.

განვიფარებელი სოციალიზმის პირობები, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, ადამიანისათვის ზრუნვის საყოველთაოდ აღიარებული ატმოსფერო, გარანტირებული ჩვენი ახალი კონსტიტუციით, მოითხოვს საზოგადოების ყველა წევრის დიდ პასუხისმგებლობას, მკაცრ დისციპლინას. ასეთ პირობებში განსაკუთრებით დიდი ამოცანების წინაშე დგანან მი-

ლიციის ორგანოები, რომელთა საქმიანობა მიმდინარეობს საზოგადოების თვალწინ, სრული საჯაროობის პირობებში. თუ ამას დაემატებთ ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური დონის სისტემატურ ზრდას, ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო აუტანელი ხდება ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, კანონიერების დარღვევა, მოქალაქეებისადმი უდიერი მოპყრობა და სხვ.

მილიციის მუშაკებს ხშირად უხდებათ ადამიანების რთულ ურთიერთობაში ჩარევა, უფაქიზესი ფსიქოლოგიური სიმების შეხება. ისინი სხვადასხვა ხასიათისა და მდგომარეობის ადამიანებს ხვდებიან. ასეთ ვითარებაში მილიციის მუშაკი უნდა იყოს მეტად განათლებული, მომთხონი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, კაცთმოყვარე და პირუთვნელი, კანონიერებისათვის მებრძოლი.

უკანასკნელ წლებში მილიციის პირადი შემადგენლობა საგრძნობლად განახლდა. პარტიული, კომკავშირული და მშრომელთა კოლექტივების რეკომენდაციით მილიციაში სამუშაოდ მოვიდნენ ახალგაზრდა თანამშრომლები. საგრძნობლად ამაღლდა ჩვენი მუშაკების განათლების დონე. საქართველოს მილიციაში ოფიცრის თანამდებობაზე მუშაობენ მხოლოდ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, რიგოსნების 80 პროცენტს საშუალო განათლება აქვს. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსებად მუშაობენ უმაღლესი განათლების მქონენი, მილიციის რიგებში ახლა შეხვდებით ყველა დარგის სპეციალისტებს: იურისტებს, ინჟინრებს, ეკონომისტებს, პედაგოგებს, ფსიქოლოგებს, ტექნოლოგებს და სხვა. ამის შედეგად საბჭოთა მილიციაში თანდათან ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ტიპის მუშაკი, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული ჩეკისტის, აღმზრდელის, ორგანიზატორისა და პრობაგანდისტის საუკეთესო თვისებები.

შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის კვალიფიციურ კადრებს ამზადებენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა რიცხვმა ორ ათეულს გადააჭარბა და სისტემის მრავალი საშუალო იურიდიული სასწავლებელი.

დიდი ყურადღება ექცევა მილიციის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდასა და პროფესიულ დაოსტატებას. გაწეული მუშაობის შედეგად ამაღლდა მილიციის ორგანოების პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი და ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის დონე, კიდევ უფრო განმტკიცდა შინაგან საქმეთა ორგანოების კავშირი მშრომელთა კოლექტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

მილიციის მუშაკები თავიანთ საქმიანობაში გონივრულად უხამებენ ერთმანეთს დარწმუნებისა და იძულების მეთოდებს. საზოგადოებრიობის, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, მშრომელთა კოლექტივებისა და საცხოვრებელი ადგილების პროფილაქტიკური საბჭოების დახმარებითა და მხარდაჭერით მათ ბრძოლის არსენალი გაიმდიდრეს ადამიანებზე აღმზრდელობითი ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებებით.

კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში მილიციის ორგანოების წინაშე დასახეს ახალი ამოცანები და მოგვცეს მისი გადაწყვეტის კონკრეტული გზები. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები, ახალი კონსტიტუციის დებულებები შეიცავს შინაგან საქმეთა ორგანოების მოღვაწეობის სწორი ორგანიზა-



ციისათვის აუცილებელ კონკრეტულ მითითებებს, რომლებსაც მაღალ საფეხურზე აპყავს მილიციის ორგანოების ოპერატიული საქმიანობა და ავტორიტეტი.

„...ჩვენ ვუთმობდით და კვლავაც დავუთმობთ მუდმივ ყურადღებას,— განაცხადა პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, — მილიციის, პროკურატურის, სასამართლოების, იუსტიციის ორგანოების სრულყოფას, რომლებიც დგანან საბჭოთა კანონების, საბჭოთა საზოგადოების ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებების დაცვის სადარაჯოზე. პარტია, სახელმწიფო დიდად აფასებენ ამ დაწესებულებათა მუშაკების ძნელ და საპატიო შრომას, ზრუნავენ, რომ მათი შემადგენლობა ივსებოდეს მომზადებული, ღირსეული კადრებით“.

მილიციის ორგანოების განმტკიცებისათვის კომუნისტური პარტიის მუდმივმა ზრუნვამ ძირფესვიანად შეცვალა მილიციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ახლა მილიციის თითქმის ყველა ქვედანაყოფში იყენებენ თანამედროვე კრიმინალისტურ ტექნიკას, რადიოკავშირის საშუალებებს, დაცვის სიგნალიზაციას, სპეციალურად მოწყობილ ავტოტრანსპორტს. მისი აღჭურვილობა ივსება ელექტრონული განმომთვლელი მანქანებით, სატელევიზიო აპარატების, ორტოპებისა და ფოტოელემენტების ტექნიკის გამოყენებაზე დაფუძნებული ხელსაწყოებით. მილიციის ოპერატიული ძალები ეფექტიანად იყენებენ ამ საშუალებებს. თუ მაგალითად, ოცდაათიან წლებში სისხლის სამართლის სამძებრო აპარატი მომხდარი დანაშაულობებიდან ყოველ მეორე დანაშაულს აშკარავებდა, ახლა მომხდარ დანაშაულობათა გამოაშკარავების პროცენტი 95—98-ს შეადგენს, ზოგიერთ მოწინავე ორგანოში კი ასპროცენტიანი მაჩვენებლები აქვთ. ამასთანავე დღეს, როგორც არასდროს, ამოქმედებული და მობილიზებულია მილიციისადმი მშრომელთა მხარდაჭერისა და ზემოქმედების ყველა საშუალება. თავის კეთილშობილურ და ძნელ საქმიანობაში მილიციის ორგანოებს ნორჩი ძვრჩინსკელებიდან დაწყებული მხარში უდგანან მუშების, კოლმეურნე გლეხების, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. დღეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, რომ მილიციის მუშაკებთან ერთად სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებზე მსჯელობენ ცნობილი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, ჟურნალისტები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები და სხვა დარგის სპეციალისტები.

განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით საბჭოთა ადამიანების აქტიური დაინტერესება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მილიციის ორგანოებისადმი ყოველდღიური მხარდაჭერა ის დაუშრეტელი წყაროა, საიდანაც ჩვენი მილიცია თავის ენერგიას და ძალებს იკრებს.

საბჭოთა მილიციის დიდებული ისტორიის მატიანე მრავალი ქართველი ჩეკისტის სახელს ინახავს, რომლებიც ძალისა და ენერგიის დაუზოგავად, მამაცურად, გაბედულად და თავდადებულად იცავდნენ ჩვენი სახელმწიფოს და ხალხის ინტერესებს. მათ შორის იყვნენ: ს. ხმალაძე, გ. ტაბიძე, კ. ნაკყებია, ნ. ბაჩიაშვილი, გ. ჭელიძე, მ. გრიგოლია, ვ. სიხარულიძე, გ. შელია, გ. შალამბერიძე, ბ. ქალდანი, მ. სირაძე, ვ. ბაქრაძე, ი. ჟღენტვი, კ. გოგუაძე, მ. წერეთელი, ვ. თალაკვაძე, ზ. კუდუხაშვილი, კ. მანსვეტოვი, ქ. გიორგაძე, დ. იმედა-

ძე, ა. ვაგლოვი, გ. ჯაფარიძე, მ. ზარიძე, მ. ჩიქოვანი, ი. ქემოკლიძე და მრავალი სხვა.

რევოლუციის, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის წლებსა თუ მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში კონტრრევოლუციონერების, ფაშისტთა ურდოების, ბანდიტების, მძარცველების, ყაჩაღებისა და სხვა ჯურის დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მილიციამ, საქართველოს საბჭოთა მილიციამაც ასეულობით საუკეთესო მუშაკი დაკარგა. ადვინუნავთ რა საბჭოთა მილიციის მესამოცე წლისთავს, ჩვენ თავს ვხრით გმირი მილიციის მუშაკთა ნათელი ხსოვნის წინაშე. მათი საგმირო საქმენი მარად დარჩება მაგალითად მილიციის ყველა თანამშრომლისათვის.

ჯერ კიდევ 1922 წელს საბჭოთა მილიციის მუშაკებისადმი მილიციის მთავარი სამმართველოს მიმართვაში ნათქვამი იყო: „მილიციელებო! ხალხი თქვენ შემოგყურებთ, თითოეული თქვენი ნაბიჯი ფასდება როგორც სახელმწიფოებრივი მოქმედება. თქვენს მოქმედებაში ნუდამ იყავით. იდეალურად მტკიცე, პატიოსანი და კეთილშობილი“. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ეს ლოზუნგი უფრო დიდ მნიშვნელობას იღებს დღეს, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, მილიციის მუშაკებს კარგად ესმით, რომ განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში პიროვნების სოციალური ბუნება გულისხმობს თავისუფლებას, თანასწორობას, შეგნებულობას და პასუხისმგებლობას. არცერთი ეს თავისება არ არსებობს ერთმანეთისაგან იზოლირებულად და საპირისპიროდ. ჩინებულად არის ნათქვამი ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში: „ადამიანს თავისუფლება ეძლევა არა იმისათვის, რომ დაუპირისპირდეს კოლექტივს და საზოგადოების ინტერესებს, არამედ, პირიქით, გამოიყენოს საკუთარი თავისუფლება შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ანუ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. საბჭოთა მილიციის მთელი მოღვაწეობა სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ კომუნიზმის მშენებელ მშრომელ მოსახლეობას ნუდამ ჰქონდეს შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები, რომ ისინი მინიჭებულ კონსტიტუციურ უფლებებს განუხრელად ასრულებდნენ.

საბჭოთა მილიციის სახელოვანი რაზმი, საქართველოს მილიციის პირადი შემადგენლობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოცული, თავის საპატიო მოვალეობად თვლის განუხრელად შეასრულოს პარტიისა და მთავრობის დირექტივები, მომავალშიც საიმედოდ იდგეს ჩვენი სახელმწიფოს და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, არ დაიშუროს ძალა და ენერჯია სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო ოქრობრის ჩეკოლუციის მესამოცა წლისთავა

პროფ. ვ. ივანიშვილი

საბჭოთა სახელმწიფო პირმოა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელიც XX საუკუნის მთავარი მოვლენაა და რომელიც ისტორიული ნიშანსვეტი გახდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, არამედ მთელი მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში. ამ რევოლუციის გამარჯვების შედეგად რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელებთან კავშირში, ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, პირველად ისტორიაში დაამხეს კაპიტალისტთა და მემამულეთა ექსპლუატატორული წესწყობილება და დასაბამი მისცეს ახალი სოციალისტური საზოგადოების შექმნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ აღნიშნულია, რომ ოქტომბრის რევოლუციამ „ძირფესვიანად შეუცვალა მიმდინარეობა მთელი კაცობრიობის განვითარებას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია საზოგადოებრივი განვითარების, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერი შედეგი იყო. მისი გამარჯვების შედეგად მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო შეიქმნა“¹.

როგორც ცნობილია, თავიდან საბჭოთა სახელმწიფო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო იყო და ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად პრაქტიკულად დადასტურდა მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიის მთავარი დებულება — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და განმტკიცების აუცილებლობის შესახებ. პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი შინაარსი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ ეპოქაში იმით გამოიხატებოდა, რომ მუშათა კლასი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გამოყენებით ძლევდა დამხობილი ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგობას და ამ კლასების ლიკვიდაციას; გარდა ამისა, მუშათა კლასი თავისათვის უზრუნველყოფდა არაპროლეტარულ ფენებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ხელმძღვანელ როლს ასრულებდა სხვა ფენების მიმართ, პირველ ყოვლისა, მშრომელი ფენების მიმართ, მასთან მჭიდრო კავშირის პირობებში.

მაგრამ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების მეშვეობით სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში სრული და საბოლოო გამარჯვება

¹ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“, ვაზ. „კომუნისტი“ 1977 წელი, 1 თებერვალი.

მოიპოვა, მას შემდეგ, რაც ლიკვიდირებულ იქნა კაპიტალისტური ულემენტები, ხოლო მუშები, გლეხები და ინტელიგენცია გადაიქცნენ ქალაქისა და სოფლის თავისუფალ მშრომლებად, — პროლეტარიატის დიქტატურის მისია შესრულებულად ჩაითვა. ასეთ პირობებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიული დასკვნის თანახმად, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ, მთელი საზოგადოების ერთსულოვანი მისწრაფებების განხორციელების იარაღად.

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნა ანუ გადაზრდა გარკვეულ პერიოდს მოიცავს ქვეყნის განვითარებაში და მისი ყველა დამახასიათებელი ნიშნების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ჩვენი წინსვლის ახალ მიჯნასთან — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებასთან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე 1977 წლის ოქტომბერში ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ, მოცემულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების, მომწიფებული სოციალიზმის, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის, სოციალური სტრუქტურისა და სულიერი განვითარების განმასხვავებელი თვისებები.

განვითარებული სოციალიზმი, აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი, — ეს არის ახალი საზოგადოების სიმწიფის ისეთი სტადია, როცა მთავრდება მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდაქმნა სოციალიზმისათვის შინაგანად დამახასიათებელ კოლექტივისტურ საწყისებზე. ეს სრულ გასაქანს აძლევს სოციალიზმის კანონების მოქმედებას, მის უპირატესობათა გამოვლინებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. აქედან მომდინარეობს სოციალური სისტემის ორგანული მთლიანობა და დინამიზმი, მისი პოლიტიკური სტაბილურობა, ურყევი შინაგანი ერთიანობა, ყველა კლასისა და სოციალური ფის ყველა ერისა და ეროვნების სულ უფრო მზარდი დაახლოება და ადამიანთა ისტორიულად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის — საბჭოთა ხალხის წარმოქმნა, ახალი სოციალისტური კულტურის შექმნა, ახალი, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრება. განვითარებული სოციალიზმის სტადია კაპიტალიზმიდან კომუნისმისკენ წინსვლის გზაზე საზოგადოების განვითარების შედარებით ხანგრძლივი მონაკვეთია, სოციალურ გარდაქმნათა აუცილებელი რგოლია, ხოლო მისი ყველა შესაძლებლობების შეცნობა და გამოყენება კომუნისმის მშენებლობაზე გადასვლასაც ნიშნავს.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული არა მარტო საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს უზენაესი მიზანი — უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენება, არამედ მისი მთავარი ამოცანები: კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა და მათი გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობებად. კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა, მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

სოციალისტური სახელმწიფოს ეს ამოცანები აისახება მისი საშინაო და საგარეო ფუნქციებით, სახელდობრ, თანამედროვე პირობებში საბჭოთა ს



ხელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი საშინაო ფუნქციაა სამეურნეო-ორგანიზატორული მუშაობა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს საქმიანობას სამეურნეო-ეკონომიკური ამოცანების ხელმძღვანელობისა და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, ხოლო მეორე ძირითადი საშინაო ფუნქციაა — კულტურულ-აღმზრდელი მუშაობა, რამაც უნდა უზრუნველყოს მასების აღზრდა კომუნისმის სულისკვეთებით, მათი კულტურული დონის ამაღლება.

ორივე ეს ფუნქცია საბჭოთა სახელმწიფოს თავისი არსებობის დასაწყისიდანვე ახასიათებდა და მათი განხორციელების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია აღმშენებლობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოთ მითითებულ დადგენილებაში, საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 60 წლის მანძილზე სრულიად იცვალა სახე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობამ. 1976 წელს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი რევოლუციამდელ დონესთან შედარებით 65-ჯერ გაიზარდა. ახლა მრეწველობა ორდენახევარში აწარმოებს იმდენსავე პროდუქციას, რამდენსაც მთელი 1913 წლის მანძილზე. თუ რევოლუციამდელი რუსეთი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 4 პროცენტს აწარმოებდა, ამჟამად საბჭოთა ქვეყნის წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 20 პროცენტს უდრის. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაახლოებით ოთხნახევარჯერ გაიზარდა. საბოლოოდ მოისპო შიმშილი და სიღატაკე, კრიზისები და უმუშევრობა. განხორციელდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის უდიდესი პროგრამა.

მშრომელებისათვის ადვილად მისაწვდომი გახდა განათლება, ცოდნა, კულტურის საუნჯე, ფართო შესაძლებლობებია შექმნილი მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის; აყვავდა საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება: საზოგადოების წევრთა შეგნებაში გაბატონებულია მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა. სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობა ამ მიმართულებით მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 25-ე, 27-ე მუხლებში, სადაც სახელდობრ აღნიშნულია შემდეგი: ჩვენს ქვეყანაში არსებობს და იხვეწება სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას, ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას; საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას, სახალხო მეურნეობაში; სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს საზოგადოების სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის; სახელმწიფო ყოველნაირად უწყობს ხელს პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას.

რაც შეეხება საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ფუნქციებს თანანედროვე პირობებში, მათგან კვლავ უმნიშვნელოვანესად რჩება სოციალისტური სამშობლოს დაცვა. ამ ფუნქციის არსებობა განპირობებულია არა საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებით და მისი განვითარების აუცილებლობით, არამედ აგრესიული იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ სოციალისტურ ქვეყანაზე

თავდასხმის საფრთხით: ამიტომ, როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციის 32-ე მუხლშია ჩაწერილი, „სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას, აღჭურავს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს ყველა საჭირო საშუალებით“.

საბჭოთა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მეორე ძირითადი საგარეო ფუნქციაა ბრძოლა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1977 წლის 2 ნოემბერს აღნიშნავდა: „საბჭოთა ხელისუფლება იშვა ლენინური ზავის დეკრეტის ნიშნით, და იმ დროიდან მოყოლებული ჩვენი ქვეყნის მთელი საგარეო პოლიტიკა განსჯვალულია მშვიდობისმოყვარეობით. ობიექტურმა ისტორიულმა პირობებმა გვიკარნახა მისი კონკრეტული შინაარსი: სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილებების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსი“².

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის ახალი მიღწევები უკანასკნელ წლებში, საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ამ პოლიტიკის გატარებისათვის სათანადოდ იქნა აღიარებული საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის მიერ. თავის მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევი ჩამოაყალიბა ახალი საბჭოთა წინადადებანი ატომური ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მან განაცხადა: „ღღეს ჩვენ წინადადებას ვიძლევით გადავდგათ რადიკალური ნაბიჯი: შევთანხმდეთ, რომ ყველა სახელმწიფო ერთდროულად შეწყვეტს ბირთვული იარაღის წარმოებას, სულ ერთია იქნება ეს ატომური, წყალბადის, თუ ნეიტრონული ბომბები ან ჭურვები. ამავე დროს ატომურ სახელმწიფოებს შეეძლოთ ეკისრათ ვალდებულება, რომ შეუდგებოდნენ უკვე არსებული მარაგის თანდათან შემცირებას და ასე განაგრძობდნენ წინსვლას ამ იარაღის სრულ, „ასპროცენტთან“ ლიკვიდაციამდე. ატომის ენერგია მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით — ასეთი მოწოდებით მიმართავს მთავრობებსა და ხალხებს თავის მესამოცე წლისთავის წელს საბჭოთა სახელმწიფო“³. ამავე დროს, აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევი, მზად ვართ შევთანხმდეთ, რომ ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის გარკვეული ვადით აკრძალვასთან ერთად მორატორიუმი გამოცხადდეს მშვიდობიანი მიზნით ატომურ აფეთქებაზე.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს და მომავალშიც იქნება სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ფუნქციას. სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობას მეგობრული თანამშრომლობისა და უანგარო ურთიერთდახმარების პრინციპების საფუძველზე ადგილი აქვს როგორც პოლიტიკურსა და სამხედრო, ასევე ეკონომიკურსა და კულტურულ დარგებში. ეს არის სახელმწიფოთა შორის სრულიად ახალი ტიპის ურთიერთობა, რომლის მსგავსი

² ლ. ი. ბრეჟნევი. „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“. გაზ. „კომუნისტი“, 1977 წელი, 3 ნოემბერი.

³ იქვე.



არ შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ან კაპიტალისტურსა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის, ვინაიდან სოციალისტურ ქვეყნებს აქვთ ერთი ტიპის ეკონომიკური საფუძველი — წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, ერთი ტიპის სახელმწიფოებრივი წესწყობილება — ხალხის ძალაუფლება მუშათა კლასის მეთაურობით, ერთიანი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, საერთო ინტერესები იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან რევოლუციურ მონაპოვართა და ეროვნული დამოკიდებულების დაცვაში, საერთო მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება. ლ. ი. ბრეჟნემა აღნიშნა, რომ „სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დიდი წვლილი თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრებაში — ეს არის ის ახალი ურთიერთობა, რომელიც მოჰქმნა პარტიების ინტერნაციონალისტური პოლიტიკის მეოხებით დამყარდა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის და უწინარეს ყოვლისა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის“⁴.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი სოციალისტური სახელმწიფო თავისი პოლიტიკური ფორმის მიხედვით საბჭოების რესპუბლიკაა. ჩვენს ქვეყანაში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, ხოლო ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დემუტატების საბჭოების მეშვეობით, რომლებიც სსრ კავშირის, პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.

სახალხო დემუტატების საბჭოები წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ერთიან სისტემას, რომელთა ხელში თავმოყრილია მთელი ძალაუფლება და რომლებიც წყვეტენ პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა საკითხს. უკანასკნელ წლებში საბჭოებში არჩეულია 2 მილიონ 240 ათასამდე დემუტატი, რომლებიც 166 მილიონზე მეტი ამომრჩევლის წარმომადგენლები არიან. დემუტატებთან ერთად ხელისუფლების ორგანოებში თანამშრომლობს თითქმის 30 მილიონი აქტივისტი, რომლებიც მონაწილეობენ მშრომელთა სხვადასხვა თვითმოქმედ ორგანიზაციაში და, კომისიაში. გამოანგარიშებულია, რომ უკანასკნელი მოწვევის ადგილობრივმა საბჭოებმა თავიანთ რწმუნებათა 2 წლის მანძილზე მიიღეს და განახორციელეს ამომრჩეველთა 760 ათასზე მეტი განაწესი, რომლებიც ეხებოდნენ სამეურნეო, სოციალური და კულტურული მშენებლობის საკითხებს, შრომითი კოლექტივების სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ საბჭოები წარმოადგენენ ქვეყნის მართვაგამგეობის საქმეში მშრომელთა ჩაბმის მასობრივ ფორმას, არსებითად კი სახალხო თვითმმართველობის ორგანოებს სოციალიზმის დროს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დასახა კონკრეტული გზები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში სახალხო დემუტატების საბჭოების მუშაობის ამდლების მიზნით. ამან თავისი გამოხატულება პოვა უკანასკნელ წლებში მიღებულ მთელ რიგ სადირექტივო პარტიულ დოკუმენტებსა და შესაბამის სახელმწიფო-სამართლებრივ აქტებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ის სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მოცემულია სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობათა გადაწყვეტილებებში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1972 წლის 20 სექტემბრის მიღებულ კანონში „საბჭოების

⁴ ლ. ი. ბრეჟნევი, „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“. ვაზ. „კომუნისტი“; 1977 წელი, 3 ნომბერი.

დებუტატთა სტატუსის შესახებ“ და სხვ. სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ ერთგვარი ცვლილებები შეიტანა საბჭოების უფლებამოსილების ვადებსა და არჩევის წესში. სახელდობრ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების უფლებამოსილების ვადა ხუთი წლით განისაზღვრა, ხოლო სახალხო დებუტატების ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადა — ორწელიწადნახევრით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდება, ხოლო საბჭოების ყველა სხვა რგოლში დებუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს 18 წელს მიღწეული მოქალაქე.

მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სახეიმო სხდომაზე, ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა, რომ „ოქტომბრის მიღწევათა შორის განსაკუთრებულნი ადგილი განეკუთვნება ეროვნული საკითხის — საზოგადოების ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ, ყველაზე დრამატულ საკითხის გადაწყვეტას“⁵. ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ფართო მასშტაბის ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

როგორც ცნობილია კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის თეორიული საფუძვლების დამუშავებისა და ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების საქმეში უდიდესი დამსახურება მიუძღვის პარტიის ბელადსა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. მისი მითითებების საფუძველზე და უშუალო მონაწილეობით ახორციელებდა კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის ხალხებისა და ერების შეკავშირებას ერთიან სახელმწიფოდ. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიამ მთლიანად დაადასტურა ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორე და ქმედითობა, ხალხთა შეკავშირება და ურთიერთდახმარება, დააჩქარა ყველა რესპუბლიკის განვითარება; ეროვნული შუღლისა და უნდობლობის ნაცვლად დამკვიდრდა ხალხთა შორის მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა, მტკიცედ მოიკიდა ფეხი ინტერნაციონალიზმმა, ნიხდა ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრება, რომლებიც ერთიან საბჭოთა სოციალისტურ კულტურას ქმნის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით თავიდანვე იყო და ამჟამადაც არის ფედერაციული ანუ საკავშირო სახელმწიფო. დღევანდელ პირობებში საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფო წყობილება ახალი ეტაპის ამსახველია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაში, რაც დაკავშირებულია მომწიფებულ სოციალისტურ სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან. ჩვენი ეროვნული სახელმწიფო წყობილება თვისებრივად უფრო სრულყოფილი გახდა, რაც, შესაბამისად, გამოიხატა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებათა სულ უფრო მზარდი დაახლოებიდან გამომდინარე, ახალ კონსტიტუციაში აისახა საერთო-საკავშირო საწყისების შემდგომი განმტკიცება. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკებს, რომლებიც სსრ კავშირის შემადგენლობაში შედიან, ახალი კონსტიტუციით თვითეულს მთლიანად რჩება სუვერენული უფ-

⁵ ლ. ი. ბრეჟნევი. „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“. ვაზ. „კომუნისტი“, 1977 წელი, 3 ნოემბერი.

ლებები. ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკებს ისეთი ახალი უფლებები აქვს მინიჭებული, როგორც არის საკავშირო ორგანოების მიერ სსრ კავშირს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების დამკვიდრება უმაღლეს საბჭოში და სხვ. ამასთან, ახალ კონსტიტუციაში კვლავ ჩაწერილია, რომ „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი განვლის უფლება“ (მუხლი 72). ახალ კონსტიტუციაში უფრო ვრცლად არის ჩამოყალიბებული საბჭოთა ავტონომიური ერთეულების — ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგის უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი დებულებები.

შეეხო რა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად მიღწეულ წარმატებებს საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მე-60 წლისთავზე, ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირის ხალხთა თანასწორობა, ძმობა, ურდვევი ერთიანობა — ყოველივე ეს ფაქტი ვახდა. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ერთა დაახლოების სულ უფრო მზარდი პროცესი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს სწვდება. ასეთია ამხანაგებო, ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი შედეგი, ასეთია ჩვენი გამოცდილება, რომლის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა უდავოა“⁶.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ საბჭოთა საზოგადოების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ ნიშნად მითითებულია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის შემდგომი განმტკიცება-განვითარება და სოციალისტური დემოკრატიზმის თანმიმდევრული გაშლა-გაძლიერება. დადგენილებაში ნათქვამია, რომ სოციალისტური დემოკრატია გამოხატავს და იცავს ხალხის ინტერესებს, ემსახურება კომუნისმის საქმეს. იგი მოიცავს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას — ეკონომიკურს, პოლიტიკურსა და სულიერს, ქმნის პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პირობებს. საბჭოთა ხალხი ქვეყნის ნამდვილი და ერთადერთი ბატონ-პატრონია, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი ჩვენში განიხილება და წყდება მუშების, გლეხების, ინტელიგენციის უფართოესი და უშუალო მონაწილეობით.

„ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფა, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXV ყრილობაზე — გვესმის, უწინარეს ყოვლისა ისე, რომ განუხრელად უზრუნველყოთ მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა საზოგადოების ყველა საქმის მართვაში, კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული საფუძვლები, შევქმნათ პიროვნების ყოველმხრივი აყვავების პირობები“⁷. სწორედ დემოკრატიის ამგვარი გაგებაა ასახული სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომლის მთავარი ნიშანთვისება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება და ვაღრმავებაა.

⁶ ლ. ი. ბრეჟნევი. „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“. ვახ. „კომუნისტი“, 1977 წელი, 3 ნოემბერი.

⁷ ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, თბ., 1976. გვ. 119.

კონსტიტუციით, სახელდობრ, საბჭოთა სახელმწიფოს თითოეული მოქალაქისათვის გარანტირებულია სოციალურ-ეკონომიკური უფლებები: შრომის უფლება, დასვენების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, მატერიალური უზრუნველყოფის უფლება შრომისუნარიანობის მილიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის შემთხვევაში, ბინის უფლება, განათლების უფლება, კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება, მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. პოლიტიკურ უფლებებიდან და თავისუფლებიდან კონსტიტუციაში ჩაწერილია: სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, საერთო-საკავშირო და ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატული აქტების განხილვასა და მიღებაში მონაწილეობის უფლება, სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებათა შეტანის უფლება მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ და მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გაკრიტიკების უფლება, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად გაერთიანების უფლება.

გარდა ამისა, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით საბჭოთა მოქალაქებს გარანტირებული აქვთ შემდეგი პირადი უფლებები: სინდისის თავისუფლება, სახელმწიფოს მხრივ ოჯახის დაცვა, პიროვნების ხელშეუხებლობა, ბინის ხელშეუხებლობა, მოქალაქეთა პირადი ცხოვრების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოს დაცვა, მოქალაქეთა პიროვნების პატივისცემა, მის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის მიერ, მოქალაქეთა პატიოსნებისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების ხელყოფისაგან დაცვის უფლება, მოქალაქეთა უფლება გაასაჩივრონ სასამართლოში თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების უკანონო მოქმედება.

ყველა ეს უფლება სათანადოდ არის გარანტირებული საბჭოთა სახელმწიფოში. მაგრამ როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციის 39-ე მუხლშია ჩაწერილი, მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სხვა მოქალაქეთა უფლებებს, ამიტომ სოციალისტური საზოგადოებაში მოქალაქეთა უფლებების დაცვასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა მიერ თავიანთი მოვალეობების პირნათლად შესრულებასაც.

თანამედროვე პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამადლებას კომუნისტური მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში. მათ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უკანასკნელ ყრილობებზე. ნიშანდობლივია თვით ის ფაქტი, რომ სკკპ XXV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, ერთ-ერთი განყოფილების სათაურია „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ზოგიერთი საკითხი“. ამით ხაზი აქვს გასმული იმ საერთო ამოცანებს და მჭიდრო ურთიერთკავშირს, რაც სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გააჩნიათ.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ფართოდ აისახა პროფკავშირების,



კომკავშირის, კოლბერაციული და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკურ, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლს საბჭოთა საზოგადოებასა და სახელმწიფოში, ამის შესახებ კონსტიტუციის მე-6 მუხლში ჩაწერილია:

„საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

საბჭოთა კანონმდებლობისა და სამართლის მეცნიერების განვითარება 60 წლის მანძილზე

პროფ. ს. ჯორჯანაძე

საბჭოთა კანონმდებლობისა და სამართლის მეცნიერების განვითარება 60 წლის მანძილზე — ეს უმდიდრესი და უფართოესი საკითხია. ნას ტომები სჭირდება და საბედნიეროდ ეს ტომები იბეჭდება კიდევ წინამდებარე სტატიას ამ თემის სრულად მიმოხილვის პრეტენზიაც კი არა აქვს. მისი მიზანია მხოლოდ ზოგად ხაზებში გააანალიზოს საბჭოთა სამართლის განვითარების 60 წლიანი ისტორია.

საბჭოთა კანონმდებლობისა და სამართლის მეცნიერების ისტორია ეს იმავედროულად არის მსოფლიო ისტორიაში პირველი წარმატებით განხორციელებული ცდა სოციალისტური კანონმდებლობისა და სამართლის მეცნიერების შექმნისა. მას ვერაფრით ვერ შეედრება პარიზის კომუნართა გამორეული ცდა „ზეცის წინააღმდეგ შეტევისა“. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ პარიზის კომუნის უარყოფით გამოცდილებას სოციალისტურ კანონმდებლობის შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის, რათა მას თავიდან აეცილინა ის მწარე გაკვეთილები, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კომუნის დაცენა*.

მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სავსებით ნათელი იყო ძველი სახელმწიფო აპარატისა და სამართლის მსხვერვის აუცილებლობა, მაგრამ ასევე სავსებით გამოკვეთილი არ იყო კონკრეტულად როგორი მიმართულება უნდა მიეღო მას.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა სრული თავისუფლება მიანიჭეს მომავალ რევოლუციონერებს საზოგადოების გარდაქმნის გზების ანოსარჩევად. ვ. ი. ლენინის სიტყვებით, „მარქსი არც თვითონ იბორკავდა და არც სოციალისტური რევოლუციის მომავალ მოღვაწეებს უბორკავდა ხელებს გადატრიალების ფორმების, საშუალებების, ხერხების საქმეში, რადგანაც მშვენიერად ესმოდა, თუ რა აუარებელი ახალი პრობლემა წამოიჭრება მაშინ, თუ რომ შეიცვლება მთელი ვითარება გადატრიალების მსვლელობაში, რა ხშირად რა ძლიერად შეიცვლება იგი გადატრიალების მსვლელობაში“².

ყველაფერი ეს რევოლუციურ სითამამეს აძლევდა რუსეთის ბოლშევიკებს. მეორე მხრივ კ. მარქსი და ფ. ენგელსი იმასაც განსაზღვრავდნენ, თუ როგორი სახე უნდა მიეღო ძველის რევოლუციურ მსხვერვეს. მიუხედავად ამა თუ იმ

¹ კომუნართა გაუბედაობა გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ მათ არ მიიღეს გადამწყვეტი ღონისძიებანი ბურჟუაზიული საკუთრების ლიკვიდაციისათვის, რევოლუციის მტრების წინააღმდეგ, არამედ მთლიანად ბურჟუაზიული კანონმდებლობის წინააღმდეგაც. ახალი კანონმდებლობის შესაქმნელად. ასე კომუნამ თავიდანვე არ მიიღო წინადადება ვერსალების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით იმ კანონებისა და დეკრეტების გაუქმებისათვის, რომლებიც შეეხებოდნენ ბურჟუაზიული პრესის, აგრეთვე კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებას.

(См. «Протоколы заседаний Парижской Коммуны» 1959, т. I, стр. 78—79),
² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 411.

სახელმწიფოში განხორციელებული რევოლუციური გარდაქმნების თავისებურებებისა, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ გარდაქმნებს უნდა მოეცვა შემდეგი რამ: „1. მიწის საკუთრების ექსპროპრიაცია და მიწის რენტის გამოყენება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად; 2. დიდი პროგრესული გადასახადი; 3. მემკვიდრეობის უფლების გაუქმება; 4. ყველა ემიგრანტისა და ემიგრანტის საკუთრების კონფისკაცია; 5. კრედიტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში სახელმწიფო კაპიტალითა და განსაკუთრებული მონოპოლიით აღჭურვილი ნაციონალური ბანკის მეშვეობით; 6. მთელი ტრანსპორტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში; 7. სახელმწიფო ფაბრიკების, წარმოების იარაღთა გამრავლება, ყამირების გატეხვა და მიწების გაუმჯობესება საერთო გეგმის თანახმად; 8. ერთნაირად სავალდებულო შრომა ყველასათვის, სამრეწველო არმიების დაწესება, განსაკუთრებით მიწათმოქმედებისათვის.

9. მიწათმოქმედების შეერთება მრეწველობასთან, ხელის შეწყობა ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების თანდათანობით მოსპობისათვის;

10. ყველა ბავშვის საზოგადოებრივი და უსასყიდლოდ აღზრდა, ბავშვთა საფაბრიკო შრომის ახლანდელი ფორმის მოსპობა, აღზრდის შეერთება მატერიალურ წარმოებასთან და ა. შ.³

ეს არ იყო რევოლუციური გარდაქმნების რეცეპტი, თვითონ კ. მარქსი და ფ. ენგელსიც შიშობდნენ ეს არ გადაქცეულიყო სახელმძღვანელო დოგმად და ამიტომ უკვე 1872 წელს, პარიზის კომუნის დაცემიდან ერთი წლის შემდეგ, საჭიროდ ჩათვალეს აღენიშნათ, რომ მთავარია „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ დებულებათა პრაქტიკული გამოყენება თითოეული ქვეყნის ისტორიულ გარემოებათა გათვალისწინებით და გარდამქმნელ ღონისძიებათა ჩამოთვლა, მათი რიგისობა, თვითონ მათ არ მიაჩნიათ შეუვალად, საბოლოოდ გადაწყვეტილებად და ამიტომ გარდაქმნის ღონისძიებები ამჟამად „ბევრის მხრივ სხვანაირად უნდა ყოფილიყო გამოთქმულიო“⁴.

რასაკვირველია, სრულიად განსხვავებული ამოცანები იდგა რუსეთის კომუნისტების წინაშე. ისინი მათ ემპირიზმის ტყვეობაში მყოფნი კი არ ასრულებდნენ, არამედ წინაპირობად ჰქონდათ ლენინური მოძღვრება რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შესახებ. მთავარი ამ მოძღვრებაში იყო ექსპლუატატორთა ექსპროპრიაცია, რაც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს უნდა განეხორციელებინა. ეს კი შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ გადამჭრელი რევოლუციური მოქმედების გზით, არსებული კანონიერების დამსხვრევის შედეგად. ეს ნიშნავს მოქმედი კანონების უარყოფას და ახლის შექმნას, მაგრამ რევოლუციური გარდაქმნების დროს ეს შეიძლება გარდამავალ პერიოდს გულისხმობდეს, როცა ძველი აფეთქებულია და ახალი მხოლოდ იქმნება. ლენინური დებულების მიხედვით რევოლუციონერებს არ შეეძლოთ შეჩერებულიყვნენ კანონის დოგმის წინაშე. ამიტომაც 1917 წელს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე ექვსი თვით ადრე კომუნისტური პარტიის მეშვიდე აპრილის კონფერენციაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია რევოლუციური თაოსნობა, კანონი კი მისი შედეგი უნდა იყოს.

³ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1950 წ. ტ. I. გვ. 36.

⁴ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, გვ. 2.

თუ თქვენ კანონის დაწერას დაუცდით და თვითონ კი არ გამოიჩინოთ რევოლუციურ ენერჯიას, არც კანონი გექნებათ და არც მიწა“⁵.

პრაქტიკულ — რევოლუციურმა შემოქმედებამ გადაწყვიტა ორი ისტორიული ამოცანა: ჯერ ერთი ააფეთქა ძველი კანონმდებლობა, და მეორე, საფუძველი ჩაუყარა ახლის შექმნას. ამ გზაზე ოქტომბრის რევოლუციას აღარ გაუმეორებია პარიზის კომუნის შეცდომები. ოქტომბრის რევოლუციამ — „ექსპლუატატორთა ექსპროპრიაციის“ აბსტრაქტული ფორმულა აქცია კონკრეტულ ფორმულად, როგორც იყო, მაგალითად, ბანკების და მიწის ნაციონალიზაცია. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ჯერ წითელგვარდიელებმა დაიკავეს ბანკები და მხოლოდ შემდეგ გამოიცა დეკრეტები მათი ნაციონალიზაციის შესახებ.

კაპიტალისტურ-მემამულურ საკუთრებაში შეჭრის ეს ღრმა გარდამქმნელი პროცესი მოითხოვს ძველი, ნახევრად ბურჟუაზიული, ნახევრად ფეოდალური კანონმდებლობის მთლიანად აფეთქებას, მის დაწვეას. როგორც საბჭოთა იუსტიციის ცნობილი მოღვაწე პეტრე სტუჩკა წერდა, პროლეტარული რევოლუცია „საზეიმოდ კოცონზე წვავს „რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის ყველა 16 ტომს“⁶. ეს რასაკვირველია, ერთი აქტით, ერთი დეკრეტით არ მომხდარა. ძველის მსხვერვის ერთ ასპექტს მოსდევს მეორე და ასე თანამიმდევრულად. ზოგადი განმსაზღვრელი დეკრეტების (ზავის, მიწის და ა. შ.) შემდგომ მაინც უნდა გამოვყოთ ორი დეკრეტი — № 1 და № 2 დეკრეტი სასამართლოს შესახებ, რომლებიც ფუძემდებლური მნიშვნელობისაა, ვინაიდან ისინი ძველის აფეთქებასთან ერთად გულისხმობდნენ ახლის შექმნასაც, 1917 წლის 22 ნოემბრის ე. წ. სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტის არსი იმაში იყო, რომ იგი აუქმებდა ძველ იუსტიციას და ქმნიდა ახალ სახალხო სასამართლოს და რევოლუციურ ტრიბუნალს, რომლებისთვისაც სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო არა ძველი კანონები, არამედ რევოლუციური მართლშეგნება. ეს დეკრეტები საოცარი სიზუსტით გამოხატავდა მასის რევოლუციურ ინტუიციას.

3. სტუჩკას სიტყვებით დეკრეტის ძირითადი მიზანია „განიდევნოს ძველი სასამართლო და გაუქმდეს ყველა ძველი კანონი. მაგრამ დეკრეტი მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ აზრს, მხოლოდ ძველი სასამართლოსა და კანონების გაუქმება რომ დაესახა მიზნად. ეს იყო დეკრეტის სავალდებულო, ასე ვთქვათ, დამანგრეველი მხარე. იგი შეიცავდა დამფუძნებელ მხარესაც. მან განსაზღვრა ახალი სასამართლოს საფუძვლები, რომლის წინაპირობაა ძველი სასამართლოსა და სასამართლოს მსხვერველ“.

საბჭოთა სამართლის ამ ფუძემდებლურ აქტს უკავშირდება აგრეთვე საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში პირველი გამოკვლევების გამოქვეყნებაც: თავიდანვე მწვავე დავა დაიწყო იმის თაობაზე, თუ როგორ გაგვევო „რევოლუციური მართლშეგნება“.

ისინიც კი ვინც თავს მარქსისტებად თვლიდნენ, როგორც მაგალითად პროფ. მ. ა. რეისნერი, რევოლუციურ მართლშეგნებას სამართლის ფსიქო-

⁵ ვ. ი. ლენინი, ოზ., ტ. 24, გვ. 333-334.

⁶ П. И. Стучка. Избранные произведения по марксистско-ленинской теории права, 1964 г., Рига, стр. 259.

⁷ იქვე, გვ. 344.

ლოგიური სკოლის პოზიციებიდან განიხილავდნენ. მ. რეისნერის აზრით, სამართალი და მართლშეგნება ერთ დონეზე უნდა განვიხილოთ, რომ მართლშეგნება ესაა „ინტუიციური კლასობრივი სამართალი“⁸. ამ მემარცხენე ფრაზის საშიშროება ის იყო, რომ იგი მომავლისთვისაც უარყოფდა სამართლებრივი ნორმების შექმნის აუცილებლობას.

პროფ. მ. რეისნერის აზრით რესპუბლიკას სჭირდება არა „განსაკუთრებული სამართლისა და კანონების შექმნა, რომელიც მასაზე მაღლა დგას, არამედ ისეთი სამართალი, რომელიც წარმოიქმნება და უშუალოდ გამოდინარეობს თვით ხალხთა მასებისაგან“⁹.

აქედან სულ ერთი ნაბიჯია იმ დებულებამდე, რომ ნუ შევქმნით ახალ კანონებს, რომ ჩვენ სპერანსკები კი არ გვჭირდება, არამედ ვოლტერები, რომლებიც მხოლოდ დასწვავდნენ კანონებს. მ. რეისნერი გამოናკლისი არ იყო. ამ აზრს სხვადასხვა ვარიაციებით იმეორებდნენ მთელი რიგი ავტორებისა, რომლებმაც ის იყო დაიწყეს საბჭოთა სამართლის მეცნიერების კვლევა. კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მათ არ უნდოდათ დაენახათ ახალი კანონმდებლობის შექმნის საჭიროება. მაგალითად საბჭოთა ოუსტიციის და სამართლის მეცნიერების ერთერთი პირველი მუშაკი და მკვლევარი ნ. ი. კოზლოვსკი სავსებით სწორად თვლიდა, რომ საჭიროა ძველი კანონმდებლობის მსხვრევა, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ მთელს გარდამავალ პერიოდში მშრომელთა სამართალშემოქმედება გაგრძელდება, მხოლოდ იგი ამ დროს აღარ არის „კოდექსი, კანონთა დაწერილი კრებული, ყოველგვარი კანონების გარეშე, განსაკუთრებული წესების გარეშე შეიარაღებული ხალხი იბრძვის თავის კლასობრივ მოწინააღმდეგესთან“¹⁰.

საბედნიეროდ, იმ დროს ყველა როდი ფიქრობდა ასე. ბევრი მოღვაწე და მეცნიერი კარგად გრძნობდა ახალი კანონმდებლობის შექმნის საჭიროებას.

პეტრე სტუჩკა, რომელიც იღვა საბჭოთა კანონმდებლობისა და საბჭოთა სამართლის მეცნიერების სათავეებთან, ასე განმარტავდა სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტის არსს: „ძირს კანონთა კრებული, გაუმარჯოს რევოლუციურ მართლშეგნებას“. მაგრამ იგი ამასთან როდი უარყოფდა საზოგადო კანონთა საჭიროებას. 1917 წლის 7 დეკემბერს „პრავდაში“ იგი წერდა: „ძველ კანონებთან ბრძოლის ყველაზე კარგი საშუალება არის გამოცემა და ცხოვრებაში გატარება ახალი კანონისა, მაგრამ ცხოვრებაში გატარება არა მექანიკურად, არამედ შეგნებულად. ამიტომაც თვით კანონები უნდა გახდნენ უბრალო და ყველასათვის გასაგები და შეეხარდონ ფართო რევოლუციური მასის მართლშეგნებას, იქცენ ერთიან კომუნისტურ მსოფლმხედველობად, რაც შესაძლებელია მხოლოდ მათი პოპულარიზაციისა და ფართოდ გავრცელების გზით“. სწორედ ამ მიზნებისათვის ეყრება საფუძვლები საბჭოთა სამართალსა და მეცნიერებას. საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები არ უნდა განვიხილოთ, როგორც მართოდენ საბჭოთა კანონმდებლობის განვითარების აქტები. ესაა ისტორიულ-პოლიტიკური დოკუმენტებიც, რომლებიც იწვდნენ

См. М. Рейснер. Право. Наше право. Чужое право. Общее право. 1925, стр. 21—22.

⁸ წყაროზე მითითება იხ. А. А. Плотинек, Развитие общей теории права в период Великой Октябрьской социалистической революции, ученые записки Латвийского государственного университета. Труды кафедры государственного-правовых наук, 1968, стр. 59.

¹⁰ См. журнал «Пролетарская революция и право», 1918, № 1, стр. 24.

ულად საფუძველს უყრიდნენ საბჭოთა სამართლის მეცნიერებას, სახავდნენ მის პერსპექტივასაც. ვ. ი. ლენინის სიტყვებით საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებს მოქმედი კანონების მიზნებთან ერთად ჰქონდა კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიზანიც. ეს ის იყო, რომ „უბრალო მუშასა და გლეხს ჩვენ ერთბაშად ვაძლევდით წარმოდგენას პოლიტიკაზე დეკრეტების ფორმით“¹¹. მათში ნაჩვენები იყო, რა მისწრაფებები, განზრახვა და გეგმები აქვს ახალ ხელისუფლებას. ამის შედეგად მოაოვებულ იქმნა მასის უდიდესი ნდობა.

მართალია, ამ დეკრეტებში სჭარბობს ძველის უარყოფა, მაგრამ ამასთან მათში უფრო მეტია გაკეთებული: სახელდობრ ის, თუ როგორი განვითარება უნდა მიიღოს მოცემულმა ურთიერთობამ მომავალში. ამ თვალსაზრისით დეკრეტებში ჩვენი განვითარების მომავლის საკითხებიც იყო განხილული. რაც მთავარია, ისინი მასის მხრივ მხარდაჭერას ჰპოულობდნენ და პირველად მილიონიან მშრომელთათვის ნათელი ხდებოდა სრულიად ახალი სახელმწიფო ხელისუფლების კეთილშობილური მიზნები.

მრავალთაგან ერთ მაგალითს მოვიყვანთ. 1918 წლის 2 აგვისტოს ვ. ი. ლენინის ხელმოწერით მიღებულ იქნა დეკრეტი „უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესახებ“ და დადგენილება „რუსურ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ“. ამ აქტებით გაუქმდა უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ყველა შეზღუდვა. 16 წელს მიღწეულ ყველა პირს, შეეძლო შესულიყო რომელ უმაღლეს სასწავლებელშიც სურდა, საჭირო არ იყო სიმწიფის ატესტატის ან საშუალო სასწავლებლის დამთავრების რაიმე მოწმობის წარდგენა. უმაღლეს სკოლაში შემომსვლელს თხოვდნენ მარტო პირადობის მოწმობას და ცნობას ასაკის შესახებ. თვითონ ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა იმას, რომ მომხდარიყო ამ დეკრეტის რეალიზაცია, სახელდობრ მაშინ, თუ შემომსვლელთა რიცხვი გადააჭარბებდა ვაკანტური ადგილების რაოდენობას. განცხადებების მიღება ვაგრძელდა თვით 1919 წლის იანვრამდე. უმაღლეს სასწავლებლებში შემომსვლელთა რიცხვი არნახულად გაიზარდა. მართალია, მიღებულ პირთა დიდმა ნაწილმა შემდგომ ველარ შესძლო სწავლა, მაგრამ ამ დეკრეტებმა მიზანს მიაღწია. მათ აჩვენეს ახალი ხელისუფლების საყოველთაო სახალხო პოლიტიკა განათლების დარგში. ახლა მთელი კაცობრიობა აღიარებს, რომ ამას შედეგად მოჰყვა საბჭოთა მეცნიერებაში ხალხის წილიდან სრულიად ახალი მთვლემარე ძალების მოსვლა, რომლებმაც თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა თქვეს მსოფლიო მეცნიერებაში.

ვ. ი. ლენინი ნარტოოდენ საბჭოთა დეკრეტების სრულყოფაში როდი მონაწილეობდა. ბევრი პროექტი დეკრეტისა თვითონ მისი ხელით არის შედგენილი. ამას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ ვ. ი. ლენინი განათლებით იურისტი იყო. ეს გვიხსნის იმასაც, რომ პირველი დეკრეტების ფორმულათა სიზუსტე მნიშვნელოვანწილად ვ. ი. ლენინის დამსახურებაა. ა. ვ. ლუნინარსკი წერდა ვ. ი. ლენინის ამ თვისების შესახებ: „განათლებით იურისტმა, მან შეინარჩუნა ღრმა ინტერესი ამ საქმისადმი, რასაკვირველია, არა აბსტრაქტული, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, ყალბი იურიდიულ მეცნიერების, არამედ ფორმულირებათა იმ გასაოცარი სიზუსტის მიმართ, რომელსაც იურისპრუდენციამ მიაღწია. მას ჰქონდა ძლიერი მიდრეკილება იურიდიული ტიპის

¹¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 296.

ფორმულირებისადმი... ვლადიმერ ილიას ძე მათი ოსტატი იყო, ამა თუ იმ სამართლებრივ ფორმულას ებყრობოდა როგორც ნამდვილ მეცნიერულ ღირებულებას, როგორც გონების დიდ მონაპოვას¹².

პირველი საბჭოთა კონსტიტუციის—1918 წლის რსფსრ კონსტიტუციის შემუშავება ადასტურებდა ახალი ხელისუფლების პრინციპულ დამოკიდებულებას, ჰქონოდა იურიდიული ბაზა კანონმდებლობის განვითარებისა. მალე ისიც დადასტურდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სრულიადაც არ უარყოფდა კოდიფიკაციის და კანონის სხვა სისტემატიზაციის იმ იურიდიულ—ტექნიკურ ფორმებს, რომლებიც სამართლის ისტორიაში ჩამოყალიბდა. მალე საბჭოთა სახელმწიფო იწყებს კოდექსების მიღებას, ეს იმ დროს, როცა აზრიც კი იყო გამოთქმული რომ სოციალიზმისათვის საზოგადოდ უცხო უნდა იყოს კოდექსის არსებობა. მაგალითად, პროფ. ი. მაგაზინერი ამბობდა, რომ თვით სამართალია „სოციალური დუელის კოდექსი“. პირველი სოციალისტური სახელმწიფო იმ დარგებშიაც ჰქმნის კოდექსებს, რომლებიც უცნობი იყო ბურჟუაზიული კოდიფიკაციისათვის მისი არსებობის ასეული წლის მანძილზე.

1918 წლის სექტემბერში იქმნება საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსი — პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პირველი კოდექსი.

1918 წლის 10 დეკემბერს კი ჩვენი სახელმწიფო ქმნის თავის მეორე კოდექსს — შრომის კანონთა კოდექსს.

საბჭოთა სახელმწიფო მოითხოვს მის მიერ მიღებული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების განუხრელ დაცვას. ნეტიც, ამის თაობაზე რევოლუციის ერთი წლისთავზე 1918 წლის 8 ნოემბერს მიღებულ იქნა ლენინური დეკრეტი „კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“. ამით საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების უმძიმესს პერიოდში საბჭოთა კანონების და სხვა ნორმატიული აქტების დაცვა ყველას, მათ შორის და პირველ რიგში თანამდებობის პირთა მოვალეობად ცხადდებოდა. ამის შემდგომ საბჭოთა კანონიერების დაცვა სოციალისტური დემოკრატიის მუდმივ პრინციპად იქცა.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდზე გადასვლამ, ვ. ი. ლენინის შორსმჭვრეტელობით ჩამოყალიბებულმა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ წარმოშვა კანონმდებლობაში მეტად მდიდარი შინაარსის ნორმატიული აქტების გამოცემის საჭიროება. ეს უკვე გულისხმობდა როგორც სსრ კავშირის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის მრავალმხრივ განვითარებას. ამ პერიოდს ეკუთვნის როგორც საერთო საკავშირო აქტებისა და საფუძვლების, ისე რესპუბლიკური კოდექსების შემუშავება და გამოცემა. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს კანონშემოქმედების უმდიდრესი პერიოდი.

რასაკვირველია, საბჭოთა სამართლის მეცნიერება შემდგომ კიდევ უფრო ვითარდება. ახლა იგი თანდათანობით გამოდის „პოლემიკური აღზევებიდან“ და იმ ნორმათა ჩამოყალიბებასთან ერთად, რაც დროებით ხასიათს ატარებდა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის საჭიროებას ემსახურებოდა, იწყებს მოწავლის ნორმათა შექმნას. ერთიც და მეორეც რევოლუციური კანონიერების მოთხოვნათა უმკაცრესად დაცვას ითვალისწინებდა.

იქმნება იურისტ-მკვლევართა ახალი კადრები. ამასთან ერთად სრული

¹² А. В. Луначарский, Ленин как ученый и публицист. М., «Работник просвещения», 1924. стр. 17—18.

მხარდაჭერა აქვთ ძველ კადრებს თუ ისინი მოისურვებენ საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობას.

მეცნიერ-მკვლევარნი ორ ნაწილად დაიყო. ძველი კადრების ერთი ჯგუფი რეაქციული პროფესურისა აშკარა კონტრრევოლუციის მხარეს გადავიდა და ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ პირდაპირი ხელჩართული ბრძოლის გზა აირჩია. ისინი არცთუ იშვიათად თეთრგვარდიელთა მიერ დაკავებულ ქალაქებში წერენ ნაშრომებს, რომლებშიც ისწრაფიან დადასტურონ საბჭოთა ხელისუფლების უკანონობა. სამშობლოდან გაქცეულ იურისტ-პროფესორთა ერთი ჯგუფი პრალაში აარსებს რუსულ იურიდიულ ფაკულტეტს და იქ, თითქოს არაფერი მომხდარაო, სტუდენტებს ახალი რუსეთის ნორმატიულ აქტებს კი არ ასწავლის, არამედ მათგან მოითხოვს შეისწავლონ ძველ რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის 16 ტომეულის ნახევრად ფეოდალური და ნახევრად ბურჟუაზიული აქტები, რევოლუციის მიერ უკვე აფეთქებული.

სამშობლოში დარჩენილ იურისტ-პროფესორთა მეორე ნაწილმა ლოიალობა გამოუტყნა ახალ ხელისუფლებას. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას რუსული უნივერსიტეტების პრივატ-დოცენტურაზე, თუმცა საბოლოოდ კიდევ დიდმა ღრმად განვლო ვიდრე ისინი სოციალიზმის უშუალო სამსახურში ჩადგებოდნენ.

1919 წლიდან საბჭოთა რუსეთში იურიდიული ფაკულტეტები გაუქმდა მათი ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტებმა დაიკავეს. აქ არსებულ სამართლის განყოფილებაზე (სექციებზე) დიდი მუშაობა წარმოებს სამართლის მეცნიერების განვითარებისათვის. ამ განყოფილებაზე მომუშავე იურისტ-მკვლევარები თანდათანობით გვერდში ამოუდგენ იუსტიციის სახალხო კომისარიატში მომუშავე პირველ მოღვაწეებს, რომლებიც მრავალმხრივ პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად, საფუძველს უყრიდნენ დანვითარებდნენ ახალ, სოციალისტურ სამართლის მეცნიერებას. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პ. სტუჩკას, დ. კურსკის, ნ. კრილენკოს, ე. პაშუკანისის, ა. გოიხბარვის, მ. კოზლოვსკის დამსახურება.

1918 წლის ივნისში შექმნილი საზოგადოებრივი მეცნიერების სოციალისტური აკადემია ითვალისწინებდა სამართლის მეცნიერების შესწავლასაც. რევოლუციამდელი დემოკრატიული სამართლის მეცნიერების ტრადიციებზე აღზრდილი ა. ვენედიქოვი, მ. გერნეტი, მ. ისაევი, ა. ტრაინინი, ა. პიონტკოვსკი, პ. ლიუბლინსკი, ა. ჟიუილენკო, დ. ვენკინი, მ. აგარკოვი, ი. ნოვიცი, გ. გურვიჩი, ს. პოზნიშევი, მ. სირომიატნიკოვი, პ. პოლიანსკი, ი. პერეტერსკი და სხვები საფუძველს უყრიან ახალი სოციალისტური სამართლის მეცნიერებას და მისი გამოჩენილი მკვლევარები ხდებიან.

ჩვენს ქვეყანაში იზრდება იმ დაწესებულებათა რიცხვი, რომლებიც იურიდიული კადრებისა აღზრდის, სამართლის მეცნიერების საქმეს ემსახურებიან. ძველი და ახალი მეცნიერული ძალები აქტიურად ებმებიან სოციალისტური სამართლის ჩამოყალიბებაში, იურიდიული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებისა და შემდგომ იურიდიული ფაკულტეტების შექმნაში.

საქართველოში იურიდიული განათლების საფუძვლის ჩაყრა დაკავშირებულია ლ. ანდრონიკაშვილის ჩამოსვლასთან და მისი ხელმძღვანელობით იურიდიული (სოციალ-ეკონომიური) ფაკულტეტის შექმნასთან 1922 წელს.

საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებას დიდ სირთულეთა გადალახვა მოუხ-

და არ იყო არავითარი გამოცდილება. ახლის ძებნისა და აღმოჩენის შემოქმედებით პროცესში, გასაგებია, რომ იყო შეცდომებიც, სამართლის მეცნიერების ჭეშმარიტი მონაპოვრების შეუფასებლობაც, სამართლებრივი ნიჰილიზმიც. მაგალითად ბრალი, შეურაცხადობა, თანამონაწილეობა და სხვა გამოცხადებული იყო ბურჟუაზიული სამართლის გადმონაშთად და ა. შ. ამასთან ერთად ზოგჯერ სხვადასხვა ბურჟუაზიული მიმართულებები და შეხედულებები უკრიტიკოდ იყო მიღებული. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მომარჯვებით თანდათან ყალიბდებოდა საბჭოთა სამართლის მეცნიერება. ეს კი გულისხმობდა სამართლის თეორიის განვითარებას, სამართლებრივი ნიჰილიზმის დაძლევას, ფსიქოლოგიური სკოლის შეხედულებათა უარყოფას, სისხლის სამართლის ახალი მეცნიერების შექმნას სოციოლოგიური და ანტროპოლოგიური სკოლის გამოვლინებათა დაძლევით, ცივილისტების მხრივ სამართლის „სოციალური ფუნქციის“ დიუგისტური კონცეპციითა გამოვლინების დაძლევას და სხვ. სამართლის სოციალისტური მეცნიერების განვითარებაში მთელი ეტაპი შექმნა 1931 წელს შემდგარმა სახელმწიფომცოდნე მარქსისტთა პირველმა ყრილობამ. მან შეაჯამა საბჭოთა სამართლისმცოდნეობის მიღწევები და დასახა მისი განვითარების გზები. აქვე უნდა ითქვას, რომ იურისტთა ამ პირველ არსებითად საერთო საკავშირო ყრილობაზე გადაჭარბებულად მკაცრად შეაფასეს იმ სწავლულ-იურისტთა შეცდომები, რომლებიც მათ დამართათ ახლის შექმნის პროცესში, თუმცა მათ გულწრფელად სურდათ დამდგარიყვნენ ახალი სამართლის სამსახურში. ამგვარი შეცდომების იმავე დონეზე განხილვა, რასაც სოციალიზმის მტრები შეგნებულად უშვებდნენ, ყოვლად გაუმართლებელი იყო.

უდიდესი ნიშანსვეტი საბჭოთა კანონმდებლობისა და საბჭოთა სამართლის განვითარებაში იყო 1936 წლის სსრ კავშირის კონსტიტუცია მისი ჩამოქნილი ფორმულებით. იგი მძლავრი იმპულსი გახდა სამართლის მეცნიერების განვითარებისა, იურიდიულ მეცნიერთა კადრების აღზრდისა. ბევრი რამ გაკეთდა მომდევნო წლებში. ახლა უკვე სამართლის განმარტებიდან დაწყებული ბევრი რამ ახლებურად იქნა გაგებული. ფართო მასშტაბით ვითარდება სამართლის ცალკეული დარგების კანონმდებლობა და მეცნიერება. ამ დროს შექმნილმა საყურადღებო მონოგრაფიებმა, კოლექტიურად შემუშავებულმა სახელმძღვანელოებმა დიდად შეუწყეს ხელი სამართლის მეცნიერების დაწინაურებას. მართალია, ამ პერიოდში სოციალისტური კანონიერების დარღვევებმა ხელი შეუშალეს სამართლის მეცნიერების შეუფერხებელ განვითარებას მიღწეული დადებითი შედეგების ობიექტურ შეფასებას. იმ დროს განსხვავებული შეხედულება ზოგჯერ განიხილებოდა როგორც მტრული და მავნებლურად, რაც ზოგჯერ ტრაგიკულად მთავრდებოდა მისი ავტორისათვის, მაგრამ მაინც, ეს წლები არის საბჭოთა კანონმდებლობის შენდგომი აღმავლობისა და საბჭოთა სამართლის მეცნიერების მანამდე არნახული წარმატებების წლები. დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა სამართლის მეცნიერების დამუშავება კიდევ უფრო ღრმავდება და ვითარდება. ომის შემდგომი წლები ესაა ხანა საბჭოთა კანონმდებლობის კიდევ მეტად აღმავლობისა და საბჭოთა სამართლის მეცნიერების მანამდე უცნობი წარმატებებისა, რამაც ასეთი დიდი როლი შეასრულა სოციალისტურ ქვეყნებში ახალი კანონმდებლობისა და სამართლის სოციალისტური მეცნიერების უმტკივნეულოდ განვითარებისათვის.

საბჭოთა კანონმდებლობის განვითარებაში დიდ ნიშანსვეტად იქცა 1957 წელს სსრ კავშირის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რომლებმაც გააფართოვეს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები, მათ შორის კანონშემოქმედებაში. მთელ შემდგომ პერიოდში განუზრუნვლად, მასშტაბურად, ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც საერთო საკავშირო საკანონმდებლო საფუძვლების, კოდექსებისა და სხვა აქტების მიღება, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების მდიდარი საკანონმდებლო მოღვაწეობა, რაც თავის შედეგად გვაძლევს ახალ-ახალ კოდექსებს, კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

საერთო-საკავშირო საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შექმნა იქცა არამარტო ახალი მდიდარი ნორმატიული აქტების მიგნების, დახვეწის საგნად, არამედ ამასთან მოკავშირე რესპუბლიკების იურიდიული მეცნიერების წარმატებების პირობადაც. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკური კოდექსები მნიშვნელოვანწილად მოცემული რესპუბლიკის იურიდიული მეცნიერების მიღწევების გამოხატულებაა.

უდიდესი კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა გაშალა საბჭოთა სახელმწიფომ განსაკუთრებით 1964 წლის შემდეგ. „ჩვენ ახლა გვაქვს დებულებები სამრეწველო საწარმოსა და საწარმოო გაერთიანების შესახებ, კოლმეურნეობის ახალი წესდება. მიღებულია ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, საპენსიო უზრუნველყოფის, გარემო ბუნების დაცვის ახალი კანონები. ზუსტად არის განსაზღვრული ადგილობრივი საბჭოების უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულაა დეპუტატთა სტატუსი“¹³.

ეს ხანგრძლივი და მდიდარი დარგობრივი კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა დაედო საფუძვლად სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოთქმით სწორედ ეს აქტები „გახდა საშენი მასალა, რომლითაც არის აგებული ახალი კონსტიტუციის ბევრი მუხლი“¹⁴.

საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გამოცემულ უკანასკნელი დროის ნორმატიულ აქტებს რომ ეცნობიან ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენიც იძულებულნი არიან აღიარონ ამ აქტების მაღალი იურიდიულ-ტექნიკური დონე.

საბჭოთა კანონმდებლობისა და სანართლის მეცნიერების 60 წლისთავს არა აქვს მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომ აღვნიშნოთ წარსული გზა. ეს იმავედროულად იმის ასახვაც არის, თუ როგორ მიაღწია საბჭოთა სამართალმა განვითარების ამ მაღალ დონეს. ახალი დროის ყველა ნორმატიულ აქტში, მათ შორის სსრ კავშირის კონსტიტუციაში, მტკიცედ დაცულია კანონმდებლობის განვითარების მემკვიდრეობითობა. სავსებით ბუნებრივია, რომ ამის შესახებ ხაზგასმით არის ნათქვამი სსრ კავშირის კონსტიტუციის პრეამბულაში.

საბჭოთა კანონმდებლობისა და სამართლის ისტორიის 60 წლისთავის გამოცდილების შეუსწავლელად შეუძლებელია მისი დღევანდელი არსის გაგება და მომავლის სამსახურში მისი უკეთესად ჩაყენების უზრუნველყოფა.

¹³ ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის ნროექტის შესახებ, 1977, გვ. 7.

¹⁴ იქვე, გვ. 8.



ალკოჰოლიზმის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგირითი შედეგის შესახებ

პროფ. ბ. ზაზიანი,

თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

ბ. თოდუა,

თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის

უმცროსი მეცნიერთანამშრომელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტო-შორისო ლაბორატორია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრთან ერთად ეწევა რესპუბლიკაში ალკოჰოლიზმის კომპლექსურ კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევას. წინამდებარე სტატიაში გადმოცემულია გამოკვლევის პროგრამით შესრულებულ სამუშაოთა მხოლოდ ერთი მონაკვეთის მოკლე ანალიზი.

გამოკვლევას საფუძვლად დაედო რესპუბლიკის ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერებში აღრიცხვაზე მყოფი ალკოჰოლიკების ერთი ნაწილის (1525) გამოკითხვის გზით მიღებული ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების პირველი შედეგები.

გამოკითხვა წარმოებდა ვრცელი კითხვარის საშუალებით, რომელიც შეგროვებული ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავებისათვის ვარგისი პროგრამირებული დოკუმენტია. ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავება განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ძალებით. შეგროვებული ინფორმაციის სტატისტიკური გათვლის გარდა მოვახდინეთ ორფაქტოროვანი და მრავალფაქტოროვანი ანალიზი და მივიღეთ დიდი მოცულობის საინტერესო ინფორმაცია ალკოჰოლიზმის შესახებ. ქვემოთ მოკლედ შევხეებით მხოლოდ ინფორმაციის სტატისტიკური გათვლის ძირითად შედეგებს.

გამოკითხული ალკოჰოლიკები სქესის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდნენ: მამაკაცები 1374 ანუ 90,1 პროცენტი, ქალები 151 ანუ 9,9 პროცენტი. ძარბალია გამოკითხულთა შორის ქალთა რაოდენობა 9-ჯერ მცირეა მამაკაცებთან შედარებით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქალთა ხვედრითი წონა ალკოჰოლიკებს შორის მაინც მაღალია. ნაწილობრივ ეს შეიძლება აიხსნას იმ თავისებურებებით, რაც ახასიათებს ქალთა ემანსიპაციის პროცესს სწრაფი ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციისა და მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის თანამედროვე პირობებში. ეს საკითხი სპეციალურ მეცნიერულ ინტერესს იმსახურებს, მაგრამ თავისი ხასიათით სცილდება არა მარტო ამ წერილის, არამედ ჩვენს მიერ ჩატარებული ალკოჰოლიზმის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ჩარჩოებსაც.

ასევე ნიშნის მიხედვით გამოკვლევის შედეგებმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ ალკოჰოლიზმი, როგორც დაავადება, თავს იჩენს საშუალო და ხან-

შიშესულ ადამიანებში. კერძოდ, გამოკიფხული 1525 ალკოჰოლიკიდან 16-34 წლისაა 172 ანუ 11,2 პროცენტი, 35-39 წლისაა 265 ანუ 17,4 პროცენტი; 40-44 წლის 261 ანუ 17,1 პროცენტი, 45-49 წლის 332 ანუ 21,8 პროცენტი, 50-54 წლის 239 ანუ 15,7 პროცენტი და 55 წლის ზევით 254 ადამიანი ანუ 16,7 პროცენტი.

ასაკობრივი ნიშნის მიხედვით ალკოჰოლიკთა ამგვარი განაწილება სრულიად კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს, რადგან ნარკომანიისაგან განსხვავებით ალკოჰოლიზმი ყალიბდება სპირტიანი სასმელების წლების მანძილზე სისტემატურად და დიდი რაოდენობით გამოყენების შედეგად, რასაც წინ უძღვის ხოლმე ხანგრძლივი ლოთობა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ახალგაზრდობის ასაკში ალკოჰოლიზმით დაავადებული ადამიანები ძალზე იშვიათად გვხვდებიან.

გამოკვლევის დროს დავინტერესდით თუ რა ზემოქმედებას ახდენს ალკოჰოლიზმის მდგომარეობასა და დინამიკაზე დემოგრაფიული ფაქტორები. ცნობილია, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება ინტენსიურად მიმდინარეობს. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის გავრცელებასთან ბრძოლის ორგანიზაციისა და განხორციელების პროცესში აუცილებელია იმ ცვლილებათა გათვალისწინება, რაც თან სდევს ინტენსიურ მიგრაციას.

ამ საკითხის შესწავლას შევუდექით გამოკითხული ალკოჰოლიკების დაბადებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ არსებული მონაცემების ურთიერთშედარებით.

დაბადების ადგილის მიხედვით გამოკვლეული პირები შემდეგნაირად განაწილდნენ: თბილისში დაიბადა 249 კაცი ანუ 16,3 პროცენტი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში — 401 კაცი ანუ 26,3 პროცენტი, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში — 79 კაცი ანუ 5,2 პროცენტი, სოფლებში დაიბადა 390 კაცი ანუ 25,6 პროცენტი, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ 358 კაცი ანუ 23,5 პროცენტი. 48 კაცის ანუ შესასწავლი ერთობლიობის 3,1 პროცენტის დაბადების ადგილის შესახებ ცნობები არ გვაქვს.

ალკოჰოლიკების მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ მონაცემების ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა: თბილისში მუდმივად ცხოვრობს 419 კაცი ანუ 27,5 პროცენტი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში — 602 კაცი ანუ 32,5 პროცენტი, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში — 89 კაცი ანუ 5,8 პროცენტი, სოფლებში — 278 კაცი ანუ 18,2 პროცენტი, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ 8 კაცი ანუ 0,5 პროცენტი, 129 კაცის ანუ შესასწავლი ერთობლიობის 8,5 პროცენტის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

ამ მონაცემების შედარების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში ლოთობა და ალკოჰოლიზმი ძირითადად ქალაქის სოციალური პრობლემაა, რადგან ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში მუდმივად ცხოვრობდა გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა — 1110 კაცი ანუ 72,8 პროცენტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ალკოჰოლიზმის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ურბანიზაციას ანუ ქალაქებში ხალხის დიდი მასის კონცენტრაციას, რაც ძირითადად მიგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციის შედეგია. მაგალითად, ქ. თბილისში 1926 წელს აღირიცხებოდა 294 ათასი მცხოვრები, 1939 წელს — 519 ათასი, 1959 წელს 703 ათასი,



1970 წელს — 889 ათასი, ხოლო 1976 წელს უკვე 1 მილიონ 30 ათასი მცხოვრები. სწრაფი ტემპით იზრდება აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრების მოსახლეობაც, ძირითადად მიგრაციული პროცესების ხარჯზე.

ამგვარად, ქალაქის მოსახლეობის ზრდის თანამედროვე ტემპს ძირითადად განაპირობებს სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქში, რასაც ხელს უწყობს მთელი რიგი ფაქტორებისა, რომელთა განხილვას აქ არ შევეუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მიგრანტთა მნიშვნელოვან ნაწილს ახალგაზრდობა შეადგენს. ბევრს, პირველ ხანებში მაინც, ძლიერ უჭირს სწორი ორიენტირება მათთვის უცხო სოციალურ გარემოში. ამას საბოლოო ანგარიშში ხშირად მიყვავართ სოციალური თვალსაზრისით უარყოფით შედეგებამდე (მიგრანტთა სოციალური იზოლაცია, დეზორიენტაცია და სხვა). აქედან გამოძვინარე ბუნებრივია, რომ მიგრანტები სხვებზე ხშირად აღგებიან სამართალდარღვევის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის გზას, რასაც ადასტურებენ რიგი სოციოლოგიური გამოკვლევების, მათ შორის ჩვენი გამოკვლევის შედეგები ჩვენს ნიერ გამოკითხულ ალკოჰოლიკთა თითქმის მეოთხედი მიგრანტებია.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ მიგრანტთა შრომით მოწყობას, მათი ყოფაცხოვრების საკითხების დროულად მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარი ანტისოციალური მოვლენის, მათ შორის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკის საქმეში.

გამოკვლევული იქნა აგრეთვე საკითხი გამოკითხულ ალკოჰოლიკთა განათლებისა და კულტურის დონის შესახებ.

გამორჩევა, რომ საშუალოდ ძალზე დაბალია გამოკითხულ ალკოჰოლიკთა განათლების დონე. კერძოდ, 358 პირს ანუ 23,5 პროცენტს აქვს დაწყებითი განათლება, 507-ს ანუ 33,2 პროცენტს არასრული საშუალო განათლება, 528-ს ანუ 34,6 პროცენტს საშუალო განათლება, 31-ს ანუ 2 პროცენტს არასრული უმაღლესი განათლება და 91-ს ანუ 6 პროცენტს უმაღლესი განათლება. ამრიგად გამოკითხულთა უმრავლესობას, 865 ადამიანს ანუ 56,7 პროცენტს აქვს დაწყებითი და არასრული საშუალო განათლება და მხოლოდ 122 ადამიანს ანუ 8,0 პროცენტს უმაღლესი და არასრული უმაღლესი განათლება.

გარდა განათლების დაბალი დონისა გამოკვლევულ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამახასიათებელია სულიერი და ინტელექტუალური მოთხოვნილებების სიღარიბე. მაგალითად 346 კაცი ანუ 22,7 პროცენტი საერთოდ არ კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს. 707 კაცი ანუ 46,4 პროცენტი არ კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, 971 კაცი ანუ 63,7 პროცენტი არ დადის თეატრში, 480 კაცი ანუ 31,5 პროცენტი არ დადის კინოში, 330 კაცი ანუ 21,6 პროცენტი არ უსმენს რადიოს, ხოლო 203 კაცი ანუ 13,3 პროცენტი ტელევიზორსაც კი არ უყურებს. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ 1464 კაცი ანუ გამოკითხულთა 96 პროცენტი არასოდეს არ მისდევდა ფიზკულტურასა და სპორტს.

ამგვარად, ეს მონაცემები ნათლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ალკოჰოლიზმი უპირატესად გავრცელებულია იმ პირთა შორის, რომელთათვისაც დამახასიათებელია ერთის მხრივ განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, ხოლო მეორეს მხრივ სულიერ მოთხოვნილებათა და ინტერესთა სიღარიბე.

შევსწავლეთ აგრეთვე გამოკითხულთა ოჯახური აღზრდისა და მათ ოჯახებში არსებული ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ზოგიერთი საკითხი

ნი გამოკითხულ პირთა უმრავლესობას გამოკითხვის მომენტში არ ჰყავდა ორივე ან ერთ-ერთი მშობელი, თანაც ამგვარ პირთა მნიშვნელოვან ნაწილს მშობლები გარდაეცვალა სიყმაწვილეში ან ახალგაზრდობაში.

ეს დავადგინეთ გამოკითხულ პირთა ასაკისა და იმ მონაცემების შედარების გზით, თუ რამდენი წლის წინათ დაკარგეს მათ მშობლები. კერძოდ, როდესაც ცალკე გამოვყავით გამოკითხულების ჯგუფი, რომელთა ასაკი 35 წელს აღემატება, დავინახეთ, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფიდან, რომელიც 1086 ადამიანისაგან შესდგება, 558-მა ერთ-ერთი მშობელი დაკარგა 20 წლის ან უფრო მეტი ხნის წინ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ იმ პირთა შორის, რომელთაც გამოკითხვის მომენტში ორივე მშობელი ცოცხალი ჰყავდათ (ასეთია 360 კაცი), 35-ის მშობლები დიდი ხნის წინ განქორწინდნენ, დავინახავთ, რომ გამოკვლეულთა საერთო რაოდენობა, რომლებმაც ერთ-ერთი მშობელი დაკარგეს ახალგაზრდობაში ან რომელთა მშობლები მრავალი წლის წინ განქორწინდნენ, შეადგენს 593 კაცს ანუ გამოკითხულთა საერთო მასის 38,2 პროცენტს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, 1/3-ზე მეტი, სიყრმიდან იზრდება ე. წ. „არასრულ ოჯახებში“, რამაც უცილობლად მოახდინა უარყოფითი გავლენა მათ აღზრდაზე, ინტელექტუალურ თუ ზნეობრივ ფორმირებაზე, ამან კი საბოლოო ანგარიშში თავისი ასახვა ჰპოვა სპირტიანი სამელების ბოროტად გამოყენების ჩვევის ჩამოყალიბებაში.

რაც შეეხება გამოკითხულთა იმ ნაწილს, რომელთა მშობლები ცოცხლები იყვნენ გამოკითხვის მომენტში, მათი, ე. ი. ცოცხალი მშობლების უმრავლესობის განათლებისა და კულტურის დონე დაბალია. კერძოდ, ამ კატეგორიის ალკოპოლიკების დედების საერთო რაოდენობა შეადგენს 781-ს. აქედან 475-ს ანუ 60,8 პროცენტს აქვს მხოლოდ დაწყებითი განათლება, 90-ს ანუ 11,5 პროცენტს არასრული საშუალო განათლება, 127-ს ანუ 16,3 პროცენტს საშუალო განათლება. ამრიგად, გამოკვლეულთა დედების დიდ უმრავლესობას, სახელდობრ, დაახლოებით 9/10-ს, არა აქვს საშუალოზე მაღალი განათლება. აღსანიშნავია ისიც, რომ მათგან მხოლოდ 22 ადამიანს ანუ, 2,8 პროცენტს აქვს არასრული უმაღლესი და უმაღლესი განათლება.

მამების განათლების დონის შესწავლამაც დაახლოებით იგივე სურათი მოგვცა. სახელდობრ, ამ კატეგორიის მამების საერთო რიცხვიდან, რაც 360-ს შეადგენს, 164-ს ანუ 45,6 პროცენტს აქვს დაწყებითი განათლება, 53-ს ანუ 14,7 პროცენტს არასრული საშუალო განათლება, 99 მამას ანუ 27,5 პროცენტს საშუალო განათლება.

საქმიანობის მიხედვით გამოკვლეულ პირთა დედები შემდეგნაირად ნაწილდებიან (მითითებულია შედარებით მრავალრიცხოვანი ჯგუფები): პენსიონერები — 245 ანუ 31,4 პროცენტი, დიასახლისები — 239 ანუ 30,6 პროცენტი, კოლმეურნეები — 112 ანუ 14,3 პროცენტი, მუშები — 63 ანუ 8,1 პროცენტი, მომსახურე დედები სახალხო მეურნეობის შემდეგ დარგებშია დაკავებული: სოფლის მეურნეობა — 143 ანუ 26,4 პროცენტი, მძიმე და მსუბუქი მრეწველობა — 52 ანუ 9,6 პროცენტი, ვაჭრობა — 33 ანუ 6,9 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვა — 25 ანუ 4,6 პროცენტი და სხვა.

გამოკითხულ პირთა მამები საქმიანობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან (მითითებულია ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფები): პენსიონერები

— 101 ანუ 28,1 პროცენტი, კოლმეურნეები — 87 ანუ 24,2 პროცენტი, მუშები 71 ანუ 19,7 პროცენტი, მოსამსახურეები — 22 ანუ 6,1 პროცენტი და სხვა. მომუშავე მამები სახალხო მეურნეობის შემდეგ დარგებში არიან დაკავებული: სოფლის მეურნეობა — 99 ანუ 27,6 პროცენტი, მსუბუქი მრეწველობა — 35 ანუ 9,9 პროცენტი, მძიმე მრეწველობა — 31, ანუ 9,1 პროცენტი, ვაჭრობა 16 ანუ 4,4 პროცენტი და სხვა.

ამრიგად, მონაცემები მშობლების შესახებ საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ალკოპოლიკების მშობლების განათლებისა და კულტურის დონე დაბალია, რამაც უეჭველად მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა მათი შვილების ზნეობრივ და ინტელექტუალურ ფორმირებაზე.

გამოკვლულ იქნა აგრეთვე მაჩვენებლები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც ახასიათებს მათ ოჯახებში შექმნილ ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ ატმოსფეროს.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ ალკოპოლიკთა უმრავლესობა ცოლიანები და გათხოვილებია. ასეთია 1079 ადამიანი ანუ 70,7 პროცენტი. მაღალია აგრეთვე განქორწინებულთა ხვედრითი წილი, რაც შეადგენს 222 ადამიანს ანუ 14,6 პროცენტს. ეს სავსებით გასაგებია, რადგანაც სპირტიანი სასმელების სისტემატურად ბოროტად გამოყენება მრავალმხრივ ახდენს უარყოფით გავლენას ოჯახურ ურთიერთობაზე. მაგალითად, საზოგადოდ ცნობილია, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი განქორწინებისა, რომლებიც ცოლების ინიციატივით მოხდა, ქმრის ლოთობითაა მოტივირებული.

ოჯახები, რომლებშიც გამოკითხული ალკოპოლიკები ცხოვრობენ, მეტად მრავალფეროვანია შემადგენლობის მიხედვით და თუ გამოვრიცხავთ მათ, ვინც მარტო ცხოვრობს (ასეთი კი არის 174 ადამიანი ანუ 11,2 პროცენტი) მათი ოჯახის წევრთა რაოდენობა მერყეობს 2-დან 13 კაცამდე. სახელდობრ, ოჯახში, რომელიც შედგება ორი სულისაგან, ცხოვრობს 259 გამოკითხული ანუ 17 პროცენტი, სამი წევრისაგან შემდგარ ოჯახში — 312 ანუ 20,5 პროცენტი, ოთხწევრიან ოჯახში — 357 ანუ 23,3 პროცენტი, ხუთწევრიან ოჯახში — 104 გამოკითხული ანუ 6,8 პროცენტი და ა. შ.

შესწავლილ იქნა აგრეთვე საკითხი, თუ როგორ არიან მატერიალურად უზრუნველყოფილი გამოკითხული ალკოპოლიკების ოჯახები, რისთვისაც ძირითად მაჩვენებლად მივიჩნიეთ ფულადი შემოსავალი ოჯახის თითოეულ წევრზე. აღმოჩნდა, რომ თითოეულ წევრზე საშუალოდ თვეში 20 მანეთამდე მოდიოდა 110 ანუ 7,2 პროცენტ ოჯახში, 21-დან 40 მან-მდე — 439 ანუ 28,8 პროცენტ ოჯახში, 41-დან 60 მან-მდე — 439 ანუ 28,8 პროცენტ ოჯახში, 61-დან 80 მან-მდე — 249 ანუ 16,3 პროცენტ ოჯახში, 81-დან 100 მან-მდე — 71 ანუ 4,7 პროცენტ ოჯახში და ა. შ. ამგვარად, ჩვენს მიერ გამოკითხული პირების უმრავლესობა ცხოვრობს დაბალი ან საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებში, რაც ნაწილობრივ შეიძლება იმით აიხსნას, რომ გამოკითხულთა დაახლოებით 9/10 ძაძაკაცია, რომელიც თავისი ასაკითა და ოჯახური მდგომარეობით ოჯახის მარჩენალის როლს უნდა ასრულებდეს, მაშინ, როდესაც სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება უდავოდ უარყოფითად მოქმედებს მათს შრომით მაჩვენებლებზე, რასაც ბუნებრივად მოსდევს შრომითი შემოსავლის მკვეთრი შემცირება.

საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ გამოკითხულთაგან 83-ს ანუ 5,4-

პროცენტს ოჯახში ჰყავთ მძიმე ფორმის ნერვული ან ფსიქიური დაავადებით შეპყრობილი ადამიანი, ხოლო 182-ს ანუ 11,9 პროცენტის ოჯახის რომელიმე წევრი ეტანება სპირტიან სასმელებს. ყოველივე ეს უდავოდ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ოჯახის ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზე. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთაგან მხოლოდ 376 კაცი ანუ 24,7 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათი ოჯახის წევრთა შორის არსებობს კარგი ურთიერთდამოკიდებულება, 654 კაცს ანუ 42,9 პროცენტს ეს დამოკიდებულება დამაკმაყოფილებლად მიაჩნია. 382 კაცი ანუ 21,7 პროცენტი აღიარებს, რომ მათი ოჯახის წევრთა შორის ცუდი ურთიერთდამოკიდებულებაა, ხოლო 162 კაცმა ანუ გამოკითხულთა 10,7 პროცენტმა ამ კითხვაზე არ მოგვცა პასუხი.

ამრიგად, გამოკითხული ალკოჰოლიკების ოჯახების უმრავლესობაში შექმნილია უდავოდ არანორმალური ვითარება. კერძოდ, მათგან დაახლოებით 3/4-მა არ მიიჩნია ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობა კარგ დამოკიდებულებად, ანუ ისეთად, როგორც ნორმალურ ვითარებაში უნდა იყოს. ამ დასკვნას შემდეგი მონაცემებიც განამტკიცებს: გამოკითხულთაგან მხოლოდ 350-მა ანუ 22,9 პროცენტმა მიიჩნია მის მიმართ ოჯახის წევრთა დამოკიდებულება საკმარისად კარგად, 650-მა ანუ 42,6 პროცენტმა დამაკმაყოფილებლად და 318-მა ანუ 20,9 პროცენტმა ცუდად. ამ კითხვაზე არ უპასუხა 207-მა კაცმა ანუ გამოკითხულთა 13,6 პროცენტმა, რომელთაგანაც უმრავლესობამ, ჩვენი ვარაუდით, იმიტომ შეიკავა თავი პასუხის გაცემისაგან, რომ უკმაყოფილოა ოჯახის წევრთა დამოკიდებულებით მის მიმართ.

დაგვიანტერესა აგრეთვე იმ საკითხმა, თუ რით ხსნიან გამოკითხულები მათდამი ცუდ ან არასაკმარისად კარგ დამოკიდებულებას ოჯახის წევრთა მხრივ. გამოიკვავა, რომ თუ ას პროცენტად მივიღებთ იმ პირთა საერთო რაოდენობას, რომლებიც ოჯახის წევრთა მათდამი დამოკიდებულებას ცუდად ან მხოლოდ დამაკმაყოფილებლად თვლიან, მათგან 575 კაცი ანუ 58,3 პროცენტი ამას ხსნის მის მიერ სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებით, 79 კაცი ანუ 8,1 პროცენტი სამუშაოსადმი გულგრილი დამოკიდებულებით მის მხრივ და ა. შ. ამგვარად, უდიდესი ნაწილი ასეთი ვითარების შექმნაში თავის თავს აღნაშაულებს. გამოკითხულთა 27,1 პროცენტის აზრით მათ იმდენად მოაბეზრეს ოჯახის წევრებს თავი, რომ ამ უკანასკნელებს სრულიად აღარ აინტერესებთ მათი შემდგომი ბედი, რაც აგრეთვე ხელს უწყობს ოჯახში მძიმე ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნას.

შევისწავლეთ აგრეთვე გამოკითხულ ალკოჰოლიკთა საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. აღმოჩნდა, რომ 1525 პირიდან გამოკითხვის მომენტში მუშაობდა 1117 კაცი ანუ 73,3 პროცენტი, ხოლო არ ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას 408 კაცი ანუ 26,7 პროცენტი.

საქმიანობის მიხედვით გამოკითხული პირები შემდეგნაირად განაწილდნენ (მოვიყვანთ ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს): მუშები — 718 ანუ 47,1 პროცენტი, კოლმეურნეები — 138 ანუ 9,0 პროცენტი, პენსიონერები — 135 ანუ 8,9 პროცენტი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები — 95, ანუ 6,2 პროცენტი, სხვა მოსამსახურეები — 91 ანუ 6,0 პროცენტი, მომსახურეობის სფეროს მუშაკები 62 ანუ 4,1 პროცენტი, ვაჭრობის მუშაკები — 45 ანუ 3,0 პროცენტი. ისინი დაკავებული არიან სახალხო მეურნეობის შემდეგ დარგებში (მოგვყავს ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფები): მძიმე მრეწველობაში მუშაობს



270 კაცი ანუ 17,7 პროცენტი, სოფლის მეურნეობაში — 197 კაცი ანუ 12,9 პროცენტი, მსუბუქ მრეწველობაში — 193 კაცი ანუ 12,7 პროცენტი, მშენებლობაში — 164 კაცი, ანუ 10,8 პროცენტი, ტრანსპორტზე — 114 კაცი ანუ 7,5 პროცენტი, ვაჭრობაში 88 კაცი ანუ 5,8 პროცენტი.

განოკითხულ პირთა შორის აღირიცხება ინვალიდების მნიშვნელოვანი რაოდენობა, კერძოდ, 245 კაცი, რაც შესასწავლი კონტინენტის 16,1 პროცენტს შეადგენს. მათ შორის პირველი ჯგუფის ინვალიდია 17 კაცი, ხოლო II ჯგუფისა — 153 კაცი. ამგვარად, 170 კაცი ანუ 11,1 პროცენტი I ან II ჯგუფის ინვალიდია, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად კი დაუშვებელია მათ შეეფარდოთ იძულებითი მკურნალობის ღონისძიება, რაც კიდევ უფრო ართულებს ამ პირთა მკურნალობასა და ხელახალ აღზრდას.

გამოკვლევული მომუშავე ალკოჰოლიკების უმრავლესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამჟღავნებს სამუშაო ადგილის ხშირი ცვლის ტენდენციას. მაგალითად, გამოკითხულთაგან სამუშაო ადგილი არ შეუცვლია მხოლოდ 76 კაცს, რომელთაგან ბევრს მცირე სამუშაო სტაჟი აქვს და ამიტომ ჯერ ვერ მოასწრო სამუშაოს შეცვლა. დანარჩენები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სიხშირით იცვლიან სამუშაოს. ცალკეულმა „რეკორდსმენებმა“ თავიანთი ცხოვრების მანძილზე 35-ზე მეტი სამუშაო ადგილის შეცვლა მოასწრეს. ეს ტენდენცია ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ განოკითხულები კმაყოფილი არ არიან თავისი სამუშაოთი. კერძოდ, გამოკითხვის მომენტში 399 კაცმა ანუ მომუშავე ალკოჰოლიკთა 35,7 პროცენტმა განაცხადა, რომ ახლანდელი სამსახური მას არ მოსწონს და გამოთქვა სამუშაო ადგილის გამოცვლის სურვილი.

ალკოჰოლიკებმა, რომლებიც გამოკითხვის მომენტში მუშაობდნენ, თავიანთი დამოკიდებულება თანამშრომლებთან შემდგენიარად დაახასიათეს: 423 კაცი ანუ 37,9 პროცენტი თვლის, რომ კარგ დამოკიდებულებაშია კოლექტივთან, 641 კაცი ანუ 57,4 პროცენტი ამ დამოკიდებულებას თვლის დამაკმაყოფილებლად, 43 კაცი ანუ 3,8 პროცენტი თვლის, რომ კოლექტივთან ცუდ დამოკიდებულებაშია.

დავინტერესდით იმ საკითხით, თუ როგორია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეაგირება გამოკითხულ ალკოჰოლთა მიმართ. მიღებული მასალების მიხედვით მათ არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ 232 შემთხვევაზე ანუ გამოკითხულთა 20,8 პროცენტის მიმართ, საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალება გამოიყენეს 128 შემთხვევაში ანუ გამოკითხულთა 11,4 პროცენტის მიმართ, დახმარებისთვის მიმართეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს 430 შემთხვევაში ანუ გამოკითხულთა 38,5 პროცენტის მიმართ, დახმარებისათვის მიმართეს ადმინისტრაციულ ორგანოებს 127 შემთხვევაში ანუ გამოკითხულთა 11,4 პროცენტის მიმართ. სხვა საშუალებას მიმართეს 170 შემთხვევაში ანუ გამოკითხულთა 15,2 პროცენტის მიმართ. ამრიგად, ყველა მომუშავე ალკოჰოლიკების 1/5-ის მიმართ ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არავითარ რეაგირებას არ ახდენენ, სრულ გულგრილობას იჩენენ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებები, რომლებიც პირდაპირ აკისრებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაციას, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რათა ამ უკანასკნელებმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუტყვონ ლათო-



ბასა და მით უმეტეს ალკოჰოლიზმს, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ამ საზოგადოებრივად შეტად მავნე მოვლენის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1525 პირიდან, გარდა 260 კაცისა, რომლებიც არ მუშაობენ რაიმე საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, სიბერე, ინვალიდობა და ა. შ) 148 შრომისუნარიანი პირი ანუ გამოკითხულთა 9,7 პროცენტი არ ეწევა არავითარ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ე. ი. არის აშკარა მუქთახორა, რომელსაც არ სურს იშრომოს და ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოები მოვალენი არიან სპეციალური ღონისძიებები განახორციელონ ამ კატეგორიის ალკოჰოლიკების მიმართ.

გამოკითხულთაგან დაახლოებით ნახევარმა რეგულარული სმა არყის მიღებით დაიწყო. ასეთია 769 ადამიანი ანუ გამოკითხულთა 50,4 პროცენტი. ნატურალური ღვინის მიღებით დაიწყო 548 კაცმა ანუ 38,3 პროცენტმა, ლუდის მიღებით — 81 კაცმა ანუ 6 პროცენტმა, შემავრებული ღვინის მიღებით — 39 კაცმა ანუ 2,6 პროცენტმა; კონიაკის მიღებით — 13 კაცმა ანუ 0,9 პროცენტმა. 75-მა კაცმა ანუ 4,9 პროცენტმა ამ კითხვაზე პასუხი არ გავცა.

ამჟამად კი, რაგორც მოსალოდნელი იყო, გამოკვლეულთა აბსოლუტური უმრავლესობა უმეტესად უკვე არაყს სვამს. ისინი, ვინც სხვა ალკოჰოლურ სასმელებთან შედარებით არაყს ანიჭებენ უპირატესობას, შეადგენენ 1502 კაცს ანუ 98,5 პროცენტს.

ჩვენს რესპუბლიკაში ალკოჰოლიკებს შორისაც კი არყის სმის ასეთმა ფართო გავრცელებამ არ შეიძლება არ მიიქციოს ყურადღება. საქართველო ხონ ძველთაგანვე აღიარებული კულტურული მევენახეობისა და მალაღანვითარებული მეღვინეობის ქვეყანაა. ამავ დროს ეს მონაცემები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ალკოჰოლიზმი თავისი საკუთარი „კანონების“ მიხედვით ვითარდება, რასაც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ამ პრობლემის გააზრებასა და ალკოჰოლიზმის თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებისა თუ მათი პრაქტიკული განხორციელების დროს.

გამოკითხულები ყოველთვის ურად სპირტიანი სასმელების შეძენაზე ხარჯავენ სხვადასხვა თანხას: რამდენიმე ათეული მანეთიდან — 400 მანეთზე მეტს. კერძოდ კი მათგან 43,7 პროცენტი სპირტიანი სასმელების შეძენაზე თვითრად 60 მანეთზე მეტს ხარჯავს, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს ოჯახურ ბიუჯეტზე და, აქედან გამომდინარე, ოჯახურ ურთიერთობაზე.

დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას — 1323 კაცს ანუ 86,8 პროცენტს აღენიშნება აშკარად გამოხატული აბსტინენციის სინდრომი, ხოლო 673 კაცს ანუ 44,1 პროცენტს სხვადასხვა დროს უვითარდებათ ალკოჰოლური ფსიქოზები. ამასთან, ზოგიერთ მათგანს ალკოჰოლური ფსიქოზი გადატანილი აქვს რამდენჯერმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ, კერძოდ, 1264 კაცმა ანუ 82,9 პროცენტმა სხვადასხვა დროს უკვე გაიარა ალკოჰოლიზმისაგან ნებაყოფლობითი ან იძულებითი მკურნალობის კურსი, ზოგიერთმა მათგანმა რამდენჯერმეც კი. როგორი იყო მკურნალობის შედეგი? ყველა ეს ადამიანი კვლავ აღრიცხვაზე აღმოჩნდა ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში, რაც ალბათ, კომენტარს არ საჭიროებს.

ეს მონაცემები მეტყველებენ, რომ მიუხედავად მედიკოსთა დაუცხრომელი შეცადინებობისა, დღესდღეობით ალკოჰოლიკების მკურნალობას ჯერ კიდევ არ მოაქვს სათანადო შედეგი, რასაც თავის მხრივ განაპირობებს მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის მიზეზები, რომელთა განხილვა ცილებდა ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს.

ყოველივე ზემოთქმულდან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დღეისათვის პროფილაქტიკის ღონისძიებების შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებას ენიჭება უპირატესობა, ამიტომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რესპუბლიკის მთელმა საზოგადოებრიობამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმართოს მუშაობა, რაც სერიოზულ წვლილს შეიტანს რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებაში.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოკლე წერილში მიზნად არ დაგვისახავს თუნდაც სქემატურად შევხებოდით ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკის პრობლემას, ამიტომ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის დონის განუზრელი ზრდის ღონისძიებებთან ერთად ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკის სპეციალური ღონისძიებები აუცილებლად მოგვცემს მნიშვნელოვან ეფექტს, თუნდაც ისინი ტრადიციული პროფილაქტიკური ღონისძიებების — ანტიალკოჰოლური პროპაგანდის, მშრომელთა დასვენებისა და კულტურული ვართობის უკეთ ორგანიზაციის გაფართოებით გამოიხატებოდეს.



აკაპალლოთ იდეოლოგიური გუგაოგის ღონე რესპუბლიკის აღმინისკაშიულ ორგანოებში

6. კომანშია,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგე

სკკპ განუხრელად ზრუნავს კომუნისტებისა და უპარტიოების იდეურ-პოლიტიკური ღონის ამაღლების, კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში მათი აქტივობის გაძლიერებისათვის.

კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის ჩანოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემა, რომლის დანიშნულებათა შეაიარაღოს კომუნისტები, ყველა მშრომელი მარქს-ენგელს-ლენინის იდეური მემკვიდრეობის, სკკპ ისტორიული გამოცდილების ცოდნით, პარტიის პოლიტიკის ნათელი გაგებით, კომუნისტური იდეოლოგიის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ მოვლენათა მეცნიერული პოზიციებიდან შეფასებისა და პრაქტიკული ღუშაობისათვის სწორი დასკვნების გამოტანის უნარით.

თანამედროვე პირობებში საბჭოთა ადამიანის მარქსისტულ-ლენინური სწავლების შემდგომი სრულყოფის ამოცანებია დასახული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“, რომელიც სწავლების შემდგომი განვითარებისათვის, მისი შინაარსის გამდიდრებისა და თეორიული ღონის ანაღების უზრუნველყოფისათვის პარტიული ორგანიზაციებიდან, სწავლების ორგანიზატორებისაგან მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ:

— საფუძვლიანად შეითვისონ მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც ინტერნაციონალური მოძღვრების, ფუძემდებლური პრინციპები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილება, თეორიაში შეტანილი ის შემოქმედებითი წვლილი, რომელსაც შეიცავენ სკკპ ბოლო ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური წიგნის ლ. ი. ბრეჟნევისა და პარტიის სხვა ხელმძღვანელების გამოსვლები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დოკუმენტები;

— შეისწავლონ პარტიის თეორია და პოლიტიკა მათს ორგანულ ერთიანობაში, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით, სკკპ საერთაშორისო საქმიანობა, იდეოლოგიური ბრძოლა;

— მიღებული ცოდნა გადაიქცეს ადამიანთა აქტიურ, სასიცოცხლო პოზიციად, მოქმედების სახელმძღვანელოდ ჩვენი საზოგადოების განვითარების აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტისას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია იდეოლოგიური მუშაობის სხვა-

დასხვა ფორმებსა და მეთოდებს იყენებს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს შორის პოლიტაღმზრდელი მუშაობის მიზანმიმართული წარმართვისათვის, მათი სულიერი სამყაროს, იდეური მსოფლმხედველობის, შრომითი და ზნეობრივი ცხოვრების ნორმების ჩვენი პარტიის რევოლუციური თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბება-განვითარების მიზნით.

რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში პარტიული სწავლებისა და მისდამი ხელმძღვანელობის პრაქტიკის ანალიზი გასული 1976-1977 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ცხადყოფს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა, პროკურატურის, სასამართლო ორგანოების როგორც ხელმძღვანელ ისე ბევრ ძირეულ რგოლში ჯეროვანი ყურადღება ექცევა კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას, რის შედეგად მსმენელთა აბსოლუტურ უმრავლესობას სწორად ესმის თავისი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა; მაღალია მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, პროფესიული კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობა მინდობილ უბანზე.

პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილია პოლიტიკური სწავლების დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი ფორმები, საკონსულტაციო ჯგუფები, ხადაც თანმიმდევრულად სწავლობენ კურსებს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტუალური საკითხები“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მარქსიზმ-ლენინიზმშია მოქმედებაში“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის აქტუალური პრობლემები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ და სხვ. სწავლების აღნიშნული ფორმების სკოლები და სემინარები უმეტესად დაკომპლექტებული იყო მსმენელთა ცოდნის დონის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელ მუშაკთა დიდი ნაწილი გაერთიანებულია პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან არსებულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლებში.

პრობაგანდისტებად და სემინარების ხელმძღვანელებად დამტკიცებული არიან საქმის მცოდნე და გამოცდილი კომუნისტები, მათ შორის ბევრია ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი, რაიონის, ქალაქის პროკურორი, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე და სხვ., რომელთაგან შევიძლია დავასახელოთ. ლ. თალაკვაძე, ვ. ჭილაშვილი, ა. ბარაბაძე, ვ. ედიშერაშვილი (რესპუბლიკის პროკურატურა), დ. ლორია (უმადლოესი სასამართლო), გ. ცქიტიშვილი, ა. აბესაძე (იუსტიციის სამინისტრო), ო. მხეიძე, ბ. კარტოზია, ნ. ქავთარაძე, გ. კუდრიაშოვი (მსს), გ. ჯორბენაძე, გ. ხოჯავა, ო. ფხაკაძე, გ. გუნიავა, შ. მათურაძე, (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) გ. ბორჩხაძე (ბათუმი), გ. ცერცვაძე (ტყიბული), ვ. ხვედელიძე (ჭიათურა), ქ. ტივაძე (ასპინძა), ნ. სამსონაძე (ახალციხე), ო. ხოსიტაშვილი (ახმეტა), ზ. ფიოლია (ვანი), ვ. ბადრიძე (გორის რაიონი), ბ. გურიელიძე (მუახვევი), კ. ხაჯივი (დმანისი), ვ. წაძალაშვილი (მარნეული), ა. გოგოლაური (ქარელი), ს. ყდენტი (ქედა), მ. ჭუმბურიძე და შ. ფანცულაძა (ორჯონიკიძე), ზ. ბარციცი (ოჩამჩირე), რ. კოხრეიძე, ს. მყვანაძე, ო. სტურუა და დ. ლომაძე (სამტრედია), ლ. ჯანაშვილი (თელავი), რ. ბერიძე (ხულო) და სხვები.

რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის იდეურ-თეორიული აღზრდის უდავოდ სასარგებლო ფორმაა უწყებრივი პოლიტიკური სწავლება, რომელიც სპეციალური პროგრამით წარიმართება. გასულ სასწავლო წელს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ასეთი მეცადინეობები იმართებოდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის 1976 წლის 13 აგვისტოს № 218 ბრძანების შესაბამისად.

1976-1977 სასწავლო წელს პოლიტგანათლების ძირითადი შინაარსი იყო სკკპ XXV ყრილობის მასალების, ყრილობაზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გაღრმავებული შესწავლა, საპროგრამო მასალის პარალელურად ისწავლებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის მასალები, ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, მისი გამოსვლები ქალაქ ტულაში გამართულ ზეიმზე 1977 წლის 18 იანვარს და პროფკავშირთა XVI ყრილობაზე, საფრანგეთის ტელევიზიისათვის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მიცემული ინტერვიუ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“, „პარტიის თბილისის საქალაქო კონიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“, „ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის როლის ამაღლების შესახებ“, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მასალები. სპეციალური მეცადინეობა მიეძღვნა ლ. ი. ბრეჟნევის ბიოგრაფიის შესწავლას მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

მსმენელებმა და წიგნზე დამოუკიდებლად ნომუშავე კომუნისტებმა, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის დადგენილების შესაბამისად ზაფხულში (ივნისი-აგვისტო). გამართულ დანატებით 5 მეცადინეობაზე შეისწავლეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კონიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის მასალები და სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი.

პარტიული კომიტეტები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ სწავლების შინაარსის სრულყოფას, მისი დონისა და ქმედითობის ამაღლებას, პროპაგანდისტთა სწავლებასა და მეთოდურ დახელოვნებას. ამ მიზნით პროპაგანდისტების, თეორიული სემინარების ხელმძღვანელების, კონსულტანტების, მსმენელების, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის სისტემატურად ეწყობა სემინარები, კონსულტაციები, ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხისა და თემატური სადამოებები, თეორიული კონფერენციები, საინსტრუქტაჟო თათბირები, რეფერატების განხილვა.

პროპაგანდისტების წინაშე კვალიფიციური ლექცია-მოხსენებებით სკკპ თეორიისა და პოლიტიკის, კომუნისტური მშენებლობის, სამართლებრივი აღზრდის აქტუალურ საკითხებზე რეგულარულად გამოდიან რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები: „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაური, შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე, რესპუბლიკის პროკურორი ლ. თალაკვაძე, იუსტიციის მინისტრი ა. მუშა-

ნაშვილი, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. შადური, ა. კავსაძე და სხვები.

პროპაგანდისტებს ეძლევათ საქმიანი რჩევა-დარიგებები და რეკომენდაციები მეცადინეობებზე პროპაგანდის ტექნიკური საშუალებებისა და თვალსაჩინოების, სხვადასხვა სქემების, ცხრილების, დიაგრამების, პლაკატების გამოყენების თაობაზე, შესასწავლი მასალის პრაქტიკულ ანოცანებთან დაკავშირების ამოცანებზე და ხერხებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება არის დაგროვილი პარტიის აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებში, ქუთაისის, გორის, ფოთის საქალაქო, ქ. თბილისის ლენინის, გორის, გურჯაანის, ზნაურის, სიღნაღის რაიონულ კომიტეტებში.

ნაყოფიერად მუშაობენ პარტიულ კომიტეტებთან არსებული პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარები და ნეთოდსაბჭოები, რომელთა წევრები სისტემატურად ესწრებიან მეცადინეობებს, აანალიზებენ მათს შინაარსს, დახმარებას უწევენ მუშაობაში. მაგალითად, პარტიის გორის და ზუგდიდის საქალაქო კომიტეტებთან არსებული მეთოდსაბჭოების წევრები — შ. არსენიძე, ა. ჩხარაძე და დ. კუხალეიშვილი ხშირად ესწრებიან ამ მიზნით მეცადინეობებს. პარტიის ბორჯომის, გორის, გულრიფშის, ხობის, ცხინვალის რაიონების, ტყიბულის, ჭიათურის საქალაქო კომიტეტების მეთოდსაბჭოები ისმენენ თავიანთ სხდომებზე ადმინისტრაციულ ორგანოებში კომუნისტთა, კომკავშირელთა, უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების საკვანძო საკითხებს.

გაუმჯობესდა პროპაგანდისტული მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადება-დანერგვის პრაქტიკა. ადგილებზე გამოყენებულია ისეთი საინტერესო ფორმები, როგორიც არის დია საჩვენებელი მეცადინეობის მოწყობა, რომლსაც ესწრებიან ადმინისტრაციული ორგანოების პროპაგანდისტები (ასპინძა, ბოვდანოვკა).

პარტიული კომიტეტები უნარიანად იყენებენ კადრების მარქსისტულ-ლენინური წრთობის ქმედითობის ამაღლებისა და ხელმძღვანელობის ისეთ ნაცად ფორმას, როგორიც არის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პოლიტიკური განათლების მდგომარეობის პრინციპული და კომპეტენტური ანალიზი საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროებზე, რასაც თან სდევს კონკრეტული ღონისძიებების დასახვა არსებული ნაკლოვანებების დაძლევისათვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ ყურადსაღებია პარტიის ქუთაისისა და წყალტუბოს საქალაქო კომიტეტების, აბაშის, ზესტაფონის, ლანჩხუთის რაიკომების მუშაობის პრაქტიკა.

ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად ზრუნავს კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, მთელი სასწავლო წლის მანძილზე ყურადღების ცენტრში აქვს პოლიტიკური განათლების მნიშვნელოვანი საკითხები, ღრმად და საქმის ცოდნით იხილავს მათ პარტიულ კრებებზე, პარტიურ სხდომებზე, ყოველმხრივ ეხმარება პროპაგანდისტებს მსმენელებთან მუშაობაში, ატარებს საინტერესო ღონისძიებებს იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ბევრგან ჩატარებულია თეორიული კონფერენცია.

მეცადინეობანი ტარდება რეგულარულად, გააზრებულად და საინტერესოდ. განსაზღვრულია მათი ჩატარების რიცხვი, დრო, ადგილი. პროპაგანდისტებს შედგენილი აქვთ პირადი ვეგმები, რომლის მიხედვითაც წარმართავენ

მუშაობას. ყველა თეორიული საკითხის შესწავლას თან ახლავს გარკვეული სახის პრაქტიკული დავალება. პროპაგანდისტები დიდი პასუხისმგებლობით ემზადებიან მეცადინეობისათვის, რათა ყოველმა შეხვედრამ მსმენელებთან მათ ახალი ცოდნა შესძინოთ. ასეთი მეცადინეობა, როგორც წესი, აღწევს მიზანს და პასუხობს თავის დანიშნულებას.

სწავლების საინტერესო ფორმა შენოილო პარტიის ახალციხის რაიკომმა, რომლის დადგენილებით 1976-1977 სასწავლო წელს რიგითი შემადგენლობისათვის შეიქმნა ლექტორიუმი. მასში 47 მსმენელი იყო გაერთიანებული. გასულ სასწავლო წელს მათთვის წაკითხულია 56 ლექცია რაიკომის ლექტორთა ჯგუფისა და რაიონული საზოგადოება „ცოდნის“ ძალებით, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორების გ. თევზაძის, ვ. ადვაძის, პ. გიორგაძის და მ. სიმონოვის მიერ.

პარტიული სწავლების საკითხების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში წამოყენებულია ნოთხვნა, რომ ყველა კომუნისტმა და უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელმა მუშაკმა თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლება შეუხამოს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიურ მონაწილეობას. ადმინისტრაციული ორგანოების ბევრი მუშაკი პარტიული სწავლების სხვადასხვა ფორმაში მონაწილეობით შეძენილ მარქსისტულ-ლენინურ წრთობას იყენებს თავისი პროფესიული მოვალეობის ნაღალკვალიფიციური შესრულებისათვის. ისინი ამავე დროს პარტიული ორგანოების დავალებით აქტიურად მონაწილეობენ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ისეთ საინტერესო ფორმაში, როგორცაა სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი თუ ფაკულტეტი. მეტწილად ისინი რექტორები და დეკანები არიან. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ნ. კოკაია (ფოთი), ნ. ჩაფიძე (ადიგენი), ე. შირინიანი (ახალქალაქი), ბ. ოსეფაშვილი (ახმეტა), რ. პერტენავა (ლენინგორი), თ. მარღაშვილი (ორჯონიკიძე), ტ. მეტრეველი (თელავი) და სხვები.

ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა უშუალო მონაწილეობით ხშირად იმართება კითხვა-პასუხის საღამოები მშრომელთა კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილებში. ამ საქმიან შეხვედრებს ხალისით ესწრებიან მშრომელები და იღებენ ბევრ სასარგებლო რჩევა-დარიგებას, კონსულტაციას. ასეთი ღონისძიებები განსაკუთრებულად ინტენსიურად ტარდებოდა განვითარებული სოციალიზმის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისა და მიღების დაუვიწყარ დღეებში.

როდესაც მთლიანად განვიხილავთ გაწეული მუშაობის შედეგებს, პარტიული განათლების ეფექტიანობას, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ რომ პოლიტიკური სწავლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მუშაკთა შეგნებულობისა და დისციპლინის, საზოგადოებრივი აქტიურობისა და ინიციატივის ამაღლებას. იგი ხელს უწყობს სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის განუხრებლ სრულყოფას, მათი წვლილის ზრდას პარტიისა და მთავრობის იმ დადგენილებების განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავენ ნეგატიური მოვლენების დაძლევის, ოპერატიული ვითარების გაუმჯობესებას, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას. ბევრი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება პროპაგანდისტთა და მსმენელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ფორმების შემდგომი სრულყოფა-დახვეწისათვის, თვითეული მათგანის ნიერ აქ-

ტიური ცხოვრებისეული პოზიციის შერჩევისათვის, სიტყვისა და საქმის ერთიანობის ქცევის ყოველდღიურ ნორმად გადაქცევისათვის.

მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პოლიტიკური სწავლების სისტემის ღრმა ანალიზი მოწმობს, რომ აქ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა, რომელთა დასაძლევად უნდა ერთობლივად წარიმართოს როგორც პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და ძირეული რგოლების პასუხისმგებელი პირების, ასევე უწყებების, ნათი სპეციალური სამსახურების ხელმძღვანელების, მარქსისტულ-ლენინური განათლების ორგანიზატორების, პარტიული ორგანოების შესაბამისი განყოფილებების მონდომება. ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯები უკვე იღებება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციისა და ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებების ერთობლივი მეცადინეობის შედეგად.

პირველ რიგში ცალკეულ რგოლებში სერიოზულ კორექტირებას საჭიროებს თვით სწავლების ფორმებისა და მათი მსწენელებით დაკომპლექტების საკითხები, გასათვალისწინებელია სისტემაში შესასწავლი დისციპლინების ერთგვაროვნობის უზრუნველყოფის აუცილებლობა უწყებრივი სპეციფიკის, თეორიის პრაქტიკასთან მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფის ამოცანების მიხედვით. ამ მხრივ ბევრი რამ უნდა გადაისინჯოს.

ბევრგან უზუსტობანია დაშვებული სწავლების ფორმებისა და შესასწავლი კურსების განსაზღვრისას. პარტიის ზოგიერთ ქალაქკომსა და რაიკომს რესპუბლიკის პროკურატურის, სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა საუწყებთაშორის იურიდიული სემინარები პარტიული განათლების ფორმად მიაჩნია. ამ სემინარების თემატიკა (35 დასახელება) ზედმიწევნით აქტუალურია და მათი დამუშავება, პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება ეჭვსგარეშეა ამ დარგების მუშაკთა გადაუღებელი ამოცანაა. მაგრამ აქ საქმე გვაქვს ძირითადად საგამომიებო, სანძებრო, საპროკურორო ზედამხედველობის, სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებთან, რაც მიზნად ისახავს მეცნიერული რეკომენდაციებისა და მუშაობის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვას აღნიშნული ორგანოების საქმიანობაში. ეს კი ვერ შეცვლის მარქსისტულ-ლენინური თეორიით ადამიანთა შეიარაღების ამოცანას.

ამრიგად, ეუშაკთა პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებაზე ზრუნვის გაიგივება მათს მარქსისტულ-ლენინურ სწავლებასთან არ არის სწორი. ასევე არასწორია პარტიის ზოგიერთი რაიკომის მუშაკის პოზიცია, რომლებსაც მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ „ადმინისტრაციულ ორგანოებში იდეოლოგიური მუშაობის უკეთ ორგანიზაციისათვის შექმნილი აქვთ საუწყებთაშორის იურიდიული სემინარები, სადაც გაერთიანებული არიან რაიონის პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების, იურიდიული კონსულტაციის მუშაკები“.

ერთ-ერთ რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში რატომღაც ამჯობინეს, რომ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებს წლების მანძილზე გულდასმით შეესწავლათ დისციპლინა „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები“, რაც თავისთავად უკიდურესად აქტუალური და საჭიროა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის.

ზოგან, როგორც ჩანს, ვერ გაიგეს ვისთვის იქმნება საპარტალმცოდნეობის უნივერსიტეტი ან ფაკულტეტი და მასში მსმენელებად ჩარიცხეს ადმი-

ნისტრაციული ორგანოების მუშაკები, ამასთან მას ნიიჩნევენ პარტიული სწავლების ფორმად. ეს არ არის სწორი. ჩვეულებრივ, სამართლებრივი აღზრდის ეს ფორმები იქმნება სახალხო მსაჯულების, ამხანაგური სასამართლოების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების თავმჯდომარეებისა და წევრებისათვის, სახალხო კონტროლიორებისათვის. ისინი მოქმედებენ მეტწილად საზოგადოება „ცოდნის“ შესაბამისი რგოლების ხელმძღვანელობით, აქვთ თავიანთი სასწავლო პროგრამა.

რაც შეეხება თვით სწავლების დონესა და სიღრმეს, არსებული სემინარებისა და სკოლების მეცადინეობების არსს, თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა მონდომებას და პასუხისმგებლობას, დაკვირვებები და ფაქტიური მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ სამწუხაროდ ბევრგან ადგილი აქვს ფორმალზმს, ზედაპირულობას, მინდობილი საქმისადმი უსულგულო, უგერგილო დამოკიდებულებას. პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის სკოლების მეცადინეობებზე არც თუ იშვიათად თეორიის პრაქტიკასთან კავშირის და ცხოვრებისეული საკითხების ღრმა ანალიზს ცვლის ზოგადი ინფორმაცია, ზერელე ცნობები, რომლებშიც არ არის გაანალიზებული სინამდვილე. ეს უკიდურესად აქვეითებს სწავლების შინაარსს, მისდამი ინტერესს და შესაბამისად ამისა მის უკუგებასაც. იქ სადაც მასებთან ეს მნიშვნელოვანი პარტიული მუშაობა მინდობილი აქვთ უინიციატივო, ყველაფრისადმი გულგრილ პიროვნებებს, საქმე თვითდინებაზეა მიშვებული, არ არის საფუძველი იმისა, რომ ნარქსისტულ-ლენინური თეორია სრულფასოვნად და მთელი თავისი ძლიერებით ასრულებდეს მასების რევოლუციური წინამძღოლის, მათი დამრავლებელი უძლეველი მოძღვრების ისტორიულ მისიას.

რიგი პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სხვა გადაუჭრელი პრობლემები და სიძნელებები, შეცდომები და ნაკლოვანებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ სწავლების ეფექტიანობაზე, მის მიზანსწრაფულობაზე.

ყოველივე ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა ადმინისტრაციულ ორგანოებში პარტიული სწავლებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების მნიშვნელოვანი გაძლიერება. პარტიული ორგანიზაციების, პოლიტიკური განათლების საწვლებისა და კაბინეტების, იდეოლოგიური დარგის მუშაკების მოვალეობაა მკვეთრად გააუმჯობესონ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის პოლიტიკური სწავლების ხარისხი, აამაღლონ მსმენელთა აქტივობა და ბრძოლისუნარიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების ღრმად შეთვისებისა და პრაქტიკული ხორცშესხმისათვის, რათა უფრო შედეგიანი იყოს მათი ბრძოლა სოციალისტური კანონიერების განმტკიცება-დაცვისათვის, ცხოვრების სოციალისტური წესის პატივისცემის სულსკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის, ზნეობის სოციალისტური ნორმების დარღვევის, სამართალდარღვევებისა და ბოროტმოქმედების ყოველგვარი ფაქტების აღმოფხვრისათვის.

შეუენლებლად უნდა ვიზრუნოთ სწავლებისადმი კონტროლის ქნედითი ფორმების ძიებისა და გამოყენებისათვის, გვააუმჯობესოთ პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობა, უფრო ფართოდ მოვიზიდოთ ამ საქმეში პოლიტიკურად




მომწიფებული, ავტორიტეტისა და საჭირო თეორიული მომზადების მქონე ინიციატივიანი მუშაკები, რომელთაც ღრმად აქვთ შეგნებული მიცემული პარტიული დავალების სერიოზულობა, მასებამდე პარტიის დამარზმველი სიტყვისა და იდეების მიტანის მნიშვნელობა. როგორც ამხ. ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე აღნიშნა „ახლანდელ პირობებში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იგნისის დადგენილების შემდეგ, რომელშიც ესოდენ დიდად არის შეფასებული ჩვენი ღონისძიებანი იდეოლოგიის დარგში, განუზომლად იზრდება პროპაგანდისტული კადრების პასუხისმგებლობა. საქმე ეხება იმას, რომ პროპაგანდისტს შეეძლოს დაარწმუნოს, აღანთოს ადამიანები. მაგრამ ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ცოდნა და ინფორმირება. აქ მთავარია პოზიციის დაცვის სურვილი და ამის საფუძველზე მასების დარაზმვა“.

პარტიული სწავლების ორგანიზატორების მოვალეობაა სწავლების მიმდინარე ეტაპზე დაეხმარონ პროპაგანდისტებს კვალიფიციურად და ღრნად გაერკვენენ შესასწავლ მასალებში, უწინარეს ყოვლისა კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის აწ მისისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებში; საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო სხდომის მასალებში, საფუძვლიანად აითვისონ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებში მოცემული იდეებისა და დასკვნების არსი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, პარტიისა და მთავრობის შიერ განვითარებული სოციალიზმის ძირითადი კანონის მიღებასა და დიდი ოქტომბრის იუბილესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტების იდეური სიმდიდრე.

პროპაგანდისტებს უნდა ვასწავლოთ მეთოდურად სწორად, ჩვენი დღევანდელობის სულსკვეთების შესაბამისად წარმართონ მეცადინეობანი, პროპაგანდისტულ საქმიანობაში მიზანშეწონილად გამოიყენონ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ელემენტები, პროპაგანდის ტექნიკური საშუალებები, სოცმეჯობრების განვითარებისა და ნოვატორთა საუკეთესო გამოცდილება. უნდა მივადწიოთ იმას, რომ თითოეული პროპაგანდისტი იყოს ადამიანთა ნამდვილი აღმზრდელი პირადი მაგალითით, თავისი პოზიციით კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული უბანზე, შეეძლოს მსმენელთა სისხლხორცულ საქმედ, მოქმედების პროგრამად აქციოს მეათე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელების მოწინავე პრაქტიკა.

პროპაგანდისტებთან ჩვენს მუშაობაში, რომელსაც გაზრებული სისტემის სახე უნდა მიეცეს, მტკიცედ უნდა ვიხელმძღვანელოთ ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითებით „ყოველი პროპაგანდისტისა და ყოველი ავტორიტორის ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საუკეთესოდ იმოქმედოს ამა თუ იმ აუდიტორიაზე, რომლისთვისაც ცნობილი ჭეშმარიტება უნდა გახადოს რაც შეიძლება დამაჯერებელი, რაც შეიძლება ადვილად შესათვისებელი, რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინო და უფრო მტკიცედ დასახსომებელი“. ამ მუშაობაში უნდა ჩავაქსოვოთ მთელი ჩვენი ცოდნა, დარწმუნების მთელი უნარი, მთელი ჩვენი სულიერი მგზნებარება.

მიმდინარე სასწავლო წელი პარტიული, კომკავშირული და ეკონომიკური განათლების ყველა რგოლში დაიწყო სსრ კავშირის რიგგარეშე მეშვიდე სესიის მასალების, სესიაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა და გა-



მოსვლების ღრმა და საფუძვლიანი ათვისებით. შემდგომ პოლიტიკური განათლების ყურადღების ცენტრში მოექცა დიდი ოქტომბრის 60 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო სხდომის ისტორიული დოკუმენტები, რომელთა შესწავლა ნოემბერ-დეკემბერში გაგრძელდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის, საიუბილეო სხდომის ისტორიული გადაწყვეტილებები ერთსულოვან მოწონებასა და მხარდაჭერას პოულობენ პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სკოლებისა და სემინარების ნეცადინეობებზე.

1978 წლიდან გაგრძელდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების ღრმა შესწავლა, კვლავ ფართო ადგილი დაეთმობა ადრე რეკომენდებული კურსების შესწავლას. ბუნებრივია, სსრ კავშირის კონსტიტუცია, სესიისა და საიუბილეო სხდომის მასალები ასახული იქნება ყველა პროგრამასა და სასწავლო სახელმძღვანელოში. 1978 წლის იანვრიდან იქ, სადაც სკოლებმა ამოწურეს სასწავლო პროგრამის სრული კურსი, რეკომენდებულია დაიწყონ „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის“ კურსის შესწავლა, რომლის პროგრამა და მოკლე სახელმძღვანელო მუშავდება. უმაღლეს რგოლში შემოღებული იქნება სასწავლო კურსი ამავე საკითხებზე.

ყველა, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პროპაგანდისტების მოვალეობაა ყველაფერი ილონონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ მუშაკთა მიერ აღნიშნული კურსების, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის თანამედროვე პრობლემების შემოქმედებითი შესწავლა.

იმ მიზნით, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პოლიტიკური სწავლება თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდეს, ამაღლდეს მისი თეორიული და მეთოდური დონე, გამდიდრდეს შინაარსობრივად და ჯეროვანი მიზანსწრაფულობა მიიღოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა მჭიდრო თანამშრომლობა დაამყარა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებასთან, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან, სამეცნიერო ცენტრებთან. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან აზრთა გაზიარების შედეგად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული:

— პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლთან, ოლქებში და მსხვილ ქალაქებში შეიქმნას სპეციალური მეთოდური საბჭოები, რომლებიც გააერთიანებს ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენლებს: საბჭოების მოვალეობაა ზრუნვა სპეციფიკის გათვალისწინებით მუშაკთა სასწავლო-სამეთოდო გეგმების შემუშავებაზე, პოლიტიკური და სპეციალური სწავლების მიზნობების საკითხებზე, მოწინავე სკოლების, სემინარების, პროპაგანდისტების გამოცდილების შესწავლა-განზოგადებაზე. რჩევებს მისცემს განსახკომბოსა და რაიკომების მეთოდსაბჭოებს, დაეხმარება მათ მუშაობაში და ა. შ.

— აღნიშნული სისტემის პროპაგანდისტებისა და კონსულტანტებისათვის სისტემატურად მოეწყოს დარგობრივი რესპუბლიკური, საოლქო, ზონალური თათბირ-სემინარები, შეკრებები, ლექტორიუმები.

— ზაფხულის თვეებში მოეწყოს პროპაგანდისტების, სემინარების ხელმძღვანელების, კონსულტანტების და სამინისტროებისა და უწყებების პო-

ლიტმუშაკთა რესპუბლიკური (დარგობრივი) ნოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები.

— მეტი ყურადღება მიექცეს თეორიული, სამეცნიერო-პრაქტიკული, მეთოდური კონფერენციების ჩატარებას, რომლებშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ხელმძღვანელებმა მუშაკებმა, მეცნიერებმა, სწავლების საუკეთესო ორგანიზატორებმა, პროპაგანდისტებმა.

— მარქსისტულ-ლენინური სწავლებისადმი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პასუხისმგებლობის შემდგომი ამოღების მიზნით აუცილებელია პროპაგანდისტულ საქმიანობაში პასუხისმგებელი პირების უფრო ფართო ჩაბმასთან ერთად პრაქტიკაში დაენერგოს კომუნისტთა, უპირველეს ყოვლისა ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა პარტიული ბიუროსა და კომიტეტის სხდომებზე, პარტიულ კრებებზე, რესპუბლიკის პარტიულ ორგანოებში ყველა დონეზე მათი მუშაობის თაობაზე პოლიტიკური განათლების დონის სრულყოფისათვის, მოეწყოს მათთან გასაუბრებები.

— პროპაგანდისტთა იდეურ-მეთოდური დახელოვნებისათვის, სწავლების აქტიური ფორმების პროპაგანდისათვის მეტი ყურადღება მიექცეს დარგის საუკეთესო პროპაგანდისტებზე საინტერესო ნარკვევების შექმნას, პრესის, ტელევიზიის საშუალებით მათი გამოცდილების ფართო გავრცელებას, ღია-საჩვენებელი მეცადინეობების ჩატარებას და სხვ.

— მოეწყოს პროპაგანდისტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატესტაციები, წინა პლანზე წამოვიწიოთ მათი მორალური წახალისების აუცილებლობა.

— შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების სპეციალურებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და კათედრებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი კონტაქტები პარტიული განათლების სისტემასთან (მომარაგება ლიტერატურით, თვალსაჩინოებით, რეკომენდაციებით და ა. შ.).

— ამ მუშაობაში აქტიურად ჩაებმება ყურნალი „საბჭოთა სამართალი“, რომელიც საუბრების, კონსულტაციების სპეციალურ ციკლს მიაწვდის პოლიტგანათლების სისტემის პროპაგანდისტებსა და წმენელებს.

— მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს პარტიული სწავლების საკითხების შესწავლა — განხილვის მდგომარეობა პარტიული კრებებისა და ბიუროების სხდომებზე. იგი უნდა ხასიათდებოდეს ღრმა, საქმიანი ანალიზით, არსებული ვითარების დეტალური განხილვით, მიღებული დოკუმენტების კომპეტენტურობით.

— განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ კომკავშირელთა პოლიტსწავლებაზე, ახალგაზრდობის იდეურ-თეორიული აღზრდის სრულყოფაზე.

ზემოდმოსხენიებული და სხვა საკითხების გადაჭრა უდავოდ შეუწყობს ხელს სწავლების გააქტიურებას, მის შინაარსობრივ გამდიდრებას და პრაქტიკული ღირებულების კოეფიციენტის ამაღლებას, წმენელებში მეცნიერული, კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირებას, მტკიცე იდეური რწმენის გამომუშავებას. ამ საფუძველზე კიდევ უფრო განვითარდება მათი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, გაიზრდება წვლილი პარტიისა და მთავრობის მითითებათა რეალიზაციაში, რესპუბლიკის წინაშე მიმდინარე საიუბილეო წელს და წთლიანად მეათე ხუთწლეულში დასახული მასშტაბური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში.



სოცსლეს ჯორჯ ბაუჩინა რეპულის

(გაგრძელება)*

იგორ ვასილის ძეს უცებ გაახსენდა ინოკენტი და გული აემღვრა. „ნეტავ როდის გაუჩნდა კეშას სიხარბის გრძნობა? ნორმალურ პირობებში იზრდებოდა, სადაღ. იქნებ ინსტიტუტში? იქნებ მეორე კურსის შემდეგ, როცა ჭკუფი შეთითხნეს და სიბირში წავიდნენ კედრის კაკლის შესაგროვებლად? ყველა სტუდენტი სამშენებლო რაზმებში ჩაეწერა, ისინი კი მოელაპარაკნენ დიდ სატყეო მეურნეობას და წავიდნენ „ფულის გასაკეთებლად, უოველ წელს მიდიოდნენ. იქნებ მაშინ? ხუმრობა ხომ არ არის — ცხრაშეტი წლის ჭაბუკს ბევრი ფული გაუჩნდა! რამდენიმე ასი მანეთი. იყიდა ერთი რამ... მეორე... მოუხდა შესამე! ხომ ვუთხარი მაშინ კეშას — რა ამბავია, ამდენი ფული იშოვნე და დედისთვის საჩუქარი კი არ გაუიღია მეთქი“.

ჩაიდანში წყალი ათუხთუხდა. იგორ ვასილის ძემ მაგარი ჩაი დააყენა და დაისხა დიდ-უვავილებიან ფინჯანში. ჩაის სმა შაქრის კენკრით უყვარდა, ბლოკადის დროს შეეჩვიდა.

ათს ათი წუთი აკლდა. უკვე ნახევარმა საათმა განვლო, რაც ხალხი დავალების შესასრულებლად წავიდ-წამოვიდა.


შინ დარეკა, ჰკითხა:
— დედა, როგორა ხარ? ვახშმად ნუ დამელოდები.

— ისევ უვახშმოდ რჩები? — ჰკითხა დედამ.

— ვზივარ, ჩაის ვსვამ, — მიუგო კორნეილოვმა. — ველი ზარს კარგი ხალხისაგან.

...პირველად უფროსმა ლეიტენანტმა ნიკოლოვმა დარეკა. მისი ჭკუფი ლავროვასთან გაემგზავრა. მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ჩხრეკის დროს უპოვნეს აეროფლოტის შავი ჩანთა, რომელშიც ეწყო ხელსაწყოები, ტროსი და ავტომანქანის სახელმ-

წიფო ნომრები JEC 33-67. ლავროვამ განაცხადა, ჩანთა სადამოხანს ვიპოვნე ქუჩაში და ნაპოვნ ნივთთა ბიუროში ჩაბარებას ვა-



პირებდიო. მის ბინაში სამორიგეოდ თანამშრომლები დარჩნენ.

— თხუთმეტოდე წუთში სამმართველოში ვიქნები — უთხრა ნიკოლოვმა.

იმავე წამს ბელიანიკოვმა დარეკა. კორნეილოვმა მაშინვე იგრძნო, რომ რაღაც უსიამოვნო მოხდა. ბელიანიკოვი აღელვებული ლაპარაკობდა.

— იგორ ვასილიჩ, ხილკოვის ბინიდან გირეკავ... მკვდარი დაგვხვდა. ცეცხლმსროლელი იარაღით არის მოკლული. ეტყობა, დიდი ხანია გასული.

კორნეილოვმა მაშინვე დაურეკა სამმართველოში მორიგე.

— გაგზავნეთ ოპერატიული მანქანა ამ მისამართით: ლიგოვკა, ოთხმოცდა სამი, ზნა ას ჩვიდმეტი. აუცილებლად წაიყვანონ მადლო... მკვლელობაა.

მათ სულ ცოტა ხნის წინ შემოიღეს ავტომანქანების სადღეღამისო პატრულირება რეპრეზენტაციული ჭკუფის თანხლებით, რომელშიც

გამომძიებელი, სისხლის სამართლის სამსახურის თანამშრომელი და ექსპერტი შედიოდნენ. ეს ბევრად აჩქარებდა შემთხვევის ადგილზე მისვლას.

„ეს რაღა ფანდია — გაიფიქრა კორნილოვმა და ყურმილი დადო, — ხილკოვი მოკლეს. ნეტავ ვინ მოკლა? თანამშრომლებმა? მაგრამ ვისაც ვიცნობთ, ხომ ვუთვალთვალვართ. მაშასადამე, არის კიდევ ვიღაც, რომლისაც ჩვენ არაფერი ვიცით.“

მალე ბუგაევმა დაურეკა და მოახსენა, სასტუმროში ოპერაცია მოთავდაო.

— იგორ ვასილიჩი, მოთამაშეების საერთო თანხა თორმეტი ათასს შეადგენს. სამი გიორგი უგოვეისაა.

— იარაღი ხომ არ უპოვეთ? — დაინტერესდა კორნილოვი.

— არა.

— სასწრაფოდ დაბრუნდით სამმართველოში.

როცა კორნილოვმა ოპერაციიდან დაბრუნებულ ბუგაევს და ნიკიფოროვს უამბო რაც მოხდა, მათ ერთხმად უარყვეს მკვლელობაში უგოვეისა და ლავროვას მონაწილეობის შესაძლებლობა. უკანასკნელი სამი დღე მათს უოველ ნაბიჯს ვაკონტროლებდით, უოველ ნაბიჯს. რაც შეეხება ნიკოლაევს, იგი ქალაქში არ არის. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ...

— იქნებ რამე ძველი ანგარიშებია? — გამოთქვა ვარაუდი ბუგაევმა, — იგი მხიარულ ცხოვრებას ეწეოდა. განსაკუთრებით ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში... იქნებ, ქალის გამო...

— იქნებ, იქნებ. — თქვა კორნილოვმა, ყველაფერი შეიძლება. ყველა მისი ნაცნობი შესასწავლია, ყველა.

ოლონდ, არაფერი მწამს „ძველი ანგარიშებისა“. აქ ახალი ანგარიშებია. სწორედ იმ დროს მოკლეს, როცა, ბოლოს და ბოლოს, მთელი ჯგუფის კვალს მივაგენით, დაპატიმრების წინ... ხომ სიმართლეს მიაგავს?

— სიმართლეს ჰგავს, — თავი დაუქნია ბუგაევმა, — მაშასადამე, ვიღაც არის კიდევ ჩვენთვის უცნობი.

კორნილოვმა ამოიხვნეშა. ჰკითხა:

— ჩაი გინდათ? მაგარი ჩაი დავაყენე. უცნობის თაობაზე კი... ადრეც გეუბნებოდით, ძალიან დეტალურად არის გატაცების გეგმები დამუშავებული. ესუბრებით? — რამდენი თვეა სისხლის სამართლის სამსახურში კვალსაც ვერ მიაგნო... ვინ იპარავდა მანქანებს? ლოთი მაჭლაჭუნა, გონებაჩლუნგი და ხელმოქერილი ნიკოლაევი, უგოვეი... თქვენ თვი-

ნონ არ ამბობდით, უგოვეი უფერული პიროვნებააო? ბანქოს მოთამაშე და მოქიფეაო? ხილკოვი? როგორც ჩანს, უქკუო ბიჭი არ არის, იცის თავის დაჭერა, არც უბეღია. გაბედულიც არის. მაგრამ არც მასზე ითქმის მოაზროვნეაო. და ყველაფერს ერთად რომ მოვუყაროთ თავი, რაც მის შესახებ ვიცით, ავტოპარკიდან, სკოლიდან, უწინდელი სამუშაოდან, მხოლოდ მეორენარისხისოვანი როლისთვის გამოდგება. აღმსრულებელია. რომელია მოთავე, ვინ მოიფიქრა ყოველივე ეს? ვინ გაიზრა ყველა დეტალი, ყველა წვრილმანი?

მეორე, მაჭლაჭუნას ჩვენება. მან ხომ დაწერა, რომ იმ ფულიდან, რომელსაც იღებდნენ მანქანების გაყიდვაში, მას მესამედი ეძლეოდა. მესამედს იღებდა ხილკოვი, ხოლო მესამედს, როგორც იგი ეუბნებოდა მაჭლაჭუნას, კიდევ ვიღაცას აძლევდა, როგორც თავად ამბობდა, „საკომისიო ხარჯებში“. რატომ გავიზიარეთ მაჭლაჭუნას აზრი და ვიფიქრეთ, თითქოს ხილკოვი ტყუილად საკომისიოზე რომ ლაპარაკობდა და ფულს თვითონ იჯიბავდა? არის კიდევ ვიღაც, არის, — თქვა კორნილოვმა და მაგიდას ხელისაგული დაჰჭრა.

შემოვიდნენ ბელიანჩიკოვი და გამომძიებელი კრასიკოვი. ბელიანჩიკოვი აშკარად დაბნეული იყო.

იგორ ვასილის ძემ დიდ მაგიდაზე მიუთითა. თანამშრომლები მაგიდას მიუსხდნენ, ყველა ცდილობდა სკამები უხმაროდ დაედგათ.

— აბა, რა მოგვარებით? — იკითხა კორნილოვმა.

— დიდი ვერაფერი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — თქვა დაღონებულმა ბელიანჩიკოვმა. მან შეხედა კრასიკოვს, მაგრამ კრასიკოვმა ანიშნა, შენ თავად მოჰყევით, — ხილკოვი მოკლულია, ეჭვაში აქვს მოხვედრილი. ტყვია ვიპოვნეთ, „ნაგნის“ სისტემისაა. წინასწარი მონაცემებით, მკვლელობიდან დაახლოებით თორმეტი საათია გასული. ძაღლმა კვალი დაკარგა კიბეზე. ჩხრეკამ ნაყოფი არ გამოიღო... მხოლოდ მოკლულის თითების ანაბეჭდი აღმოჩნდა. ექსპერტისა უფრო ზუსტად დაადგენს. წინ კარში ხილკოვის ფეხსაცმლის კვალი აღმოჩნდა. ყველაფერი თავდაიყირაა. კარადიდან გადმოყრილია თეთრეული, დივანი გამოწეულია. სამხარეთლოში ყველაფერი გადაქეპილია. კოლოფებიდან გადმოუყრიათ ბურღული... საპირფარეოში ბაკის სუფიც კი მოხდილია. ეტყობა, რაღაცას ეძებდნენ, მაგრამ ძალიან ჩქარობდნენ.



— და არავითარი კვალი?
 ბელიანჩიკოვმა უმწეოდ გაშალა ხელები.
 — საფერფლეში პაპიროსია. ხილკოვი მხოლოდ „ბელამორს“ ეწეოდა.
 — ნუთუ სხვა კვალი არ არის?
 — ოთახში დიდი ხალიჩაა. ისეთი სისუფთავეა, ერბო აიკრიფება.

— მტვერსასრუტიც არის?
 — ამხანაგო პოდბოლკოვნიკო, — თქვა ნაწყენმა ბელიანჩიკოვმა და ხელები გაშალა — შევამოწმეთ. მტვერსასრუტში არაფერია. არავითარი ნიშანი კარის შემტვრევისა, არავითარი ნიშანი ოთახში ბრძოლისა. მოკლულს პიჯაკში მხოლოდ ხუთი მანეთი აღმოაჩნდა.

— პიჯაკი ეცვა?
 — არა, სკამზე ეკიდა. ხილკოვს მისიური და ტრუხი ეცვა; ფეხზე — ფოსტლები. საბაზანოში სინათლე ენთო. ყველაფერი გაემუადებინა წვერის მოსაპარსად. ეტუობა, ხილკოვი ის იყო ადგა: და ყველაფერი ეს ემთხვევა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის წინასწარ დასკვნას.

— წიგნაკი, წერილები... — იკითხა კორნილოვმა.

— წერილებს ეტუობა, არ იღებდა, — მიუზგო ბელიანჩიკოვმა. — წიგნაკი კი არის, მაგრამ საინტერესო არაფერია შიგ ორი ტექსტის ნომრის გარდა. ერთი — სასტუმრო „ლენინგრადის“ ექვსას-ოცდა მეთექვსმეტე ნომრისა, მეორე — სასტუმრო „სოცტკაის“ მეთორამეტე ნომრისა. უკვე ვთხოვე დაედგინათ, ვინ ცხოვრობდა „სოცტკაის“ ამ ნომერში უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

— ნუთუ წიგნაკში მეტი არაფერია? — იკითხა დაეჭვებით იგორ ვასილის ძემ.

— არის კიდევ სხვა მისამართები და ტექსტებიც. თანამშრომლები იკვლევენ.

— მერე, მერე...

— მხოლოდ ერთი გასაღები ვიპოვნეთ — დაუმატა ბელიანჩიკოვმა.

რაღაცა არ მჭერა... უოველთვის არის ხოლმე სათადარიგო გასაღები.

— სათადარიგო აღბათ ლავროვას აქვს, — თქვა ნიკიფოროვმა. დეკავებისას უზარმაზარი გასაღები აღმოუჩინეთ. ხერხივით არის დაკბილული.

— ის არის, — დაიქნია თავი ბელიანჩიკოვმა. — ხილკოვის კარისაა.

— კიდევ რა? — იკითხა მოღუშულმა კორნილოვმა.

ბელიანჩიკოვმა ხელები გაშალა.
 — დავულოდოთ ექსპერტიზის შედეგებს. თითების ანაბეჭდი დასაზუსტებელია. ექსპერ-

ტიზას გადავეციოთ ხალიჩაზე ნაპოვნი რამდენიმე თმა... შემდეგ გვაბი უნდა გაიკვეთოს.

— მეზობლები რას ამბობენ?
 — არცერთ ბინაში არ გაუგიათ სროლის ხმა. და არც ვინმე გარეშე პირი უნახავთ კიბეზე.

— ყველა დაჭიოთხეთ?

— ყველა, — უპასუხა ბელიანჩიკოვმა, — ერთი ინჟინერი, რომელიც ქვედა სართულზე ცხოვრობს, გუშინ დილით ადრე გაემგზავრა მივლინებაში... იგი ცოლმა გაცილა. ერთად გამოვიდნენ ბინიდან. ცოლი ამბობს, არაფერი არ მინახავსო.

— ცოლი და ქმარი შეიძლება სხვადასხვანაირად ხედავდეს. — კორნილოვმა მაგიდიდან აიღო პაპიროსის კოლოფი, მოუკიდა. — ამ ინჟინერს მინც ნუ ამოშლით სიიდან. შემოწმეთ. ვინ იცის...

— იგორ ვასილიჩ, თქვენ არ წამოხვალთ ხილკოვის ბინის სანახავად? — ჰკითხა ბელიანჩიკოვმა.

— მე, იური ევგენიჩ, შეიძლება შინ წავიდე. თქვენც გირჩევთ კარგად გამოიძინოთ. თუ საჭირო გახდა, მორიგე ლოგინიდანაც წამოგვურის. როდის იქნება ექსპერტიზის დასკვნა?

— დილის ცხრაზე, — თქვა კრასიკოვმა.

— ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე ყველა ჩემთან იყოს, — კორნილოვი წამოადგა. — კარგ სიზმრებს ვისურვებთ. — მან შეხედა საათს. თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა.

კორნილოვი შინ მივიდა, ფეხაგრეფით შევიდა სამზარეულოში, დედა რომ არ გაეღვიძებინა. მაგიდაზე აკურატულად დაფენილ პატარა სუფრაზე ვახშამი იყო გაშლილი. არ შიოდა. დედის მიერ გამზადებული საქმელი მაცივარში შეაღავა. ხილკოვის ამბავმა მოსვენება დაუკარგა. იგორ ვასილის ძისათვის ნათელი გახდა, რომ ავტომანქანების გატაცების მთელ ამბავში რაღაც სიახლე გაჩნდა, ისეთი, რომელსეც სისხლის სამართლის სამსებროს ჭერჭერობით წარმოადგენდა არა ჰქონდა. მას ის აწუხებდა, რომ მკვლელების კვალი არ ჩანდა. ეს უცნაური იყო კორნილოვის პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ბოროტმოქმედს თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებია. მაგრამ ერთი პატარა სიტუეის უკან „თითქმის“ ყოველთვის იყო რაღაც კვალი, რომელსაც ამჩნევდა მხოლოდ გამოცდილი, ნაჭიერი დამკვირვებელი და ანალიტიკოსი. უფროსი ინსპექტორი ბელიანჩიკოვი ასეთი გამოცდილი ადამიანი იყო. კორნილოვი მასთან უკვე ათი წელი მუშაობდა და ბევრჯერ დარწმუნ-



ნებულა, რომ ამ მხიარული ადამიანისა და ცხარე მოკამათის ბუნებაში ერთმანეთს ვერწყმოდა ამბების განვითარების წინასწარი განჭვრეტის უნარი და ბოროტმოქმედის ფსიქოლოგიის ცოდნა. თუკი მანაც ვერაფერი აღმოაჩინა, მაშასადამე, ძალზე გამოცდილ ბანდიტთან გვექონია საქმე. მაგრამ კვალი მაინც არ შეიძლება არ იყოს...

კორნილოვმა პაპიროსს მოუყიდა, ფანჯარა გახსნა. სანაპიროზე ხალხმრავლობა იყო, როგორც დღისით არის ხალხმე. ისმოდა გიტარის აკორდები, სიცილი. ვახსოვდა ვიღაც კაცის ხმადაბალი, მაგრამ დაუინებელი ძახილი: „ო-რინ-კა, ო-რინ-კა!“ და მკაფიოდ ისმოდა ასეულობით ფეხის ფრატუნის გრანიტის ტროტუარზე.

ხილკოვის ნაცნობების სელახლა გადაქეცვა მოგვიხდება. — გაიფიქრა იგორ ვასილის ძემ. — ყველა უნდა დაეჭვებინა, ვინც კი მასთან ახლოს იყო... ჰუვდა კი მახლობლები? აი როგორ მოეწყო ამ ადამიანის ცხოვრება! თავად მოიწყო ასე... არც ნამდვილი მეგობრები, არც ახლობლები. ლავროვა? არა მგონია ამ ქალს ჰუვარებოდა ის. ამჟამად ოცდაწლისაა არ არის. ნეტავ თუ იცოდა, რა საქმეშია ჩაითრები?

ეს ჭერ კიდევ გამოსარკვევია. დიახ. შეიძლება ლავროვას ახლაც არ ესმის, რატომ მივიდნენ მასთან უცბად მილიციიდან და საკანში ჩასვეს. მაგრამ ხილკოვთან ყველაზე ახლოს მაინც ლავროვა იყო. თუ კი ამ ბანდაში ვიღაც არის, რომელიც ჩრდილში დგას და ჩვენი ყურადღების არეში ვერ ხვდება, ლავროვამ უნდა იცოდეს. რამდენი ხანია ხილკოვთან არის დაკავშირებული. მაჭლაჭუნას სიტყვებით, იგი მოპარული მანქანების გასაღების დროსაც კი ახლდა ხოლმე ხილკოვს... მაგრამ ვთქვათ, არის ვიღაც თანამშრომელი, ჩვენთვის უცნობი, რაღა მაინცდამაინც მას უნდა მოეკლა ხილკოვი? არა, მგონი რაღაცას ვიგონებ! — დატუქსა თავისი თავი კორნილოვმა. — „მართლაც, ხომ შეეძლო სხვა ადამიანსაც მოეკლა. მაგალითად ექვანობის ნიადაგზე, იმავე ლავროვას რომელიმე სხვა მოტრფიალეს... შემდეგ კი უველაფერი გადაეცირებინა, რათა ძარცვაზე მიეტანათ ექვი. ან იქნებ ბანქოს მოთამაშემ გაუსწორა ანგარიში გადაუნდელი ვალის გამო. შეიძლება მძარცველიც იყო, შემთხვევითი, გამოცდილი არ შეძვრება ბინაში, როცა პატრონი შინ არის.“

კორნილოვს ცუდად ეძინა. დღით დამტვრეულივით ადგა. არც მაგრამა ჩამო უშველა,

არც სამმართველომდე ნების სუფთა ჰაერზე ფეხით გასეირნებამ.

კაბინეტში იგორ ვასილის ძე მაგიდას მიუჯდა და ათიოდე წუთს უძრავად იყო, ცდილობდა ყურადღება მოეკრიფა, თავის ტკივილი დაევიწყებინა, მაგრამ ვერ შესძლო. მძიმედ ამოიხვნეშა და ყურმილი აიღო, ექსპერტებს დაურეკა. რამდენიმე წუთის შემდეგ მდივანმა ქალმა მოუტანა ექსპერტის დახვეწები. ხილკოვი მოკლული იყო კეფაში ნასროლი ტყვიით, დაახლოებით ერთი მეტრის მანძილიდან. ვერ მოხერხდა იდენტიფიკაცია იარაღისა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტისამ დაადგინა, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო დილის ექვსსა და შვიდ საათს შორის, ხალიჩაზე ნაპოვნი თმა არც მოკლულისა იყო, არც ლავროვისა. საფერფლემში ნაპოვნი პაპიროსი ხილკოვის მოწეული არ იყო, და რაც მთავარია, დიდი ხნის მოწეული იყო, დღე-ღამით ადრე ხილკოვის მოკვლამდე. საფიქრებელია, — წერდა ექსპერტი, — რომ პაპიროსი ქუჩიდან შემოიტანეს და საფერფლემში ჩაქუციტეს უკვე დიდი ხნის ჩამკრალი ნამწვი. „ეს უკვე კვალის ასარევად — გაიფიქრა იგორ ვასილის ძემ. — პაპიროსი შემოიტანეს, რათა გამოემიბებელი შეეცდინათ. ხილკოვი ხომ არ შემოიტანდა. ოთახიც ახალი მილაგებულა... ვიღაცას სურს დაგვარწმუნოს, რომ პაპიროსს ეწვეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ... თუმცა ეს ჭერჭერობით არაფერს არ ნიშნავს.“

ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე მთელი ჯგუფი შეიკრიბა.

ისევ ძველი დავალება, — თქვა კორნილოვმა — მეორე ტაქსომოტორის პარკში უნდა დამთავრდეს შემოწმება. სადამოსტვის მწად იყოს ცნობები ხილკოვის ყველა მეგობარზე. უნდა გამოირკვიოთ, ვინ მიმართავდა თხოვნით შენაცვლებოდა იმ დღეებში, როცა მანქანების გატაცება ხდებოდა.


— იგორ ვასილიჩ, ყველა უნდა შემოწმდეს, ვინც ხაზზე იყო ხილკოვის მკვლელობის დღეს, — თქვა ბელანჩიკოვმა.

კორნილოვმა თავი დაუქინა. შემდეგ ბუგაევს მიუბრუნდა:

— სიმონ, კიდევ ერთხელ უნდა დაუხსტდეს, სად იყვნენ მკვლელობის მომენტში დაცვებულები. უფროსი უგოვევი სოჭში დააპატიმრეს. დღეს თვითმფრინავით ჩამოიყვანენ აქ. ისიც სწრაფად უნდა შევამოწმოთ. დაურეკეთ მარიკოინს. სასწრაფოდ გამოარკვეოს, ვის ეკუთვნოდა დანარჩენი ორი ავტომანქანა.

— იგორ ვასილიჩი, — თქვა ბელიანჩიკოვმა, სასტუმრო „სოვეტსკაიას“ მეთვრამეტე ნომერში უკანასკნელი წლის განმავლობაში სამჯერ ცხოვრობდა უფროსი უგოვეი. დანარჩენი გვარები უცნობია.

— თქვენთვის არის უცნობი, — გაბრაზდა კორნილოვი, — ხოლო ხილკოვისა და კომპანიისათვის შეიძლება ნაცნობი ყოფი-



ლიყო... იგი ცოტა ხანს გაუყურდა, მერე ჰკითხა: — არის ისეთი გვარები, რომლებიც რამდენჯერმე მეორდებან?

ბელიანჩიკოვმა დამნაშავესავით გაშალა ხელები.

— დავადღეთ შემოწმება. და გამოძიებლის ნებართვით დავადღეთ ვინმეს მაჭლაჭუნას და ელაპარაკოს, უთხრას სიკვდილის ამბავი, ხილკოვისა, ვისიც ეწინოლა და ბოლომდე უვე-

ლაფერს არ ამბობდა. იქნებ ახლა უფრო გულწრფელად ილაპარაკოს. ხილკოვის მეგობრების ამბავი დაწვრილებით გამოკითხონ. სულ ეს არის. ზუსტად ჩვიდმეტ საათზე ისევ შევიკრიბებით. ახლა ხილკოვის ბინაში წავალ.

სახლის სადარბაზო დაკეტილი იყო, ფეხობა უსსოვარი დროიდან აღარ გახსნილა, კორნილოვმა ეზოში შეუხვია. აქ უკვე რამდენიმე კვირა მშრალი და ცხელი ამინდები იდგა, მაგრამ მინც გრილოდა. სარდაფიდან ნესტისა და დამპალი კარტოფილის სუნი ამოდიოდა. თოკზე გასანიავებლად ეკიდა კაცის ძველი პალტო, ბამბის საბნები, შარფები. კორნილოვი შუა ეზოში შეჩერდა, მიმოიხედა. გარდა ლიგოვკაზე გამავალი ჭიშკრისა კიდევ იყო სახლში შემავალი ორი კარი. და მეთუ არაფერი. არავითარი სხვა გამოსასვლელი. მან თავი ასწია და ფანჯრებს მოავლო თვალი. ბევრი მათგანი ღია იყო. ერთი ფანჯრიდან დამთხვეული მუსიკის მკვეთრი ხმა ისმოდა. მეორე სართულზე ბალიშზე დაყრდნობილი ხანშიშესული ქალი დაბეჭითებით უყურებდა კორნილოვს. „აღლბათ გაფენილ ნივთებს სდარაჯობს“ — დაასკვნა იგორ ვასილის ძემ და ოდნავ შესამჩნევად დაუკრა ქალს თავი. ქალი არც განძრეულა.

კორნილოვი შევიდა სადარბაზოში. ხილკოვის ბინა მესამე სართულზე იყო, მაგრამ იგორ ვასილის ძემ გადაწყვიტა ჯერ მოპირდაპირე მხარეს მდებარე ბინაში შეეხედა. კარზე დარეკა და მიაუხურა: კარს უკან სინუმე სუფევდა. შემდეგ მოხუცებული ადამიანის ფეხების ფრატუნი გაისმა და საკეტმა გაიხსაკუნა.

არც კი კითხულობენ „ვის არის?“ — გაიფიქრა იგორ ვასილის ძემ და შეეცადა ხბნელეში გაერჩია წინა ოთახში მდგომი ადამიანი. ეტყობა მართლაც ძალზე მოხუცი კაცი იყო.

(გაგრძელება იქნება)



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგური სასამართლოების დეპუტატების და ამხანაგური სასამართლოების
მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოს დეპუტატების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-
ზიდიუმში აღგენს:

სამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი
საბჭოების შესახებ.

1. დამტკიცდეს დებულება ამხანაგური სა-
სამართლოების შესახებ.

2. ჩაითვალოს ძალადაქარგულად საქართვე-
ლოს სსრ საკანონმდებლო აქტები, თანახმად
დანართისა.

2. დამტკიცდეს დებულება ამხანაგური სა-

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ვ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი
1977 წლის 28 ივლისი.

დ ე ბ უ რ ე ბ ე

ამხანაგური სასამართლოების შესახებ

ამხანაგური სასამართლოების ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი

მუხლი 1. ამხანაგური სასამართლოები არ-
ჩევიითი საზოგადოებრივი ორგანოებია, რომ-
ლებიც მოწოდებული არიან აქტიურად შე-
უწყონ ხელი მოქალაქეთა აღზრდას შრომი-
სადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სო-
ციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველო-
ბითი დამოკიდებულების, სოციალისტური სა-
ერთო ცხოვრების წესების დაცვის, მათში
კოლექტივიზმისა და ამხანაგური ურთიერთ-
დახმარების გრძნობის განვითარების, საბჭო-
თა აღმშენებლის ღირსებისადმი პატივისცემის
სულისკვეთებით. ამხანაგური სასამართლო-
ების მუშაობაში მთავარია სამართალდარღვე-
ვათა თავიდან აცილება, აღმშენებლის აღზრდა
დარწმუნებისა და საზოგადოებრივი ზემოქ-
მედების, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი
საქციელისადმი შეუწყნარებელი ვითარების
შექმნის გზით. ამხანაგური სასამართლოები
აღჭურვილი არიან კოლექტივის ნდობით, გა-
მოხატავენ მის ნებას და პასუხისმგებელი
არიან მის წინაშე.

მუხლი 2. ამხანაგური სასამართლოები სა-
წარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაცი-
ებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ
სასწავლებლებში იქმნება მუშათა, მოსამსა-
ხურეთა ან მოსწავლეთა საერთო კრების გა-
დაწყვეტილებით (საშუალო და უმაღლეს სას-
წავლებლებში მოსწავლეთა და სტუდენტ-
ებისათვის ამხანაგური სასამართლოები იქ-
მნება ცალკე, მასწავლებლებისათვის და აღ-
მშენებლისათვის პერსონალისათვის — ცალკე).

ამხანაგური სასამართლოები კოლმეურნე-
ობებში, ხანლებში, რომლებსაც საბინაო-სა-
ესპლუატაციო კანტორები, ხანლმმართველო-
ბები ემსახურებიან, ან რომლებიც ქუჩის კო-
მიტეტებში არიან გაერთიანებული, აგრეთვე
სოფლებსა და დაბებში იქმნება კოლმეურნე-
ობის წევრთა საერთო კრების, ხანლების მო-
ბინადრეთა ან დაბისა და სოფლის მოქალაქე-
თა საერთო კრების (ყრილობის) გადაწყვეტი-
ლებით, შესაბამისი მშრომელთა დეპუტატე-

ბის საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანხმობით.

მსხვილ კოლექტივებში ამხანაგური სასამართლოები შეიძლება შეიქმნას საწარმოების სამაქრობებში, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებში, კოლმეურნეობების ბრიგადებში და სხვა ქვედანაყოფებში. ამხანაგური სასამართლოები შეიძლება შეიქმნას კოლექტივებში, სადაც სულ ცოტა 30 კაცია.

ცალკეულ შემთხვევებში ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს ან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით ამხანაგური სასამართლოები შეიძლება შეიქმნას კოლექტივებში, სადაც 30 კაცზე ნაკლებია.

მუხლი 8. ამხანაგური სასამართლოების შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ მოქალაქეები, რომლებსაც თავიანთი საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ ამხანაგური სასამართლოების წინაშე დასახული ამოცანები. ამხანაგური სასამართლოს ყოველი წევრი ვალდებულია გამოიჩინოს მაღალი დისციპლინა და ორგანიზებულობა, იყოს შეურიგებელი სასამართლდარღვევებისა და ანტისაზოგადოებრივი ქცევისადმი, თავის საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელოს კანონით.

მუხლი 4. ამხანაგური სასამართლოს წევრობის კანდიდატებს წამოაყენებენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები; აგრეთვე ცალკეული მოქალაქეები.

ამხანაგური სასამართლოს წევრობის კანდიდატთა სიებს გამოაქრავენ საყოველთაო გაცნობისათვის.

მუხლი 5. ამხანაგურ სასამართლოებს ირჩევენ მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებზე და მოქალაქეთა კრებებზე (ყრილობებზე) მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ღია კენჭისყრით, ორი წლის ვადით.

კრებებს ამხანაგური სასამართლოების ასარჩევად იწვევენ შესაბამისად პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ამხანაგური სასამართლოს არჩევნების დღის შესახებ ატყობინებენ წინასწარ.

მოქალაქეებს, რომლებიც მონაწილეობას ლეზულობენ ამხანაგური სასამართლოს არჩევაში, უფლება აქვთ მოტივირებული აცილება მისცენ ნებისმიერ კანდიდატს, აგრეთვე წამოაყენონ ახალი კანდიდატები. აცილების დაკმაყოფილების ან ამაზე უარის თქმის

საკითხი წყდება კრების მონაწილეთა, ხმების უმრავლესობით.

სასამართლოს შემადგენლობაში არჩეულად ითვლებიან ის პირნი, რომლებიც მიიღებენ ხმების უმრავლესობას დანარჩენ კანდიდატებთან შედარებით და კრების მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს.

სასამართლოს წევრთა რაოდენობას ადგენს საერთო კრება, მაგრამ მათი რიცხვი არ შეიძლება იყოს ხუთზე ნაკლები. სასამართლოს წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევენ ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სასამართლოს მდივანს.

მუხლი 6. ამხანაგური სასამართლოები ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ ახარებენ მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებს წელიწადში ერთხელ მაინც.

ამხანაგური სასამართლოს წევრები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ნდობა, შეიძლება ვადამდე გაწვეულ იქნენ საერთო კრების მიერ. გაწვევის შესახებ საკითხზე მსჯელობენ, როგორც წესი ამხანაგური სასამართლოს გასაწვევი წევრის თანდასწრებით.

ამხანაგური სასამართლოს წევრი გაწვეულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ გაწვევას ხმა მისცა საერთო კრების მონაწილეთა უმრავლესობამ.

ამხანაგური სასამართლოს წევრს მოვალეობისაგან ანთავისუფლებს პროფკავშირული ორგანო ან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში ან იმიტომ, რომ ვერ ასრულებს მოვალეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის ანდა სხვა საბატიო მიზეზის გამო.

გაწვეულთა ან სხვა მიზეზების გამო გამოკლებულთა ნაცვლად ამხანაგური სასამართლოს ახალ წევრებს ირჩევენ ამ დებულების მე-2-ს მუხლებით გათვალისწინებული წესით.

სამშენი, რომლებსაც განიხილავენ ამხანაგური სასამართლოები

მუხლი 7. ამხანაგური სასამართლოები განიხილავენ ისეთ საქმეებს, როგორც არის:

- 1) არასაბატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენა (აგრეთვე სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში მოსვლა), სამსახურში დაჯიანება ან სამუშაოდან ნაადრევად წასვლა; სამუშაოს უხარისხოდ შესრულება ან მოცდენა თავისი მოვალეობისადმი მუშაკის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად;
- 2) შრომის დაცვის მოთხოვნათა (უხარისხო-



ლოების ტექნიკის, საწარმოო ხანიტარიის, შრომის ჰიგიენის), აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაუცველობა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებსაც მოპყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;

3) ამა თუ იმ პირის მიერ თავისი მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად მოწყობილობის, ინვენტარის, ხელსაწყო-იარაღების, მასალების და სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაკარგვა ან დაზიანება, თუ ამას არ მოპყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;

4) სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ჩარხების, ხელსაწყო-იარაღების, ნედლეულისა და სხვა ქონების პირადი მიწითი თვითნებურად გამოყენება, თუ ამ მოქმედებას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიუყენებია აღნიშნული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის;

5) სპორტიანი სახმელების სმა ქუჩებში, ეზოებსა და ხეივანებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის საწარმოებისა, სადაც ნებადართულია სპორტიანი სახმელების გაყიდვა ჩამოსხმით; საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა; რაც შეურაცხყოფას აყენებს ადამიანის ღირსებასა და საზოგადოებრივ ჯანსაღს; ჭაჭისა და სხვა შინ გამოხდილი მაგარი სპორტიანი სახმელების შექმნა;

6) პირველად ჩადენილი: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სტეკულაცია, აგრეთვე მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული მცირედღირებული მოხმარების და საყოფაცხოვრებო საგნების პირველად ჩადენილი ქურდობა, იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე და დაზარალებული ერთი კოლექტივის წევრები არიან.

შემნიშვნა: ამ პუნქტში ჩამოთვლილ საქმეებში შინაგან საქმეთა პროკურატორის ან სასამართლოს ორგანოები გადაგზავნიან ამხანაგურ სასამართლოებში, ხოლო საქმეებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების შესახებ — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაცია, კოლმეურნეობის გამგეობა გადაგზავნიან ამხანაგურ სასამართლოებში, რის შესახებაც

ატყობინებს პროკურორს. თუ დამრღვევის სამუშაო, საცხოვრებელ ან სწავლის ადგილის მიხედვით ამხანაგური სასამართლო არ არის, საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქი) სახალხო სასამართლო კანონით დადგენილი წესით.

7) შეურაცხყოფა, შემარცხენელი მონაქორის გავრცელება, ცემა, სხეულის მსუბუქი დაზიანება, თუ ამას არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მოშლა და თუ ეს ჩადენილია პირველად; უწმინდური სიტყვების ხმარება;

8) მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების მიერ ბავშვების აღზრდის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება, მშობლებისადმი უღირსი დამოკიდებულება, ოჯახში უღირსი ქცევა, ქალისადმი უღირსი დამოკიდებულება;

9) საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებისა და კომუნალური მოწყობილობის დაზიანება, თუ ამას არ მოპყვია მნიშვნელოვანი ზარალი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაუცველობა;


10) ბინებსა და საერთო საცხოვრებლებში შინაგანაწესის დარღვევა; მცხოვრებთა დავა დამხმარე სათავსოებით, შრამელებით სარგებლობის, კომუნალური მომსახურების ანაზღაურების, საერთო სარგებლობის ადგილების მიმდინარე შეკეთების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე;

11) დავა იმ ნაგებობებით სარგებლობის წესის თაობაზე, რომლებიც ორი ან რამდენიმე მოქალაქის საერთო საკუთრებაა, საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფა და საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფა, მეუღლეთა შორის ქონებას გაყოფა, თუ მოდავენი თანახმა არიან საქმე განიხილოს ამხანაგურმა სასამართლომ;

12) ხეებისა და სხვა მწვანე ნარგავების დაზიანება; იმ ზარალის გადახდევინება, რომელიც მიყენებულია სატყეო წესების წვრილმანი დარღვევით, თუ ეს ჩადენილია პირველად და ზარალი არ აღემატება 30 მანეთს ზარალის გადახდევინების ოდენობის გამოანგარიშებისათვის მოქმედი ნიშრის მიხედვით;

13) მოქალაქეთა შორის ქონებრივი დავა, თუ ქონების ღირებულება არ აღემატება 50 მანეთს და მოდავენი თანახმა არიან საქმე განიხილოს ამხანაგურმა სასამართლომ;

14) აღმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუ ორგანოები და თანამდებობის პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ აღმინისტრაციული წესით დაჯარიმების უფლება, საჭიროდ მიიჩნევენ ასეთი საქმე განსახილველად გადაცეცს ამხანაგურ სასამართლოს.



ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია აგრეთვე განიხილოს საქმეები პირველად ჩადენილი მცირემნიშვნელოვანი დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ, თუ შინაგან საქმეთა ორგანოები, პროკურატურა ან სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთ საქმეს განსახილველად გადასცემენ ამხანაგურ სასამართლოს.

მუხლი 8. ამხანაგურ სასამართლოებს უფლება არა აქვთ განიხილონ ისეთი საქმეები, რომელთა გამო უკვე გამოტანილია განაჩენები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, დადებულია დისციპლინური ან ადმინისტრაციული სასჯელი ან გამოტანილია გადაწყვეტილება ამხანაგური სასამართლოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში.

ამხანაგურ სასამართლოებში სპმმპმპის ბანდირის წესი

მუხლი 9. ამხანაგური სასამართლოები საქმეებს განიხილავენ დამრღვევის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 10. ამხანაგური სასამართლოები განიხილავენ საქმეებს:

- 1) პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი (სამაქროების) კომიტეტების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი, სახალხო რაზმების, სახალხო კონტროლის ჯგუფების და საგუშაგოების, ქუჩების, სახლების, უბნების, კვარტალების კომიტეტებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეთა კრებების წარდგინებით;
- 2) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და საბჭოების მუდმივი კომისიების წარდგინებით;
- 3) სახელმწიფო ორგანოების, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობების გამგეობების, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირების შეტყობინებით, რომლებსაც დისციპლინური სასჯელის დადების უფლება აქვთ;
- 4) სასამართლოს, პროკურორის, აგრეთვე პროკურორის თანხმობით გამომძიებლის და მომკვლვეი ორგანოს მიერ გადაცემული მასალების მიხედვით;
- 5) მოქალაქეთა განცხადებების მიხედვით;
- 6) თვით ამხანაგური სასამართლოს ინიციატივით.

მუხლი 11. ამხანაგური სასამართლო საქმეებს განიხილავს 15 დღის ვადაში მათი შემოსვლის მომენტიდან. წვრილმანი ხულიგნობის და წვრილმანი სპეკულაციის საქმეებს ამხანაგური სასამართლოები განიხილავენ 10 დღის ვადაში მათი შემოსვლის მომენტიდან. საქმის განხილვის დროს და ადგილს განსაზღვრავს ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე, რის შესახებაც ფართოდ აუწყებენ მოქალაქეებს.

მუხლი 12. ამხანაგურ სასამართლოში საქმეთა განხილვას საქირო შემთხვევებში წინ უნდა უძღოდეს შემოსული მასლების შემოწმება, რომელსაც ახორციელებენ სასამართლოს წევრები.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირნი და მოქალაქენი მოვალენი არიან ამხანაგური სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინონ მას საქმისათვის საქირო ცნობები და დოკუმენტები.


სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე ამხანაგური სასამართლოსათვის გადაცემულს, დაზარალებულს და სამოქალაქო სამართლებრივი დავის მონაწილეებს გაცენობს არსებულ მასალებს და თუ არის ამხანაგურ სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველი, განსაზღვრავს ვინ უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლოს სდომამზე მოწმედ. სასამართლოზე გადაცემულ პირს, დაზარალებულს, აგრეთვე სასამართლოს მიერ განსახილველი სამოქალაქო-სამართლებრივი დავის მონაწილეებს უფლება აქვთ აღძრან შუამდგომლობა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვისა და მოწმეების გამოძახების შესახებ.

დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქმის განხილვისას, თუ საქიროა, ამხანაგური სასამართლო დებულობს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამხანაგური სასამართლოს სდომამში იმ კოლექტივის წარმომადგენლების მონაწილეობას, სადაც დამრღვევი მუშაობს.

მუხლი 13. ამხანაგური სასამართლოს სდომამები და სასამართლოს წევრთა მიერ იმ დავალებათა შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია საქმის განხილვასთან, წარმოებს არასამუშაო დროს.

საქმეები განიხილება საჯაროდ, ამხანაგური სასამართლოს სულ ცოტა სამი წევრის შემადგენლობით, ოღონდ მათი რიცხვი ყველა შემთხვევაში კენტი უნდა იყოს.

ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემულ პირს, დაზარალებულს და სამოქალაქო-სამართლებრივი დავის მონაწილეებს შეუძლიათ მისცენ აცოლება იმ პირს, რომლებიც ამხანა-



გურ სასამართლოს თავმჯდომარეობს და წევრებს, თუ მათ საფუძველი აქვთ იუიქრონ, რომ ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე ან წევრი შეიძლება პირადად იყოს დანაშაულებრივი საქმის შედეგებით.

აცილების დაქმნაში არსებობს ან ამაზე უარის თქმის საკითხს გადაწყვეტს ამ საქმის განმხილველი ამხანაგური სასამართლოს მთელი შემადგენლობა.

ამხანაგური სასამართლო განიხილავს არსებულ მასალებს, მოისმენს სასამართლოზე გადაცემული პირის, დაწარალებულისა და მოწმეთა ახსნა-განმარტებებს. სხდომის დამსწრეებს ამხანაგური სასამართლოს ნებართვით შეუძლიათ მისცენ კითხვები და ილაპარაკონ განხილველი საქმის არსზე.

ამხანაგურ სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოზე გადაცემული პირი, დაწარალებული და სამოქალაქო-სამართლებრივი დავის მონაწილენი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით.

ამხანაგური სასამართლო განიხილავს არსებულ მასალებს, ისმენს სასამართლოზე გადაცემული პირის, დაწარალებულის, სამოქალაქო-სამართლებრივი დავის მონაწილეების და მოწმეთა ახსნა-განმარტებებს.

ამხანაგური სასამართლო ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 14. მოქალაქეთა გამოცხადება ამხანაგური სასამართლოს გამოცხადებით სავალდებულოა.

თუ ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემული პირი, დაწარალებული ან სამოქალაქო-სამართლებრივი დავის მონაწილე სხდომაზე არ გამოცხადდება, სასამართლო უნდა გამოარკვიოს გამოუცხადებლობის მიზეზები და დადგინდეს გარემოებათა მიხედვით მეორედ დანიშნოს საქმე მოსამტენად. თუ აღნიშნული პირი საპატიო მიზეზის გარეშე მეროდ არ გამოცხადდება, ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს მის დაუსწრებლად.

თუ პირი, რომელიც პროკურატურიდან, სახალხო სასამართლოდან ან მომკვლევო ორგანოებიდან შემოსული მასალების საფუძველზე გადაცემულია ამხანაგურ სასამართლოზე დაწავს არიდებს ამხანაგურ სასამართლოში გამოცხადებას, მასალები უბრუნდება აღნიშნულ ორგანოებს საჭირო ზომების მიხედვით.

მუხლი 15. ამხანაგური სასამართლო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით და თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით, ამხანაგური სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ამ თუ იმ საქმის განხილვაში მონაწილე სასამართლოს წევრთა ხმის უმრავლესობით, პირობებში, რომლებიც გამოიცხადებს სასამართლოს შემადგენლობაზე გარეშე შემოქმედებას. გადაწყვეტილებაში აღნიშნება საქმის განხილვის დრო და ადგილი, ამხანაგური სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, მონაცემები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც წარმოებს საქმის განხილვა, სამართალდარღვევის შინაარსი ან სამოქალაქო-სამართლებრივი დავის ხასიათი, გადაწყვეტილების მოტივები და მტკიცებულებანი, რომლებსაც ეყრდნობა ამხანაგური სასამართლო, სასამართლოს მიერ განსაზღვრული საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა ან მითითება გამოართლების შესახებ, ანდა სამოქალაქო-სამართლებრივი დავის განხილვის შედეგები, აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი.


ამხანაგური სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ამა თუ იმ საქმის განხილვაში მონაწილე სასამართლოს წევრთა ხმის უმრავლესობით, პირობებში, რომლებიც გამოიცხადებს სასამართლოს შემადგენლობაზე გარეშე შემოქმედებას. გადაწყვეტილებაში აღნიშნება საქმის განხილვის დრო და ადგილი, ამხანაგური სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, მონაცემები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც წარმოებს საქმის განხილვა, სამართალდარღვევის შინაარსი ან სამოქალაქო-სამართლებრივი დავის ხასიათი, გადაწყვეტილების მოტივები და მტკიცებულებანი, რომლებსაც ეყრდნობა ამხანაგური სასამართლო, სასამართლოს მიერ განსაზღვრული საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა ან მითითება გამოართლების შესახებ, ანდა სამოქალაქო-სამართლებრივი დავის განხილვის შედეგები, აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი.

ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელს აწერენ მისი გამოცხადების მონაწილენი — სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, გადაწყვეტილება გამოცხადდება საჯაროდ და ეცნობება კოლექტივს.

საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, რომელსაც ამხანაგური სასამართლოები იყენებენ

მუხლი 16. ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია დამნაშავეს შეუფარდოს ზემოქმედების შემდეგი ზომებიდან ერთ-ერთი:

- 1) დაავადლებულის საჯაროდ მოიხადოს ბოლიში დაწარალებულის ან კოლექტივის წინაშე;
- 2) გამოუცხადოს ამხანაგური გაფრთხილება;
- 3) გამოუცხადოს საზოგადოებრივი გაკიცხვა;
- 4) გამოუცხადოს საზოგადოებრივი საყვედური პრესაში გამოქვეყნებით ან უპატიოდ;
- 5) დააჯარიმოს 10 მანეთამდე თანხით, თუ გადაცდომა დაკავშირებული არ არის შრომის დისციპლინის დარღვევასთან, ხოლო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების საქმეებზე — დააჯარიმოს თანხით 30 მანეთამდე;
- 6) დააყენოს საკითხი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინაშე შრომის დისციპლინის დარღვევის დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის ან თანამდებობიდან დაქვეითების შესახებ მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად;



7) დაყენოს საკითხი საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინაშე დადგენილი წესით იმ მუშაკის დათხოვნის შესახებ, რომელიც ასრულებს აღმზრდელი ფუნქციებს ან სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია ფულად ან სასაქონლო ფასეულობათა უშუალოდ მომსახურებასთან, თუ ამხანაგური სასამართლო ამ პირის მიერ ჩადენილი გადაცდომების ხასიათის გათვალისწინებით შეუძლებლად ჩათვლის შემდგომში მისთვის ამ სამუშაოს მინდობას;

ამხანაგური სასამართლოს ამ მუხლით დადგენილი ზემოქმედების ზომების დამნაშავესადმი შეფარდებასთან ერთად შეუძლია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის და საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის ადმინისტრაციის წინაშე დაყენოს საკითხი იმის შესახებ, რომ დამნაშავეს წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით მთლიანად ან ნაწილობრივ არ მიეცეს გასამრჯელო, სანატორიუმის ან რასავენენგელი სახლის შეღავათიანი საგზური, აგრეთვე გადაეწიოს საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი.

ამხანაგური სასამართლოს ამ მუხლის 1-7 პუნქტით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომების შეფარდებასთან ერთად შეუძლია დამნაშავეს დააკისროს არამართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება 50 მანეთამდე თანხით, თუ კანონმდებლობით არ არის დადგენილი ზარალის ანაზღაურების სხვა წესი.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების საქმეებზე ამხანაგური სასამართლო ყველა შემთხვევაში ვალდებულია დააკისროს დამნაშავეს მიყენებული მატერიალური ზარალის მთლიანად ანაზღაურება, ასეთი გადაწყვეტილების შესრულების ვალის დადგენით, ხოლო წვრილმანი სპეკულაციის საქმეებზე — გამოიტანოს გადაწყვეტილება წვრილმანი სპეკულაციის საგნების სახელმწიფოს შემოსავალში გადაცემის შესახებ.

მუხლი 17. ამხანაგური სასამართლოს შეუძლია დაკმაყოფილდეს საქმის საჯარო განხილვით და არ შეუფარდოს მე-6 მუხლში მითითებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, თუ დამნაშავე გულწრფელად მოინანიებს და საჯაროდ ბოდიშს მოიხდის კოლექტივის ან დაზარალებულის წინაშე და ნებაყოფლობით აანაზღაურებს მიყენებულ ზარალს.

თუ არ არსებობს მსჯავრის დადების სა-

ფუძველი, ამხანაგური სასამართლო ვალდებულია პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს.

ქონებრივი ან სხვა სამოქალაქო — სამართლებრივი დავის განხილვისას ამხანაგური სასამართლო დააკმაყოფილებს მოთხოვნას მთლიანად ან ნაწილობრივ, ან უარს იტყვის მასზე.

სამოქალაქო-სამართლებრივი დავის მონაწილეთა შერიგების შემთხვევაში, ხოლო შეურაცხყოფის, ცილისწამების, ცემის და სხეულის მსუბუქი დაზიანების საქმეებზე დაზარალებულისა და ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემულის შერიგების შემთხვევაში, სასამართლო ღებულობს გადაწყვეტილებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

თუ საქმის განხილვა წარმოებდა დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია აცნობოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამ პირის მუშაობის ან სწავლის ადგილის მიხედვით.

ადმინისტრაციული კომისიების, სასამართლოს, პროკურორის, აგრეთვე გამოძიებლის და მოკვლევის ორგანოს მიერ პროკურორის თანხმობით გადაგზავნილი მასალების თაობაზე ამხანაგური სასამართლო ვალდებულია ათი დღის ვადაში აცნობოს ამ ორგანოებს საქმის განხილვის შედეგები.

ამხანაგური სასამართლო ატყობინებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს მის მიერ გამოვლენიებული იმ მიზეზებისა და პირობების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწვევს სამართალდარღვევას. იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია წვრილმანი გატაცებისა და სხვა სამართალდარღვევის ხელშემწყობი მიზეზების და პირობების თავიდან ასაცილებლად, თანამდებობის პირები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვალდებული არიან აცნობონ ამხანაგურ სასამართლოს ერთი თვის ვადაში.

მუხლი 18. თუ ამხანაგური სასამართლო საქმის განხილვის დროს დარწმუნდება, რომ საჭიროა სამართალდამრღვევი მიეცეს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში, იგი მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო ორგანოებისათვის მასალების გადაცემის შესახებ.

თუ სამართალდამრღვევი ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ამხანაგური სასამართლო ასეთი პირის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომის მიღებასთან ერთად აყენებს საკითხს მისი იძულებითი მკურნალობის შესახებ კანონით დადგენილი წესით.

თუ ქონებრივი ან სხვა სამოქალაქო-სამარ-

თლებრივი დავის განხილვის დროს ამხანაგური სასამართლო დასკვნის, რომ არ შეუძლია გადაწყვეტოს აღნიშნული საქმე მისი სირთულის გამო, იგი საქმეს გადასცემს სახალხო სასამართლოს.

მუხლი 19. ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება პროცესში შესაბამის საფაზებში, საქარნო ადგილობრივ კომიტეტში ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც იყო გამოტანილი გადაწყვეტილება, აგრეთვე დაზარალებულის სამოქალაქო-სამართლებრივი დავის მონაწილეების მიერ 7 დღის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან. თუ აღნიშნული ორგანოები დაადგინენ, რომ ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ამ დებულებას ან საქმის გარემოებას, აუქმებენ გადაწყვეტილებას და გზავნიან მასალას იმავე ამხანაგურ სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის, ან და საქმის წარმოებას წყვეტენ.

საჩივრის შეტანა შეაჩერებს გადაწყვეტილებას შესრულებას.

მუხლი 20. ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება მიყენებული ზარალის ანაზღაურების, დაჯარიმების ან სხვა ქონებრივი გადანდევინების შესახებ უნდა შესრულდეს გადაწყვეტილებით მიითითებულ ვადაში. ამხანაგური სასამართლო კონტროლს უწევს თავისი გადაწყვეტილების შესრულებას. დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების შეუსრულებლობისას, აგრეთვე წვრილმანი სპეკულაციის საგნების სახელმწიფო შემოსავალში გადაცემის თაობაზე ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების შესარულებლად ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს გადაუგზავნის სახალხო მოსამართლეს, რომელიც წარმოდგენილი მასალების და გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შემდეგ გასცემს აღმასრულებელ ფურცელს.

იმ შემთხვევაში თუ ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, სახალხო მოსამართლე მოტივირებული დადგენილებით უარს იტყვის აღმასრულებელი ფურცლის გაცემაზე, რის შესახებაც აცნობებს ამხანაგურ სასამართლოს და შესაბამისად პროცესში კომიტეტს ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად.

დაჯარიმებული პირებისაგან გადანდევინებული სახსრები ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში კანონით დადგენილი წესით.

ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება დაჯარიმების შესახებ თუ აღსრულებული არ იქნება სამი თვის განმავლობაში დღიდან მისი გამოტანისა, აღსრულებას არ ექვემდებარება.

მუხლი 21. ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება ამხანაგური გაფრთხილების, საზოგადოებრივი გაიცხების ან საზოგადოებრივი საყვედურის გამოცხადების შესახებ მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. თუ პირი, რომლის მიმართ ამხანაგური სასამართლოს მიერ გამოცხადებულია საზოგადოებრივი შემოქმედების ზომა, ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ სამართალდარღვევას ან ანტისაზოგადოებრივ საქციელს, ჩაითვლება ისეთ პირად, რომლის მიმართაც არ ყოფილა გამოყენებული საზოგადოებრივი შემოქმედების ზომა.

ამხანაგურ სასამართლოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის, საწარმოს, დაწესებულების ხელმძღვანელის, კოლმეურნეობის გამგეობის შუამდგომლობით, იმ პირის განცხადებით, რომელიც გადაცემული იყო ამხანაგურ სასამართლოზე, აგრეთვე საკუთარი ინიციატივით უფლება აქვს მოხსნას შემოქმედების ზომები ერთი წლის ვადის გახვლამდე. ამის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებენ კოლექტივს.

**ხელმძღვანელობა ამხანაგური
სასამართლოებისადმი**

მუხლი 22. ხელმძღვანელობას უვლია ამხანაგური სასამართლოს საქმიანობისადმი რაიონების, ქალაქების, ქალაქების რაიონების, სოფლების, დაბების ტერიტორიაზე ახორციელებენ შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოები.

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ამხანაგური სასამართლოების მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობენ პროცესში შესაბამისი საფაზები, საქარნო ადგილობრივი კომიტეტები.

ამხანაგური სასამართლოები კოლმეურნეობებში, სახლებში, რომლებსაც საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები, სახლმშობრთველობები ემსახურებიან ან რომლებიც ქუჩის კომიტეტებში არიან გაერთიანებული, აგრეთვე სოფლებსა და დაბებში მუშაობენ შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების უშუალო ხელმძღვანელობით.

ამხანაგური სასამართლოები წელიწადში



ორჯერ წარუდგენენ შესაბამის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მონაცემებს მათ მიერ განხილული საქმეების რაოდენობისა და ხასიათის და გამოყენებული ზემოქმედების ზომების შესახებ.

ამხანაგური სასამართლოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელებაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტებისათვის ხელშეწყობის, ამხანაგური სასამართლოებისათვის მეთოდური დახმარების გაწევის, მათი საქმიანობის კოორდინაციის სწავლების ორგანიზაციისა და მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო (ქალაქებში, ხადაც არ არის რაიონული დაყოფა), ქალაქების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან იქმნება ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოები.

ამხანაგურ სასამართლოებს სამართლებრივ დახმარებას უწევენ იუსტიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები.

მუხლი 28. ამხანაგური სასამართლოების

თავმჯდომარეებს, თავმჯდომარეების მოადგილეებს, მდივნებს და წევრებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საქმეების განხილვასა და პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარებაში, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტები ან მათი წარდგინებით საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაცია წაახალისებს:

მადლობის გამოცხადებით;
საბატო სივლით;
ფასიანი საჩუქრით ან ფულადი პრემიით;
სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის შეღავათიანი საგზურით;

სამდლიანი დამატებითი შვებულებით, ხელფასის შენარჩუნებით;

მუხლი 24. ამხანაგური სასამართლოების ტექნიკური მომსახურება ეკისრება შესაბამისად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორას და სახლმმართველობას, კოლმეურნეობის გამგეობას, შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **თ. ლაშქარაშვილი**

რ ე ბ უ რ ე ბ ა

ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ

1. ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოები იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (ქალაქებში, ხადაც არ არის რაიონული დაყოფა), ქალაქების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან.

2. საზოგადოებრივი საბჭოები მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, პროფესიული კავშირების კომიტეტებს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში, სახლებში, რომლებსაც საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები, სახლმმართველობები ემსახურებიან ან ქუჩის კომიტეტებში არიან გაერთიანებული, აგრეთვე სოფლის და-

სახლებულ პუნქტებსა და დაბებში წარმართონ ამხანაგური სასამართლოების მუშაობა, უხელმძღვანელონ და კონტროლი გაუწიონ ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას.

3. ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების ძირითადი ამოცანაა:

ხელი შეუწყონ ამხანაგური სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას;

კოორდინაცია გაუწიონ ამხანაგური სასამართლოების მუშაობას, უზრუნველყონ მათ მიერ კანონდერებისა და მოქალაქეთა ფულგებების დაცვა;

დახმარება გაუწიონ ამხანაგურ სასამართლოებს არჩევნების ჩატარებაში და ანგარიშგ-

ბის ჩაბარებაში; აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათი ურთიერთმოქმედება სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში;

ორგანიზაცია გაუყეთონ ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეების და წევრების სასამართლებრივ სწავლებას;

შეისწავლონ ამხანაგური სასამართლოების მუშაობა, განზოგადონ პრაქტიკა და გაავრცელონ მუშაობის დადებითი გამოცდილება.

4. საზოგადოებრივი საბჭოების შემადგენლობას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 2 წლის ვადით.

5. საზოგადოებრივი საბჭოები მოქმედებენ თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის და საბჭოს წევრების შემადგენლობით, საბჭოს წევრთა რიცხვს ადგენენ სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

6. საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობაში ფართო მონაწილეობას იღებს საზოგადოებრიობა.

7. საზოგადოებრივი საბჭოები პასუხისმგებელნი არიან შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე და წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს აბარებენ მათ ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

8. ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ამ დებულებით, დებულებით ამხანაგური სასამართლოების შესახებ და სხვა ნორმატიული აქტებით.

9. ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოს ხელმძღვანელობას ახორციელებს მისი თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე. საზოგადოებრივი საბჭოს საქმისწარმოება და დოკუმენტების შენახვა ევალება საბჭოს მდივანს.

10. საზოგადოებრივი საბჭოები მუშაობენ იმ გეგმების მიხედვით, რომლებიც მტკიცდებიან მათ სტელოებზე.

11. ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭო:

ა) ორგანიზაციის უკეთეს ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეების და წევრების სამართლებრივ სწავლებას, ატარებს სემინარებს და თათბირებს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების, ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გამოცდილების გა-

ზიარების, მოქალაქეთა კომუნისტურ აღზრდაში მათი მონაწილეობის საკითხებზე.

ბ) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალბით რეგულარულად ამოწმებს ამხანაგური სასამართლოების მუშაობას, ეცნობა იმ საქმეებსა და მასალებს, რომლებიც არის ამხანაგურ სასამართლოში, აანალიზებს ამხანაგური სასამართლოების მიერ წელიწადში ორჯერ წარმოდგენილ მონაცემებს განხილული საქმეების რაოდენობის და სასიათის, აგრეთვე მიღებული შემოქმედების ზომების შესახებ და ნაკრებ მონაცემებს წარადგენს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

გ) აწესებს უწყობს ამხანაგურ სასამართლოებს არჩევნების ჩატარებასა და ანგარიშების ჩაბარებაში;

დ) მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალბით ამოწმებს საჩივრებს ამხანაგური სასამართლოების გადაწყვეტილებებზე და შემოწმების შედეგების მიხედვით შეაქვს თავისი წინადადებები;

ე) ისმენს ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეების ინფორმაციას ამხანაგური სასამართლოების მუშაობის შესახებ და იძლევა რეკომენდაციებს ნაკლოვანებების თავიდან აცილებისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის;

ვ) შეაქვს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, პროფკავშირის საფარბიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის განსახილველად წინადადებები გამოკლებილ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოების იმ გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება საქმის გარემოებას ან მოქმედ კანონმდებლობას;

ზ) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, პროფკავშირის საფარბიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტების წინაშე აყენებს საკითხს აქტიური მუშაობისათვის ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებისა და წევრების წახალისების შესახებ;

თ) იღებს ზომებს იმისათვის, რომ ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა გაშუქდეს პრესაში, რადიოთა, ტელევიზიით და ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

დანართი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1977 წლის 28 ივლისის ბრძანებულებისა „ამხანაგური სასამართლოების დებულების და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ“

ნ უ ს ხ ე

საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულება „ამხანაგური სასამართლოების დებულების დამტკიცების შესახებ“. (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 32, გვ. 475).

2. „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების #2-ე მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ. № 11, მუხ. 159).

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის ბრძანებულება „ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ. № 4, მუხ. 79).

4. „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების

გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების 1 მუხლის „გ“ პუნქტი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ., № 16, მუხ. 241).

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 24 აპრილის ბრძანებულება „ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 4, მუხ. 51).

6. „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და ხისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულების მე-11 მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 5, მუხ. 81).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **თ. ლაშპარაშვილი**



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის მე-100 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 100. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, სხვა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ან ანგარებითი ქვენაგრძობით, ან ცეცხლის წაქიდვით თუ სხვა საყოველთაოდ საშიში საშუა-

ლებით, აგრეთვე ტყის მასივების განზრახ განადგურება ან მნიშვნელოვანი დაზიანება ცეცხლის წაქიდვით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამი წლიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, რომელსაც აღდამანთა მსხვერპლი ან განსაკუთრებით დიდი ზარალი თუ სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

2. 81 მუხლში სიტყვები „მე-100 და 157-ე მუხლების მეორე ნაწილები“ შეიცვალოს სიტყვებით „მე-100 მუხლის მეორე და მე-სამე ნაწილები, 157-ე მუხლის მეორე ნაწილი“.

3. მე-12 მუხლში სიტყვები „მე-100 მუხლის მეორე ნაწილი“ შეიცვალოს სიტყვებით „მე-100 მუხლის მეორე და მესამე ნაწილები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. ბილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი
1977 წ. „1“ აგვისტო

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საოკუპაციო და საომრალაშო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეთანხმების შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებსა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავ-

შირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სა-



მოქალაქე სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 572-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს სსრ-ში სარგებლობენ სამოქალაქო უფლებებუნიანიანობით საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად. ცალკეული გამონაკლისი შეიძლება დადგენილ იქნეს სსრ კავშირის კანონით“.

2. დამატოს კოდექსს 5721 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 5721. კანონი, რომელიც გამოიყენება უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამოქალაქო ქმედუნიანიანობის მიმართ.“

უცხოელი მოქალაქის სამოქალაქო ქმედუნიანიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, რომლის მოქალაქეც იგი არის.

მოქალაქეობის არმქონე პირის სამოქალაქო ქმედუნიანიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც იგი მუდმივად ცხოვრობს.

უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამოქალაქო ქმედუნიანიანობა იმ გარიგებათა მიმართ, რომლებიც დადებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში, და იმ ვალდებულებათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობა საქართველოს სს რესპუბლიკაში ზიანის მიყენების შედეგად, განისაზღვრება საბჭოთა კანონით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება ცნობილ იქნენ არაქმედუნიანიანად ან შეზღუდულ ქმედუნიანიანად“.

3. 573-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 573. უცხოეთის საწარმოებისა და ორგანიზაციების სამოქალაქო უფლებებუნიანიანობა

უცხოეთის საწარმოებსა და ორგანიზაციებს საქართველოს სს რესპუბლიკაში შეუძლიათ განსაკუთრებული ნებადრების გარეშე დადონ საგარეო ვაჭრობის გარიგებანი და შეასრულონ მასთან დაკავშირებული საანგარიშსწორებო, სადაზღვევო და სხვა ოპერაციები საბჭოთა საგარეო სავაჭრო გავრთიანებებთან და სხვა საბჭოთა ორგანიზაციებთან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ასეთ გარიგებათა დადების უფლება.

უცხოეთის საწარმოებისა და ორგანიზა-

ციების სამოქალაქო უფლებებუნიანიანობა საგარეო ვაჭრობის გარიგებათა დადებისას და მასთან დაკავშირებული საანგარიშსწორებო, სადაზღვევო და სხვა ოპერაციების შესრულების დროს განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც დაარსებულია საწარმო ან ორგანიზაცია“.

4. 575-ე მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დამატოს მეორე და მესამე ნაწილები შემდეგი შინაარსისა:

„საგარეო ვაჭრობის გარიგებაში ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობა და შეწყვეტა განისაზღვრება გარიგების შესრულების ადგილის მიხედვით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკუთრების უფლება ნივთზე, რომელიც საგარეო ვაჭრობის გარიგების მიხედვით გზაში იმყოფება, განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, საიდანაც ეს ნივთი გაგზავნეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

575-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩაითვალოს შესაბამისად ამ მუხლის მეოთხე ნაწილად.

5. დამატოს კოდექსს 5751, 5752, 5753 და 5754 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 5751. კანონი, რომელიც გამოიყენება რწმუნებულების ფორმისა და მოქმედების ვადის მიმართ

რწმუნებულების ფორმა და მოქმედების ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც გაცემულ იქნა რწმუნებულება. მაგრამ რწმუნებულება არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად ფორმის დაუცველობის შედეგად. თუ ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს საბჭოთა კანონის მოთხოვნებს“.

„მუხლი 5752. კანონი, რომელიც გამოიყენება სასარჩლო ხანდაზმულობის მიმართ

სასარჩლო ხანდაზმულობა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, რომლის კანონმდებლობაც გამოიყენება შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისათვის.

მოთხოვნები, რომლებზეც სასარჩლო ხანდაზმულობა არ ვრცელდება, განისაზღვრება საბჭოთა კანონმდებლობით“.

„მუხლი 5753. კანონი, რომელიც გამოიყენება საკუთრების უფლების მიმართ

ნივთზე საკუთრების უფლება განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც ეს ნივთი იმყოფება.

ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობა და შეწყვეტა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც ეს ნივთი იმყოფებოდა იმ მომენტში, როდესაც ადგილი ჰქონდა



მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ვახ-
და საკუთრების უფლების წარმოქმნის ან
შეწყვეტის საფუძველი, თუ სხვა რამ არ
არის გათვალისწინებული სსრ კავშირისა და
საქართველოს სსრ კანონმდებლობით“.

„**მუხლი 575⁴**. კანონი, რომელიც გამოიყე-
ნება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშო-
ბილი ვალდებულების მიმართ

მხარეთა უფლებები და მოვალეობანი იმ
ვალდებულებებში, რომლებიც წარმოიშობა
ზიანის მიყენების შედეგად, განისაზღვრება
იმ ქვეყნის კანონით, სადაც ადგილი ჰქონ-
და მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც
ვახდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის
საფუძველი.

მხარეთა უფლებები და მოვალეობანი იმ
ვალდებულებებში, რომლებიც წარმოიშობა
ზიანის მიყენების შედეგად საზღვარგარეთ,
თუ მხარეები საბჭოთა მოქალაქეები ან საბ-
ჭოთა ორგანიზაციები არიან, განისაზღვრება
საბჭოთა კანონით.

უცხოური კანონი არ გამოიყენება, თუ
მოქმედება ან სხვა გარემოება, რაც საფუძვე-
ლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის,
საბჭოთა კანონმდებლობით არ არის მართლ-
საწინააღმდეგო“.

11. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ
სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექ-
სში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მე-16 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყა-
ლიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლოები განიხილავენ აგრეთვე
საქმებს, რომლებშიც მონაწილეობენ უც-

ხოელი მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქო-
ნე პირები, უცხოეთის საწარმოები და ორ-
განიზაციები“.

2. 449-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით:

„მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლება
აქვთ მიმართონ საქართველოს სსრ სასამარ-
თლოებს და სარგებლობენ სამოქალაქო საპ-
როცესო უფლებებით საბჭოთა მოქალაქეების
თანაბრად“.

3. დამატოს კოდექსს 4491 მუხლი შემ-
დეგი შინაარსისა:

„**მუხლი 4491**. სამოქალაქო საქმეთა გან-
სჯადობა საქართველოს სსრ სასამართლოებ-
ში ისეთი დავის დროს, რომელშიც მონაწი-
ლეობენ უცხოელი მოქალაქეები, მოქალა-
ქეობის არმქონე პირები, უცხოეთის საწარ-
მოები და ორგანიზაციები, აგრეთვე ისეთი
დავის დროს, რომლის თუნდაც ერთი მხარე
საზღვარგარეთ ცხოვრობს.

სამოქალაქო საქმეთა განსჯადობა საქარ-
თველოს სსრ სასამართლოებში ისეთი დავის
დროს, რომელშიც მონაწილეობენ უცხოელი
მოქალაქეები, მოქალაქეობის არ მქონე
პირები, უცხოეთის საწარმოები და ორგანი-
ზაციები, აგრეთვე ისეთი დავის დროს,
რომლის თუნდაც ერთი მხარე საზღვარგარეთ
ცხოვრობს, განისაზღვრება სსრ კავშირის
კანონმდებლობით, ხოლო სსრ კავშირის კა-
ნონმდებლობით გაუთვალისწინებელ შემთხ-
ვევებში — ამ კოდექსით დადგენილი განს-
ჯადობის წესების შესაბამისად“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **პ. გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი
1977 წლის „31“ აგვისტო.

დირექტორი
პირველი მოსახლეობის განყოფილება
უცხოეთის ურთიერთობების განყოფილება
მედიის განყოფილება
საგარეო ურთიერთობების განყოფილება
საინფორმაციო განყოფილება
საპროცესო განყოფილება
საპროცესო განყოფილება
საპროცესო განყოფილება
საპროცესო განყოფილება
საპროცესო განყოფილება

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირდუმიისა დიდი ოპტოგგარის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ამინსტიის შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ხელმძღვანელობს რა სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განათვისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ვადით (ხუთი წლის ჩათვლით):

ა) პირნი, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ საბრძოლო მოქმედებაში საბჭოთა სამშობლს დასაცავად;

ბ) პირნი, რომლებიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით;

გ) ქალები.

2) განათვისუფლდნენ სასჯელისაგან არასრულწლოვანი მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ვადით (ხუთი წლის ჩათვლით) და აღრე არ მოუხდიათ სასჯელი შრომაგასწორების დაწესებულებაში.

3. განათვისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა:

ა) 60 წელზე უფროსი მამაკაცები და 55 წელზე უფროსი ქალები;

ბ) ქალები, რომლებსაც არასრულწლოვანი შვილები ჰყავთ, აგრეთვე ეფხმძიმე ქალები; გ) I და II ჯგუფის ინვალიდები.

4. განათვისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღსაკვეთავად, აგრეთვე სამხედრო მომსახურენი, რომლებსაც მისჯილი აქვთ სადისციპლინო ბატალიონში გავზავნა.

5. განათვისუფლდნენ შრომაგასწორების დაწესებულებებიდან პირობით და შრომაში სავალდებულო ჩაბმით მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით (სამი წლის ჩათვლით), იმ პირთა გარდა, რომლებზეც გრცელდება ბრძანებულების 1, მე-2, მე-3

და მე-4 მუხლები, და მსჯავრდებულნი, რომლებიც სასჯელს იხდიან დასახლებაკოლონიებში და იმ პირთა დასახლება კოლონიებში, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს გაუფრთხილებლობის გამო.


6. შეუმცივდეს სასჯელის მოხდილი ნაწილი:

ა) ბრძანებულების 1 და მე-2 მუხლებში ჩამოთვლილ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით; — სანახევროდ;

ბ) პირებს, რომლებსაც პირობითად აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, და პირებს, რომლებიც პირობით გაათავისუფლეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით და რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის საწარმოებში და შვენებლობაზე, — ერთი-მესამედით.

7. წარმოებით მოისპოს ყველა სავამოძიებო საქმე და სასამართლოებში განუხილველი საქმეები იმ დანაშაულთა გამო, რომლებიც ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს ამ ბრძანებულების 1 და მე-2 მუხლებში ჩამოთვლილმა პირებმა, და რომლისათვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი—ხუთ წლამდე ვადით (ხუთი წლის ჩათვლით) თავისუფლების აღკვეთა, ან სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე საქმეები იმ დანაშაულთათვის, რომლებიც ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს ამ ბრძანებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა.

იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებითვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით და რომლებიც ჩაიდინეს ბრძანებულების 1 და მე-2 მუხლებში ჩამოთვლილმა პირებმა, ამინსტიის შეფარდების საკითხს სწვევებს სასამართლო ამ ბრძანებულების 1, მე-2 და მე-4 მუხლების ან მე-6 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად.



8. ამნისტია არ შეუფარდდეთ პირებს:

ა) რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, აგრეთვე „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-14, 14¹, 15, 16, 17, 20, 23, 24 და 25 მუხლებით, „სამხედრო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტით, მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით, მე-6 მუხლის „ა“ პუნქტით, მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით, მე-19 მუხლის „ა“ პუნქტით და 21-ე მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის;

ბ) რომლებიც მსჯავრდებული არიან განზრახ მკვლელობისათვის (ძლიერი სულიერი აღლეების ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეღებით ჩადენილი მკვლელობის გარდა); სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (ძლიერი სულიერი აღლეების ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეღებით მიყენებულის გარდა); მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყურდისათვის; დამამძიმებელ გარემოებებში გაუპატიურებისათვის; დამამძიმებელ გარემოებებში გაძარცვისათვის; ყაჩაღობისათვის. დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისათვის; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალებისა ან ასა-

ფეთქებელ ნივთიერებათა მტაცებლობისათვის; ქრთამის აღებისა ან დამამძიმებელ გარემოებებში მექრთამეობაში შეამავლობისათვის; განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის; იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190¹, 190², 190³, 210, 213², 224, 224¹, 227 და 228-ე მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები;

გ) რომლებიც ცნეს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად;

დ) რომლებსაც სიკვდილით დასჯა თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს შეწყალებისა ან ამნისტიის წესით;

ე) რომლებსაც ორზე მეტჯერ ჰქონდათ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა განზრახ დანაშაულისათვის, აგრეთვე პირებს, რომლებსაც აღრე ჰქონდათ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულისათვის;

ვ) რომლებიც ამნისტიით ან შეწყალების წესით იყვნენ განთავისუფლებულნი თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადის მთლიანად მოხდამდე და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული;

ზ) რომლებიც ბოროტად არღვევდნენ რეჟიმს სასჯელის მოხდის დროს.

9. ეს ბრძანებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 4 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგბაძე

ქვემო დასული

სსრ კავშირის ბენეფალური პროკურორის 1977 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებით, დიდერ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60-ე წლისთავთან დაკავშირებით, სამსახურებრივი მოგალეობის სანიშნოდ ფესრულავისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკთა ჯგუფი:

საპატიო სიგელებით

1. ვახტანგ ნურიევის -ძე არშაბა — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.
2. ირაკლი დავითის-ძე ბალიაური — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.
3. ზინაიდა ჯაჭარას ასული ბერიკაშვილი — რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი მემანქანე.
4. ილია ილიას-ძე გადალაძე — ქ. გაგრის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
5. მირზა ამირანის-ძე დოლიძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.
6. ლაერტი ირაკლის-ძე დულაშვილი — გურჯაანის რაიონის პროკურორი, პირველი კლასის იურისტი.
7. ჯემალ ილიას-ძე კიკაბიძე — სამტრედიის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
8. ბორის ვარლამის-ძე მუსელიანი — ბორჯომის რაიონის პროკურორის თანაშემწე, მეორე კლასის იურისტი.
9. სოლომონ სერგოს-ძე ნანიტაშვილი — ქ. თბილისის კალინინის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.
10. კუკუი სოლომონის-ძე თენიეშვილი — ქ. ბათუმის პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი.
11. ვალერიან მიხეილის-ძე წიკლაური — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი, პირველი კლასის იურისტი.
12. შულვა ისაკის-ძე ელიშავი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის მრჩეველი.

ფასიანი საჩუქრებით

1. ისაკ ოგანესის-ძე აბრამიანი — ახალქალაქის რაიონის პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი.
2. გიორგი იაკობის-ძე ვაჭარაძე — თერჯოლის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
3. თენგიზ იაკობის-ძე მახარაძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორის თანაშემწე, მესამე კლასის იურისტი.
4. რუსლან ალექსანდრეს-ძე პეტრენავა — ლენინგორის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
5. ზურაბ ალექსანდრეს-ძე ტუშური — ყვარლის რაიონის პროკურორის თანაშემწე, მესამე კლასის იურისტი.
6. კირილე ფარსადანის-ძე წერეთელი — ამბროლაურის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
7. გივი რაფდენის-ძე წურჭუშია — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი.
8. დიმიტრი სამსონის-ძე ჩიტლოვი — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

საჩუქრებით

1. ომარ ილიას-ძე დანელია — ხელვაჩაურის რაიონის პროკურორი, მეორე კლასის იურისტი.
2. ოთარ მიხეილის-ძე ჯაფარიძე — ქ. თბილისის საქარხნო რაიონის პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი.

- 3. თამარ იოსების ასული ივანოვა — თელავის რაიონის პროკურორის თანაშემწე, მეორე კლასის იურისტი.
- 4. თამაზ ვლადიმერის-ძე ინსარაძე — აჭარის ასსრ პროკურატურის საერთო ნაწილის უფროსი.
- 5. ვაჟა გიორგის-ძე ქელებურიძე — ქ. თბილისის საქარხნო რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.
- 6. მიხეილ ლავრენტის-ძე ნოზაძე — ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.
- 7. ალექსი ფილიპეს-ძე თორია — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის მრჩეველი.
- 8. ელგუჯა გიორგის-ძე ხარშილაძე — რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
- 9. დიმიტრი ლევანის-ძე ჭავჭავაძე — ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.
- 10. ალექსი ბიძინას-ძე ჭინჭარაული — ქ. ცხინვალის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.

ნიმუშით პრემია 70 მანეთის რაოდენობით

- 1. თემურ ვასილის-ძე ბაქრაძე — ქ. ბათუმის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, მეორე კლასის იურისტი.
- 2. გულბაათ თევდორეს-ძე ბესიაშვილი — გორის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.
- 3. ვაჟა პეტრეს-ძე ძაგოვეს — ზნაურის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.
- 4. ნაზი ალექსანდრეს ასული ძველაშვილი — ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი მესამე კლასის იურისტი.
- 5. გიორგი გიორგის-ძე ფანჩულიძე — ქ. თბილისის კირავის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.

გამომცხადებელი ორგანიზაცია

- 1. ზურაბ ვასილის-ძე ბაკრაძე — ლენტეხის რაიონის პროკურორის პირველი კლასის იურისტი.
- 2. დავით გიორგის-ძე გულბანს — ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი.
- 3. ვაჟა ივანეს-ძე კაცანაშვილი — ხაშურის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მეორე კლასის იურისტი.
- 4. გია არჩილის-ძე ებრაღიძე — ქ. თბილისის კალინინის რაიონის პროკურორის თანაშემწე, მესამე კლასის იურისტი.

საქართველოს სსრ პრეზიუმის 1977 წლის 3 ნოემბრის ბრძანებით დიდი ობტოვარის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავთან დაკავშირებით, სამსახურებრივი მონაწილეობის სანიშნოდ შესრულებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:

ფსონის სანაშენებელი

- 1. შალვა კონსტანტინეს-ძე გვასალია — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი.
- 2. ზაურ მიხეილის-ძე კვიციანი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი.
- 3. დავით სარდიონის-ძე სილაგაძე — აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მრჩეველი.
- 4. უშანგი ლავრენტის-ძე კობიაშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.

სანაშენებელი

- 1. შურა ბესარიონის ასული აგრაბა — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის სავაჭრო განყოფილებების პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
- 2. შოთა ივანეს-ძე გვრიტიშვილი — ხაშურის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მეორე კლასის იურისტი.



- 8. გიორგი სამსონის-ძე გულედანი — ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი, მესამე კლასის იურისტი.
- 4. მარგარიტა გაბრიელის ასული ზანგიაშვილი — ახალციხის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 5. ლენა ლავრენტის ასული ფურცელაძე — მიაკოვსკის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 6. მანანა არკაძის ასული ზახაროვა — სიღნაღის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 7. სოკრატ ივანეს-ძე ხტილიძე — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი.
- 8. ნინა არსენის ასული ნაჭაპურიძე — ქ. წყალტუბოს პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 9. ომარ ლავთიის-ძე წულაია — ქ. წყალტუბოს პროკურორი, პირველი კლასის იურისტი.
- 10. ემილია ვახიშვილის-ძე შონია — საქართველოს სსრ პროკურატურის სეპარირებულ განყოფილების პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
- 11. თამარ ალექსანდრეს ასული ლოლაძე — საქართველოს სსრ პროკურატურის სწავლელ ნაწილის უფროსი ინსპექტორი.
- 12. გიორგი ვლადიმერის-ძე ცუცქერიძე — საქართველოს სსრ პროკურორის თანამშრომელი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

მიუხედავად პრემია 70 წანეთის რაოდენობით


- 1. მარგო კირილეს ასული ახალაძე — ქობულეთის რაიონის პროკურატურის მდივან-გემანქანის გამგე.
- 2. ვენელი გიორგის-ძე ბენიძე — მიაკოვსკის რაიონის პროკურორს, პირველი კლასის იურისტს.
- 3. ღორა მიხეილის ასული ბერიაშვილი — ქ. თბილისის პროკურატურის სწავლელ ნაწილის გამგე.
- 4. ქეთევან მელიტონის-ასული ბოგვერაძე — ქ. ქუთაისის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 5. სპარტაკ ივანეს-ძე დათუნაშვილი — ქ. თბილისის პროკურატურის მსუბუქი ავტომანქანის მძღოლს.
- 6. ლალი ალავერდის ასული ჭიანჭავაძე — ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურის მდივანს.
- 7. ლუსია მარტიროსის ასული კერვალიძე — ბოლნისის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 8. ნუგზარ ჭუმბურის-ძე კერესელიძე — სამტრედიის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს, მესამე კლასის იურისტს.
- 9. ქეთევან კაპიტონის ასული ჭიბრაძე — ქ. თბილისის სატრანსპორტო პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 10. ეთერ სიმონის ასული კოჭაძე — ზესტაფონის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 11. ივლიდა პლატონის ასული მოღვიძაძე — საჩხერის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს, მეორე კლასის იურისტს.
- 12. ივანე პეტრეს-ძე ნაგორნოვი — დანაისის რაიონის პროკურატურის მსუბუქი ავტომანქანის მძღოლს.
- 13. ვლადიმერ ალექსის-ძე ნიკოლაიშვილი — მახარაძის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს, მესამე კლასის იურისტს.
- 14. ლიანა ივანეს ასული ოდიშელი — კასპის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 15. რაულ არუშევანის-ძე ჯანაშვილი — ქ. სოხუმის პროკურატურის უფროსი გამომძიებელს, მეორე კლასის იურისტს.
- 16. ალექსანდრა ანანიავის ასული ხარაივა — წალკის რაიონის პროკურატურის კუროერ-დამლაგებელს.
- 17. ნინა დიმიტრის ასული ტაბიძე — ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 18. იოსებ ვლადიმერის-ძე ჩიქოვანი — გეგუკორის რაიონის პროკურორის თანამშრომელს, პირველი კლასის იურისტს.
- 19. ვსვა არჩილის ასული შაშიაშვილი — ახმეტის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 20. ანგელინა გიორგის ასული შუკაიძე — საგარეჯოს რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგე.
- 21. დურსუნ მუსხიშვილის-ძე კოკობინაძე — აჭარის ასსრ პროკურატურის მძღოლს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

პეკინიდან იუკისგაბი საქართველოში

გასული წლის 30 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უ. ბერგერი, მისი თანაშემწე მ. კენონი და დელეგაციის მდივანი მ. ლუტივი. ეს იყო ამერიკელ მოსამართლეთა პირველი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში. სტუმრები შეხვდნენ გამოჩენილ საბჭოთა იურისტებს, ეწვივნენ სასამართლოებს, დაათვალიერეს მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

ტერესით დაათვალიერეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა, მაღალი შეფასება მისცეს მის მშენებელთა და გამფორმებელთა ნახელავს. სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციები, თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობები. როგორც უ. ბერგერმა თქვა, მასზე და დელეგაციის წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილისა და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის



მიღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ჩვენს რესპუბლიკაში ყოფნის სამი დღის მანძილზე სტუმრები გაეცნენ რესპუბლიკის ცხოვრებას. სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ლაშქარაშვილმა. შემდეგ ისინი იყვნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში. დიდი ინ-

ტერესით ოჩიაურის ნაწარმოებთა გაცნობამათი სახელოსნოების დათვალიერების დროს. გაიმართა საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოში. რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე სტუმრებს ესაუბრა საბჭოთა კავშირის სასამართლებრივი სისტემის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების შესახებ

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად.

საუბარში მონაწილეობდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ლ. სმირნოვი.

— ეკვი არ მეპარება, რომ საბჭოთა ხალხს მშვიდობა წყურია — თქვა უ. ბერგერმა თბილისიდან გაფრენის წინ საქინფორმის

პრეზიდენტის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევმა.

საუბრის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობისადმი საბჭოთა კავშირის პრინციპული მიდგომა, შეაფასა ამ ურთიერთობის მნიშვნელობა ორივე ქვეყნის ხალხებისათვის და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ურ-



სტუმრები ეცნობიან ქ. თბილისს

კორესპონდენტთან საუბარში, — კარგი იქნება, რომ ამერიკელები და საბჭოთა ადამიანები უფრო ხშირად ეწვიონ ხოლმე ერთმანეთს, რადგან ეს ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებასა და მეგობრობის განმტკიცებას.

* * *

აშშ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უ. ბერგერი 9 სექტემბერს კრემლში მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

თიერთობის განუხრელი განვითარება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ორივე მხარის მეცადინეობით, სრული თანასწორუღებობის საფუძველზე, საერთაშორისო ურთიერთობის საყოველთაოდ მიღებული ნორმების ზუსტი დაცვის პირობებში.

უ. ბერგერმა დიდი მადლიერებ აგამოთქვა, რომ შესაძლებლობა მიეცა საინტერესო მოგზაურობა ჰქონოდა სსრ კავშირში და მადლობა გადაუხადა ლ. ი. ბრეჟნევს მასპინძლობისა და საფუძვლიანი საუბრისათვის.

პოლონელი არბიტრები თბილისში

თბილისში სტუმრად იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სამეურნეო არბიტრაჟის თავმჯდომარე ე. ზახაიკვეიჩი, პროფილაქტიკის დეპარტამენტის დირექტორი ვ. პაველკო და თავმჯდომარის კაბინეტის დირექტორი ე. კოსტრო. სტუმრებს ახლდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული არბიტრაჟის მთავარი არბიტრი ე. ანისიმოვი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში მოეწყო სტუმრებისა და ქართველი არბიტრების შეხვედრა. სტუმრებს გააცნეს რესპუბლიკის არბიტრაჟის სტრუქტურა და საარბიტრაჟო მუშაობა.

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი: ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, შამპანიური ღვინოების კომბინატი, თბილისის ზღვა, ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, ქართული ხალხური ხელოვნების მუზეუმი, ყოფის მუზეუმი, სვეტიცხოველი და ჯვრის მონასტერი.

პოლონელი სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ, გაიმართა გულთბილი საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ე. ანისიმოვმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა ვ. მაისურაძემ და საქართველოს სახარბიტრაჟის მთავარი არბიტრის მოადგილემ ნ. ნასარიძემ.

პოლონელმა სტუმრებმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის სახელზე გამოგზავნეს გულთბილი წერილი, რომელშიც გამოთქმულია რწმენა, რომ ურთიერთშეხვედრის შედეგები ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის არბიტრაჟთა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას და განმტკიცებას. წერილში ნათქვამია, რომ დელეგაციის სტუმართმოყვარულად მიღება ერთხელ კიდევ ადასტურებს პოლონელი და საბჭოთა ხალხების ძმურ მეგობრობას.

ე. ელვაძიძე,
სახელმწიფო არბიტრი

საკორდინაციო-მეთოდური საბჭოს გამსვლელი სესია

დირექტორის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის კლუბში გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკორდინაციო-მეთოდური საბჭოს გამსვლელი სესია, რომელმაც ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეების დიდი დანებრუნება გამოიწვია. კლუბში მოვიდნენ ახალგაზრდა მუშები და შრომის ვეტერანები, სახელოვანი ადამიანები, რომლებიც არა მარტო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის იბრძვიან, არამედ ყოველდღიურად ზრუნავენ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დანაშაულის აღკვეთა-აცილები-სა და სამართალდამრღვევ პირთა აღზრდა-გამოსწორებისათვის.

საკორდინაციო-მეთოდური საბჭოს სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს

სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა. მოხსენება „სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობა დირექტორის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხანაში“ გააკეთა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. ჯიქიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსმა ე. მეტრეველმა, თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო მოსამართლემ თ. რუსაძემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნ. წერეთელმა, თბილისის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ლომიძემ, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ გ. სიღამონიძემ, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ ფ. რიბნი-



კოშმა, თბილისის საქარხნო რაიონის პროკურორმა **ო. ჯაფარიძემ**, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრმა **ლ. ზაიჩიკმა**, საქართველოს სსრ იუსტიციის

სამინისტროს უფროსმა კონსულტანტმა **ა. შალიკაშვილმა** და სხვებმა საკორდინაციო-მეთოდურმა საბჭომ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

საქონიერ-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოს სსრ პროკურატურის ცენტრალური აპარატის მუშაებისათვის მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავსა და ახალი კონსტიტუციის მიღებას. კონფერენცია გახსნა **ლ. შესავალი** სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ პროკურორმა, იუსტიციის II კლასის სახელმწიფო მრჩეველმა **დ. თაღავაძემ**. ახალი კონსტიტუციის მიღება — თქვა მან — დიდ ამოცანებს აყენებს პროკურატურის ორგანოების წინაშე. კონსტიტუციით პროკურატურას დაკისრებული აქვს უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელება, რათა ყველა ორგანიზაციამ, თანამდებობის პირმა და მოქალაქემ ზუსტად დაცვას საბჭოთა კანონები. სსრ კავშირის კონსტიტუცია ავალებს ჩვენს ორგანოებს კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი.

მოსენებით — „პროკურატურის ორგანოების ამოცანები ახალი კონსტიტუციის მიხედვით“ — გამოვიდა რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე **ვ. ჭილაშვილი**,

„ახალი კონსტიტუცია და საერთო ზედამხედველობის განხორციელების საკითხები“ — ასეთი იყო პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის **რ. ყიფიანის** თემა. პროკურატურის საჯამო-ძიებო სამმართველოს უფროსმა **ვ. ბუნტურმა** გააკეთა მოხსენება — „საბჭოთა კონსტიტუცია პიროვნების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ“, სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილემ **ქ. ხიდუშელმა** თავის გამოცვლაში ილაპარაკა ახალ კონსტიტუციაში შრომის უფლებისა და დაცვის საკითხებზე. გურჯაანის რაიონის პროკურორმა **დ. დუღაშვილმა** გააშუქა ამოცანები, რომლებიც რაიონის პროკურატურას ახალი კონსტიტუციით ეკისრება.

კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე **ქ. თბილისის** კალინინის რაიონის პროკურორი **ს. ნანიტაშვილი**, რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე **ვ. ცუცქერიძე** არასრულწლოვანთა განყოფილების პროკურორი **მ. მერაბიშვილი**.

განხილვებს იუსტიციის სამინისტრო

1977 წელი სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების მეხსიერებაში. ეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის, ახალი კონსტიტუციის დაბადებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საიუბილეო მე-60 წელია, რასაც მართა საბჭოთა ხალხი კი არა, მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა დღესასწაულობს.

მრავალფეროვანი და შთანაარსიანი ღონისძიებებით აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ოქტომბრის დღესასწაული. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო ამას წინათ საქარ-

ველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში მოწეული შეხვედრა პარტიის, სამამულეო ომისა და შრომის ვეტერანებთან, რომელიც ერთი ნაწილია იმ საინტერესო გეგმისა, სამინისტროს პარტიულმა ორგანიზაციამ რომ ჩაიფიქრა დიდმნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად.

ყვავილებითა და საზეიმო განწყობილებით სავსე სააქტო დარბაზს ყველასათვის ნაცნობი და სასურველი სტუმრები შევიდნენ: თომა ფოცხიშვილი — 1917-1918 წლიდან პარტიის წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი და დამსახურე-



ბული არქიტექტორი; **შალვა ცაგარეიშვილი** — პარტიის ვეტერანი, სამოქალაქო ომის მონაწილე, XI არმიის ყოფილი მებრძოლი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი; **მიხეილ აკობაშვილი** — პარტიის ვეტერანი, ყოფილი წითელი პარტიზანი, 1918 წლიდან კომკავშირელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, დამსახურებული იურისტი, მეცნიერი მუშაკი, საკავშირო იურიდიული აკადემიის ყოფილი რექტორი; **აკაკი მენაბდე** — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პარტიის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი; **ანტონ კელენჯერიძე** — სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, კურნალისტი, პერსონალური პენსიონერი.

საპატიო სტუმრებს მასპინძლობდნენ: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ალექსანდრე შუშანაშვილი**, მინისტრის მოადგილეები **ზურაბ რატიანი**, **ალბერტ აბესაძე** და **გიორგი ცქიტიშვილი**, პარტიული კომიტეტის მდივანი **იური აღანია** და სამინისტროს მუშაკები.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ზურაბ რატიანმა**. იგი გულთბილად მიესალმა სტუმრებს, აღნიშნა მათი წვლილი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, ისაუბრა მათს საქმიანობაზე, ილაპარაკა იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის შესახებ, რაც თვითონ მათგანმა თავისი სპეტაკი, უანგარო, თავდადებული შრომითა და შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვა.

— ჩვენთვის ყოველთვის დიდი სიამოვნებაა თქვენთან შეხვედრა, — თქვა ბოლოს **ზ. რატიანმა**, — განსაკუთრებით კი ახლა,

ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს საიუბილეო თარიღის აღნიშვნის წინა დღეებში. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა დიდი მისია დაგვიკისრათ ისტორიამ, თუ რა ერთგულებით, უმწიკვლოდ ემსახურეთ ერსა და ქვეყანას. თქვენ ჩვენთვის დიდებული მაგალითი ხართ, ამიტომაც თათბები უსაზღვრო მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალული თქვენდამი.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა **ალექსანდრე შუშანაშვილმა** სტუმრებს მოკლედ გააცნო სამინისტროს საქმიანობა, მომავლის გეგმები და დასძინა: „თქვენ ის ადამიანები ხართ, ვინც თავისი პირადი საზოგადოებრივის სამსხვერპლოზე მიიტანა, ვინც თავის ზურგზე გადაიტანა განვლილი, დაუვიწყარი წლების სიმძაფრე, სუსხი და ტკივილი, ვინც არავის და არაფერს არ შეუშინდა თავისი რწმენის ხორცშესხმისათვის, ბედნიერი მომავლისათვის. ჩვენ დიდად ვართ დავალებული თქვენგან და ამას ვგრძნობთ მთელი შეგნებით. ასეთი შეხვედრები, ალამაზებს და მეტად შინაარსიანს ხდის ჩვენს ცხოვრებას, ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს“.

სტუმრებს მიესალმნენ იუსტიციის სამინისტროს განყოფილების უფროსი **ე. მეტრეველი**, სამინისტროს თანამშრომელი **ნ. გურგენიძე-ბოკორიშვილი**, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სამართალმცოდნეობის კაბინეტის წრის წევრი **ნონა დოლიძე**.

რევოლუციის რანდებმა გარდასულ დღეთა ბევრი საინტერესო შემთხვევა მოიგონეს და დიდი მადლობა გადაუხადეს გულთბილ და კეთილ მასპინძლებს შინაარსიანი შეხვედრისათვის.

პიონერთა სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილების ნორჩებმა სტუმრებს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს.

წიგნის განხილვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა წიგნის „Теоретические проблемы хозяйственного права“ საჯარო განხილვა.

ნაშრომი დასაბეჭდად მოამზადა სსრ კავშირის სამეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო საეკონომიკური ინსტიტუტის აქტორთა ფოლექტივმა და გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ“.

განხილვას დაესწრენ თსუ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამ-

შრომლები, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები. განხილვაში მონაწილეობდა წიგნის პასუხისმგებელი რედაქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეურნეო სამართლის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. ლაპტევი**.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორმა **ნ. წერეთელმა**, რომელმაც მოკლედ ილაპარაკა წიგნის აქტუალობასა და ღირსებაზე.



მოსენებით გამოვიდა პროფ. ლ. ჯომარჯიძე. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მოხდა უდიდესი ძვრები სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა და მმართველობის სფეროში, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განსაკუთრებით აქტუალური გახდა სოციალისტური ეკონომიკის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხი. ამიტომაც ამ წიგნს გამოქვეყნება მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა სამართლებრივ მეცნიერებაში.

განსახილველი წიგნის ღირსება — თქვა ლ. ჯომარჯიძემ — იმაშია, რომ მისმა ავტორებმა მოგვცეს სამეურნეო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის კონცეფცია, რაც გულისხმობს სამეურნეო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ერთიანობას. აქედან გამომდინარე, სამეურნეო სამართლებრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეურნეო ურთიერთობისათვის ზემდგომი ორგანოების პასუხისმგებლობას. მმართველობის სფეროში მოვალეობათა დარღვევისათვის სამინისტრო და მისი ქვემდებარე რგოლები მიჩნეულ უნდა იქნენ ერთიან სისტემაში, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთიანი სამეურნეო ამოცანებითა და ინტერესებით.

ლ. ჯომარჯიძემ წამოაყენა წინადადება, რომ აუცილებელია მიღებულ იქნას სამეურნეო კანონმდებლობის განსაზოგადებელი კანონი — საბჭოთა კავშირის სამეურნეო კოდექსი.

სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი რ. შენგელია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ტ. ზამზახიძე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი რ. ცინცაძე, რომლებმაც მაღალ შეფასება მისცეს განსახილველ წიგნს. რ. შენგელიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ შემუშავდეს კანონი დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შესახებ. რ. ცინცაძემ ყურადღება გაამახვილა იმ როლზე, რომელსაც ასრულებს სამეურნეო სამართლის კონცეფცია მეურნეობის სფეროში მნიშვნელოვანი სამეურნეო აქტების შესაქმნელად.

განსახილველ წიგნს მაღალი შეფასება მისცა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს

სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსმა ე. მეტრეველმა. განსაკუთრებით დიდია ამ წიგნის მნიშვნელობა ამჟამად — თქვა მან — როდესაც ხდება სამეურნეო კანონმდებლობის თავმოყრა და წესრიგში მოყვანა. აუცილებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნას სამეურნეო კათედრა, რაც ხელს შეუწყობდა უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტების მომზადებას სახალხო მეურნეობისათვის.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „თბილმრეწვაკრობის“ უფროსმა იურისკონსულტმა ა. პეტროსიანმა თავის გამოსვლაში დადებითად შეაფასა განსახილველი წიგნი. მისი აზრით წიგნს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი წარმოადგენს თეორიულ საფუძველს სამეურნეო სამართლის კოდიფიკაციისათვის. ა. პეტროსიანმა მხარა დაუჭირა სამეურნეო კოდექსის შექმნის იდეას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი შ. ჩიკვაშვილი არ დაეთანხმა წიგნის ძირითად იდეას და აღნიშნა, რომ არ არსებობს სამეურნეო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, ამიტომ მისი აზრით სამეურნეო კოდექსის შემუშავება საჭირო არ არის.

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ს. ოგანესიანმა არ გაიზიარა შ. ჩიკვაშვილის მოსაზრება. მან დადებითად შეაფასა წიგნი და დაასაბუთა სსრ კავშირის სამეურნეო კოდექსის შექმნის აუცილებლობა.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა პროფ. ვ. ლაპტევი, რომელმაც აღნიშნა წიგნის განხილვის მაღალი თეორიული დონე და მადლობა გადაუხადა კამათის მონაწილეებს კონფერენციაზე გამოთქმული შენიშვნებისათვის. მან პრინციპულად არასწორად მიიჩნია სამეურნეო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის უარყოფა. მისი აზრით, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების ამოცანები, რაც დასახულია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, მოითხოვს სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფას. მისი რაციონალურად განხორციელება კი შეიძლება მხოლოდ სამეურნეო კოდექსის გამოცემის გზით.

დ. ნანობაშვილი

იგი გინ
საქართველო

ბ. ა. ბარათაშვილი



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული იურისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ცნობილი ადვოკატი ბიძინა არჩილის ძე ბარათაშვილი.

ბ. ბარათაშვილი დაიბადა 1908 წელს ქუთაისში. 1928 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიიღო იურისტის კვალიფიკაცია. ბ. ბარათაშვილმა შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1922 წელს საქართველოს დეპუტატთა სააგენტოში, შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „სოფლის კომუნისტის“ პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „ახალი სოფლის“ რედაქტორის მოადგილედ, სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის მოადგილედ, საქედსის რედაქტორად. ერთდროულად იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. 1958 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ადვოკატად. 1960 წლიდან

ბ. ბარათაშვილი არჩეული იყო საქართველოს სსრ ადვოკატთა

კოლეგიის პრეზიდიუმის, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსა და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად.

ბ. ბარათაშვილს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია საბჭოთა სამართლის აქტუალურ საკითხებზე.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასა ბ. ბარათაშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა იუსტიციის დარგში, საზოგადოებრივ აქტიურობაში. იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ბ. ბარათაშვილს ახასიათებდა შესანიშნავი ადამიანური თვისებები, რითაც მან საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისი ნათელი სსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც იცნობდა, ვისაც მასთან ერთად უმუშავანია.

საპარტვილო სსრ იუსტიციის სამინისტრო; საპარტვილო სსრ უმაღლესი სასამართლო; საპარტვილო სსრ პროკურატურა; ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი; ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია;

ბიძინა ბარათაშვილის ხსოვნას

ყოველმხრივ სამაგალითო პიროვნება იყო ბიძინა ბარათაშვილი. განათლებულ და ამაღლებული გონების კაცს ენაც უჭირდა და კალამიც. მისი კაცური კაცობა სანიშნოდ დარჩება ყველასათვის, ვინც კი მას იცნობდა. ფართო დიპლომატიის ინტელიგენტი, იგი არა მარტო განათლებით, არამედ შინაგანი მოწოდებითაც იურისტი იყო, მართლმსაჯულების უანგარო მსახური. ამას კარნახობდა მას ღრმა ჰუმანიზმი და ადამიანისადმი ხალასი პატივისცემის გრძნობაც. მან არა მარტო მწიგნობრულად შეითვისა, არამედ თავისი ადამიანური არსების მოთხოვნილებად აქცია ცნობილი ფორმულა — სჯობს ათი დამნაშავე დაუსჯელი დარჩეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოს. თავის ცხოვრებაში მას ალბათ ერთი ლექსიც არ დაუწერია, მაგრამ პოეტი კი იყო, საოცრად ღრმა განცდის პოეტი, ადამიანის სულის ყველაზე ფაქიზი სიმების შემხები და უბადლო გამომცნობი. მან შესანიშნავად იცოდა დამნაშავეთა და დანაშაულობათა სოციალურ-ფსიქოლოგიური შინაარსი, მათი გენეზისი, მათი მოძრავი და წარმატებითი ხასიათი. გასათვარი უნარის წყალობით სხვა პროფესიის ადამიანებთანაც და იურიდიულ პრაქტიკაშიც იგი ახერხებდა რაღაც ამაღლებულ, წმინდა, გამჭვირვალე ურთიერთობის დამყარებას, რაც მარტოდენ ნათელი სულისა და გონების პიროვნებებს სჩვევიათ.



ბიძინა ბარათაშვილის ცხოვრების გზა — ერთგული საზოგადო მოღვაწის სამაგალითო გზაა, მისი ბიოგრაფია თავისი მრავალმხრივობით და მრავალფეროვნებით განუყოფლად დაკავშირებულია ჩვენი განახლებული ქვეყნის ბიოგრაფიასთან. ბ. ბარათაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე მეტად ახალგაზრდა ასაკში გამოვიდა. ეს იყო საქართველოში ახალი ცხოვრების, ახალი სოციალური ურთიერთობების დამკვიდრებას ხანა. ბ. ბარათაშვილის ინტელექტი, მოქალაქეობრივი შეგნება, განიჭრით სწორედ ამ რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე და განმაახლებელი პროცესების პოზიტიური შედეგების დამკვიდრების ვითარებაში. ამ პერიოდში მტკიცდებოდა და ძალას იკრებდა ქართული საბჭოური პუბლიცისტიკა და ჟურნალისტიკა. თვალსაჩინოა ბარათაშვილის ღვაწლი ამ დარგში, იგი იყო ფრიად დახვეწილი სტილის კალმოსანი. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ წლების განმავლობაში სათავეში ედგა სხვადასხვა ქართული გაზეთისა და წიგნების გამოცემას.

დიდა ბ. ბარათაშვილის წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ქართულ ენაზე ამტკიცებლების რთულ და საშვილიშვილო საქმეში. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მაღალ დონეზე შესრულებული არაერთი მხატვრულ-ლიტერატურული თარგმანი და თეორიული ხასიათის საინტერესო წერილი სამართლის სხვადასხვა პრობლემაზე.

სანგრძლივი დროის მანძილზე მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ბიძინა ბარათაშვილი აღიარებული იურისტი, საბჭოთა მართლმსაჯულების უანგარო მოღვაწე იყო. თავისი ნიჭითა და განათლებით ბ. ბარათაშვილი შედის წინამორბედ და ჩვენი დროის რუს და ქართველ ადვოკატთა ბრწყინვალე პლეადაში. იგი იყო ფილოსოფიურად, ფილოლოგიურად და ესთეტიკურადაც დიდად განსწავლული პიროვნება. თავის უშუალო პროფესიულ დარგში ხომ იგი უბადლო იყო, როგორც სასამართლო პაექრობის ჯადოქარი და არა ეფექტურობისათვის განკუთვნილი გარეგნული პათეტიკურობით, სიტყვების კორიანტელით, არამედ სწორედ რომ ოლიმპიური სიდინჯით, ლოგიკური თანამიმდევრობით და ანალიტიკურობით. მისი იურიდიული მოღვაწეობა კანონის სრული გაგებისა და პატივისცემის ნიმუშს წარმოადგენდა. ამავე დროს თუ გავიხსენებთ მისი ხავერდოვანი ხმის შერწყმას სიტყვის ღრმა შინაარსთან, მართლაც, რომ მომხიბვლელი ადამიანის სურათი აღგვიდგება თვალწინ.

კიდევაც დაფასდა ბ. ბარათაშვილის ღვაწლი, — იგი დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მას ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის წოდება.

ბ. ბარათაშვილი მდიდარი, მთლიანი და მეტად უბრალო ბუნების პიროვნება იყო. იგი ბატონი ბიძინაც ბრძანდებოდა, პატივცემული ბიძინაც, ბიძინა არჩილის ძეც და უბრალოდ — ბიძინაც. მოხდენილი, მომღიმარი, კეთილშობილი, იმედის მომცემი, ზოგჯერ სევდიანიც, ღრმად დაფიქრებული, მტკიცე ხასიათისაც, დამყოლიც, პირმთქმელიც, მოკრძალებულიც და ზოგჯერ სიტყვაძვირიც.

არის სახელები, რომელთა გახსენება ყოველთვის ერთგვარად აუხვევს ადამიანთა სულიერ სამყაროს. ბიძინა ბარათაშვილი სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის. მისი გახსენება ყოველთვის აამაღლებს ადამიანებს, წააქეზებს იყოს კეთილშობილი, მაღალი სულიერი თვისებების მატარებელი. სწორედ ამიტომ მიუჩინა მაღლიყრმა ქართველმა საზოგადოებამ მას სამუდამო სასუფეველად საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

3560 50 333

ИНДЕКС 70185



САБЧОТА САМАРТАЛИ № 6

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР